ახალგაზრდა
პედაგოგთა კავშირი

Brot
für die Welt
Bread for the World –
Protestant
Development Service

კოალიცია ბავშვებისა
და ახალგაზრდებისთვის
COALITION FOR CHILDREN AND YOUTH

ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ აღსრულების პროცესის შეფასება

2020

კვლევა განხორციელდა პროექტის
„სამოქალაქო ჩართულობა – პოზიტიური ცვლილებებისთვის“
ფარგლებში, ორგანიზაცია Brot für die Welt-ის
ფინანსური მხარდაჭერით

პროექტის დირექტორი
მარინა თოფურია

ანგარიშის ავტორები:
ხატია ჭანიშვილი
სალომე ჭიჭინაძე

რედაქტორი:
ნათია მენაბდე

„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“
ქალაქი ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. N3
ტელ: +496 27 34 64, მობ.: +995 557 60 21 83
ქალაქი თბილისი, ბარნოვის ქ. N84, ბ. 7
მობ.: 555689896
ინტერნეტგვერდი: www.apk.ge
E-mail: ypuozurgeti@yahoo.com
https://www.facebook.com/apk.ge

სარჩევი

კვლევის ძირითადი მიგნებები..... 8

სამაგიდე კვლევის შედეგები 11

ბავშვთა მიმართ ძალადობის რეფერირების
სტატისტიკური მონაცემების ანალიზი..... 15

ბავშვთა მიმართ ძალადობის რეფერირების პროცესში ჩართული
სუბიექტების მიერ შემუშავებული სავალდებულო ინსტრუქციების
არსებობა..... 20

ჩართული სუბიექტების თანამშრომლების (სოციალური მუშაკები,
პოლიცია/უბნის ინსპექტორი, მანდატური/პედაგოგი, საბავშვო ბაღის
აღმზრდელი, ოჯახის/სოფლის ექიმი, მუნიციპალიტეტის თანამშრომელი
და სხვ.) გადამზადება ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე,
მათ შორის, რეფერირების პროცედურებზე 32

ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებული
ადრინდელი კვლევების მოკლე მიმოხილვა 38

კვლევის შედეგები 41

1. ძალადობა და მისი არსის გაგება 41
   - 1.1 ასოციაციები ძალადობის შესახებ..... 41
   - 1.2 ძალადობის არაერთგვაროვანი გაგება..... 43
   - 1.3 არასრულწლოვნების მიმართ უნდობლობა 44
   - 1.4 ძალადობის მსხვერპლი და მისი მახასიათებლები 46
   - 1.5 მოძალადე და მისი მახასიათებლები..... 47
   - 1.6 ძალადობის ნიშნების ამოცნობა 48
   - 1.7 ძალადობის შესახებ ინფორმირების საშუალებები 49
2. ძალადობის ფაქტები და რეაგირება..... 50
   - 2.1. ეჭვი ძალადობრივი ქმედების შესახებ და მისი დასაბუთების გზები..... 50
   - 2.2. ძალადობის ფაქტები და შეტყობინების ვალდებულება 52
   - 2.3. შემთხვევებზე რეაგირება და შემდგომი მონიტორინგის პროცესი..... 58
3. რეფერირების დოკუმენტის შესახებ ინფორმირებულობის დონე 59
4. უწყებათაშორისი თანამშრომლობა და არსებული გამოწვევები..... 62
   - 4.1 საპატრულო პოლიცია, უბნის ინსპექტორები და მართლწესრიგის ოფიცრები 62
   - 4.2 სოციალური მომსახურების სააგენტო..... 65
   - 4.3 საგანმანათლებლო დაწესებულებები..... 69

დასკვნა 70

რეკომენდაციები..... 72

შესავალი

„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“, არაერთი წელია, სოციოლოგიური კვლევების საშუალებით ახორციელებს ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის სხვადასხვა კომპონენტის შეფასების პროცესს, რათა გამოვლინდეს არსებული საჭიროებები და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომით გაუმჯობესდეს ბავშვზე ზრუნვის/მხარდაჭერის სისტემები.

2019 წელს (შემოდგომაზე) „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირმა“ არასამთავრობო ორგანიზაციების გაერთიანებისგან „კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის“ მიღებული რეკომენდაციით დაგეგმა, ჩაეტარებინა კვლევა „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების აღსრულების პროცესის შეფასება“, რომელიც მიზნად ისახავდა მიმართვიანობის სისტემის პირველი ორი ეტაპის (რეფერალის სუბიექტების მიერ ბავშვთა მიმართ ძალადობის გამოვლენა; ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების შეფასება (ფაქტის დადასტურება/უარყოფა)) აღსრულების პროცესის შეფასებას.

აქვე დავძენთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების გაერთიანების „კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის“ წევრი ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან შეიქმნა ე.წ. „რეფერალის საკონსულტაციო ჯგუფი“, რომლის დახმარებითაც შემუშავდა კვლევის დიზაინი, სამიზნე რეგიონები და ფოკუს-ჯგუფების სახელმძღვანელო კითხვარები.

შემდეგ ეტაპზე ორგანიზაციამ მიმართა „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში“ ჩართულ უწყებებს ფოკუს-ჯგუფების ორგანიზებისა და სამაგიდე კვლევისთვის საჭირო ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით. მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაიგეგმა საველე სამუშაოები (ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა ვინაობა, ჩატარების ადგილი და ვადები).

კვლევა ჩატარდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე განხორციელდა სამაგიდე კვლევა, ხოლო მეორე ეტაპზე თვისებრივი მეთოდის გამოყენებით სამიზნე რეგიონებში (თბილისი, ქვემო ქართლი, იმერეთი) პროცედურებში ჩართული სუბიექტების წარმომადგენლებთან (საპატრულო პოლიცია, მართლწესრიგის ოფიცერი, პედაგოგები, ოჯახის ექიმები/სოფლის ექიმები, სკოლამდელი განათლების აღმზრდელები, თვითმმართველობის წარმომადგენლები, არაფორმალური წრეებისა და სპეციალიზებული დაწესებულებების წარმომადგენლები, სოციალური მუშაკები და სამინისტროების წარმომადგენლები) გაიმართა ფოკუს-ჯგუფების შეხვედრები. დასკვნით ეტაპზე მომზადდა კვლევის ანალიტიკური ანგარიში და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევა მიზნად ისახავს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ სისტემის პირველი სამი ეტაპის (ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენა, მისი მდგომარეობის შეფასება, საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში – შესაბამისი ორგანოების ინფორმირება) აღსრულების პროცესის შეფასებას.

კვლევის ამოცანებია:

1. საკუთარი უფლებამოსილებებისა და მოვალეობების შესახებ რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიექტების ინფორმირებულობის დონის განსაზღვრა;
2. რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიექტების მიერ რეფერირების პროცედურების განხორციელების შემთხვევების გამოვლენა.

გამოყენებული მეთოდები და მათი აღწერა

როგორც ითქვა, კვლევა განხორციელდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ჩატარდა **სამაგიდე კვლევა.**

მომზადდა ოფიციალური მიმართვები „ბავშვთა დაცვის რეფერირების (მიმართვიანობის) პროცედურებზე“ პასუხისმგებელი უწყებების სახელზე, ესენია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (შემდგომში – შინაგან საქმეთა სამინისტრო), საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (შემდგომში – განათლების სამინისტრო), სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) და სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი (შემდგომში – საგანგებო სიტუაციების ცენტრი); ასევე, სამიზნე რეგიონების მუნიციპალიტეტები და ბაგა-ბაღების სააგენტოები/სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულებათა გაერთიანებები (შემდგომში – ბაგა-ბაღების გაერთიანება). უწყებებს ეთხოვათ ქვემოთ მოცემული საჯარო ინფორმაციის მოწოდება მათი დამუშავებისა და ანალიზის მიზნით:

- ქვეყნის მასშტაბით ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტების სტატისტიკური მონაცემები (ბავშვზე ძალადობის შემთხვევების რაოდენობა და ფორმები; მონაცემები შეტყობინების განმახორციელებლების, ფაქტის დადასტურების/უარყოფის შესახებ);
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172[5] („სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე შემოსული მელოგინის, მისი გაპარვის ან მელოგინის მიერ ჩვილის მიტოვების შესახებ ინფორმაციის შეუტყობინებლობა“) და 172[6] („ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტის (დაწესებულების ან/და მისი უფლებამოსილი თანამშრომლის) მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა“) მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო დაჯარიმების შემთხვევების რაოდენობის სტატისტიკა 2017 წლის 1 იანვრიდან დღემდე და ინფორმაცია დაჯარიმებული პირების სტატუსის (ფიზიკური/იურიდიული პირი) შესახებ;
- „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში, დამცავი/შემაკავებელი ორდერის გაცემის რაოდენობის (მათ შორის, განმეორებით გაცემის) სტატისტიკა 2017 წლის 1 იანვრიდან დღემდე;
- აწარმოებს თუ არა ბავშვთა ძალადობის ერთიანი ბაზის ტექნიკურ ადმინისტრირებას შინაგან საქმეთა სამინისტრო, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად?
- არის თუ არა გაწერილი მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტისთვის სავალდებულო ინსტრუქციები?

- რა სახის გადამზადება აქვთ გავლილი ჩართული სუბიექტების თანამშრომლებს (სოციალური მუშაკები, პოლიცია/უბნის ინსპექტორი, მანდატური/პედაგოგი, ბაღის აღმზრდელი, ოჯახის ექიმი და სხვ.) ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, მათ შორის, რეფერირების პროცედურებზე (გადამზადების თემატიკა და დღის წესრიგი; გადამზადების ხანგრძლივობა; ვის მიერ არის განხორციელებული გადამზადება; უწყების რომელმა და რამდენმა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა გადამზადებაში (თანამშრომელთა პროცენტული მაჩვენებელი)?

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო ინფორმაციის მოწოდების ვადების დაცვით მოწოდებულ იქნა ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროდან, საქართველოს განათლების სამინისტროდან, ასევე, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან და საგანგებო სიტუაციების ცენტრიდან.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტებსა და ბაღების გაერთიანებებს, გარდა ერთეული გამონაკლისებისა, მოთხოვნილი ინფორმაცია მათგან მოწოდებულ იქნა დაგვიანებით, ხოლო ზოგიერთი ერთეულისგან (იხ. ცხრილი), მიუხედავად კვლევის ჯგუფის მხრიდან არაერთი მცდელობისა, ოფიციალური პასუხი არ გამოგზავნილა. ინფორმაცია არ მოუწოდებიათ შემდეგი მუნიციპალიტეტებიდან/ბაგა-ბაღების გაერთიანებებიდან:

ქვემო ქართლი		**იმერეთი**	
მუნიციპალიტეტი	**ბაგა-ბაღების გაერთიანება**	**მუნიციპალიტეტი**	**ბაგა-ბაღების გაერთიანება**
რუსთავი	თეთრიწყარო	ზესტაფონი	ვანი
მარნეული		ქუთაისი	ქუთაისი
გარდაბანი		თერჯოლა	თერჯოლა
		საჩხერე	საჩხერე
		წყალტუბო	წყალტუბო
		ჭიათურა	ჭიათურა
		ხარაგაული	ხარაგაული
			სამტრედია
			ტყიბული
			ხონი

კვლევის მეორე ეტაპზე გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი – ფოკუს-ჯგუფები. კვლევის ინსტრუმენტად მოდერატორის მიერ გამოყენებული იყო წინასწარ შემუშავებული დისკუსიის გზამკვლევი, რომელიც მოიცავდა ძირითად საკვანძო საკითხებს საკვლევ თემასთან დაკავშირებით. შეხვედრები ჩატარდა სამ რეგიონში: ქ. თბილისი, იმერეთი და ქვემო ქართლი. თითოეულ დისკუსიას ესწრებოდა 6-14 ადამიანი. შეხვედრები გრძელდებოდა დაახლოებით 1,5-2 საათს. მიმდინარეობდა ფოკუს-ჯგუფების აუდიოჩაწერა, რის შესახებაც რესპონდენტები ინფორმირებულნი იყვნენ. საველე სამუშაოების შესრულების შემდეგ მომზადდა ფოკუს-ჯგუფების აუდიოჩანაწერების ტრანსკრიპტები, რის შემდეგაც მიღებული ინფორმაცია დამუშავდა და გაანალიზდა პროგრამა Nvivo-ს გამოყენებით.

შერჩევის აღწერა

მიუხედავად იმისა, რომ თვისებრივი კვლევა არ იძლევა ქვეყნის მთელ მოსახლეობაზე მონაცემების განზოგადების საშუალებას, კვლევის ფარგლებში საჭირო გახდა შერჩევის სხვადასხვა კრიტერიუმის შემოღება, კერძოდ, მნიშვნელოვანი იყო:

- ქვეყნის როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ნაწილის მოცვა;
- მაღალი მიმართვიანობის მქონე რეგიონების გამოყოფა;
- შედარებით დაბალი მიმართვიანობის მქონე რეგიონების გამოყოფა.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან (როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური ორგანოდან. შემდგომში – სააგენტო) გამოთხოვნილ იქნა სტატისტიკური ინფორმაცია, რომელშიც რეგიონების მიხედვით მითითებული იყო 2016-2019 წლებში ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ შეტყობინებების რაოდენობა. აღნიშნული კრიტერიუმებისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე კვლევის ფარგლებში შეირჩა 3 რეგიონი: თბილისი, ქვემო ქართლი და იმერეთი. შერჩევის პროცესში დაკმაყოფილებულია სამივე კრიტერიუმი: ბავშვთა მიმართ ძალადობაზე მიმართვიანობის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირებულია ორ რეგიონში – თბილისი, ქვემო ქართლი; ხოლო ერთ-ერთი დაბალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირებულია იმერეთში.

რაც შეეხება სამიზნე ჯგუფებს, კვლევის ფარგლებში ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობდნენ:

- პატრულის სამსახურის წარმომადგენლები
- უბნის ინსპექტორები/მართლწესრიგის ოფიცრები
- სკოლის პედაგოგები
- სკოლების ადმინისტრაციების წარმომადგენლები
- მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები
- სკოლამდელი განათლების დაწესებულებების აღმზრდელები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები
- სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები/ოჯახის ექიმი/სოფლის ექიმი
- თვითმმართველობის წარმომადგენლები/სოფლის რწმუნებულები/ მუნიციპალიტეტის/ მერიის წარმომადგენლები/ა(ა)იპ-ებისა და არაფორმალური წრეების წარმომადგენლები
- სპეციალიზებული დაწესებულებების/სოციალური მომსახურებების მიმწოდებელი ორგანიზაციების (შშმ ბავშვთა მიტოვების პრევენციის დღის ცენტრი, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარი, დედათა და ბავშვთა თავშესაფარი, სააღმზრდელო დაწესებულება, მინდობით აღზრდა) წარმომადგენლები
- სოციალური მუშაკები
- რეფერირების პროცესში ჩართული სამინისტროების შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები

კვლევის ფარგლებში ჩატარდა სულ 33 ფოკუს-ჯგუფი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა რეკრუტირების პროცესში ზოგიერთ უწყებასა თუ სამსახურთან, კერძოდ, რეფერირების პროცესში თავდაპირველადვე ჩართულ სუბიექტებთან, ზოგადსაგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებებთან დაკონტაქტების მცდელობისას თავს იჩენდა კომუნიკაციისა და ურთიერთთანამშრომლობის პრობლემები. მიუხედავად თხოვნისა, კვლევაში მონაწილეობაზე უარი თქვეს ქ. თბილისში მომუშავე მედიცინის მუშაკებმა; შესაბამისად, კვლევის ანგარიშში მათი მოსაზრებები არ არის დაფიქსირებული.

კვლევის ძირითადი მიგნებები

- ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების რეფერირების სტატისტიკა ბოლო სამი წლის განმავლობაში მზარდია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ჩართული უწყებები უკეთ ავლენენ ამგვარ ფაქტებს და ახდენენ მათზე რეაგირებას.
- სტატისტიკის მიხედვით, ძალადობის შემთხვევებში მეტია ბავშვთა უგულებელყოფის ფაქტები.
- მზარდია შეტყობინებათა რაოდენობა ბავშვთა მიმართ ძალადობის ისეთ ფორმებზე, როგორიცაა ადრეული ქორწინება და ოჯახური კონფლიქტები. მათთან შედარებით დაბალია იძულების, მოწყალების თხოვნის/შრომითი ექსპლუატაციისა და ტრეფიკინგის სტატისტიკური მაჩვენებელი.
- ბოლო ოთხი წლის განმავლობაში სხვადასხვა უწყებიდან სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში გადამისამართებული 4442 შეტყობინებიდან ძალადობა დადასტურდა 2092 შემთხვევაში (47%).
- იზრდება საზოგადოებაში ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხების შესახებ ინფორმირებულობის დონეც, რადგან შეტყობინებების საერთო რაოდენობის (4442) დაახლოებით 31% მოდის სწორედ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიერ მიწოდებულ შეტყობინებებზე.
- ბავშვთა მიმართ ძალადობის რეფერირების პროცესში ჩართული სუბიექტებიდან ყველაზე ხშირად მიმართვას აკეთებს პოლიცია (3496), შემდეგ მოდის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები (840), სამედიცინო დაწესებულებები (142), პროკურატურა/პრობაცია (137), სასამართლო (114) და სოციალური მომსახურების საააგენტოს უფლებამოსილი პირები – სოციალური აგენტები (98).
- სხვა ჩართულ სუბიექტებთან შედარებით დაბალია ადგილობრივი თვითმმართველობებისა და ბაგა-ბაღების გაერთიანებების მიმართვიანობის მაჩვენებლები. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მათგან მიღებული შეტყობინებების საერთო რაოდენობა 39-ს არ აღემატება.
- რეფერირებული შემთხვევების ბოლო ორი წლის მაჩვენებლები მიუთითებს, რომ მამრობითი სქესის ბავშვები უფრო მეტად ხდებიან ძალადობის მსხვერპლი.
- კვლევის სამიზნე რეგიონებში (თბილისი, ქვემო ქართლი, იმერეთი) ბავშვთა მიმართ ძალადობის გამოვლენის მაჩვენებლებით ლიდერობს თბილისი, მას მოსდევს ქვემო ქართლი; მათთან შედარებით, შესამჩნევად დაბალია იმერეთის მაჩვენებლები.
- 2017 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 ოქტომბრამდე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172[5] და 172[6] მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის არც ერთი ფაქტი არ არის დადასტურებული.
- მზარდია ბავშვთა მიმართ ძალადობის გამოვლენის შედეგად შემაკავებელი ორდერების გაცემის რაოდენობა ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის შემთხვევებში.
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 19 თებერვლის N1/80 ბრძანებით დამტკიცდა „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურებათა სამოქმედო ინსტრუქცია“, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს რეფერირების პროცედურების ფარგლებში საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და ტერიტორიული ორგანოების წარმომადგენლების მიერ ოჯახში ბავშვზე ძალადობის შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების პროცედურებს. ბრძანება მიწოდებული აქვთ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებს, ტერიტორიულ ორგანოებს, საჯარო სამართლის იურიდიული პირებსა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის – ხელმძღვანელებს.

- განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული სკოლის შიდა ინსტრუქცია“. შემდეგ ეტაპზე სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის 2019 წლის 15 ოქტომბრის N120 ბრძანებით დამტკიცდა „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“, რომელიც არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ძალადობის ყველა ფორმისგან ბავშვის დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურებისა და ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის თანამშრომელთა მიერ გასატარებელ სავალდებულო ღონისძიებებს.
- სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 11 ოქტომბრის N04-519/ო ბრძანებით დამტკიცდა „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში სოციალური მომსახურების სააგენტოს სამოქმედო ინსტრუქცია“.
- სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს მოცემულ ეტაპზე არ აქვს გაწერილი ბავშვთა მიმართ ძალადობის გამოვლენა-რეაგირების ინსტრუქცია სოფლის ექიმებისთვის.
- სამიზნე რეგიონების ზოგიერთ მუნიციპალიტეტში, მათ შორის თბილისში, არ არის გაწერილი ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების სამოქმედო ინსტრუქციები. გამონაკლისს წარმოადგენს თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობა, ასევე, დმანისის, ბოლნისისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტები, რომელთაც გაწერილი აქვთ „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში მუნიციპალიტეტის შიდა სამოქმედო ინსტრუქციები“.
- მუნიციპალიტეტების მსგავსად, ბაღა-ბაღების გაერთიანებების აბსოლუტურ უმრავლესობას არ აქვს გაწერილი „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები“. მათი ნაწილი აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით საბავშვო ბაღების ადმინისტრაციები ხელმძღვანელობენ შინაგანაწესებითა და წესდებებით. ინსტრუქცია გაწერილი აქვს მხოლოდ ბოლნისის, დმანისის, ბაღდათის, ზესტაფონისა და რუსთავის ბაგა-ბაღების გაერთიანებებს.
- პოლიციის აკადემია პოლიციელთათვის სისტემატურად ატარებს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო ღონისძიებებს (ტრენინგებს) ოჯახში ძალადობისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე. უბნის ინსპექტორების, პატრულ-ინსპექტორების, კრიმინალური პოლიციის ტერიტორიული ორგანოების, მართლწესრიგის ოფიცრების საბაზო მომზადების სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებულია ოჯახში/ქუჩაში ბავშვთა მიმართ ძალადობის გამოვლენა-რეაგირების საკითხების სწავლება.
- მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში დასაქმებულ უფლებამოსილ პირებს (უფროსი სოციალური მუშაკი, სოციალური მუშაკი, იურისტი, ფსიქოლოგი) უტარდებათ სხვადასხვა საგანმანათლებლო ტრენინგი ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებსა და სამართლებრივ რეგულაციებზე. ყველა ეს აქტივობა, ძირითადად, უზრუნველყოფილია დონორი ორგანიზაციების ფინანსური დახმარებით.
- მუნიციპალიტეტების აბსოლუტურ უმრავლესობაში დასაქმებულ პირებს არ აქვთ გავლილი ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის საკითხებზე გადამზადების ტრენინგი.
- ბაგა-ბაღების გაერთიანებებისა და სკოლამდელი განათლების დაწესებულებების წარმომადგენლებს, უმეტესად, არ აქვთ გავლილი ბავშვთა დაცვის საკითხებზე გადამზადების კურსი. ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულებში (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, დმანისი, ბაღდათი, ზესტაფონი) ჩატარებულია ერთჯერადი საგანმანათლებლო ღონისძიება (საინფორმაციო შეხვედრა), რომლის ფარგლებშიც ბაგა-ბაღების სააგენტოების თანამშრომლებს (ბაგა-ბაღების გაერთიანების/სკოლამდელი

აღზრდის დაწესებულებათა თანამშრომლები, ბაგა-ბაღის დირექტორები/ მოადგილეები) მიეწოდათ ინფორმაცია ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმებზე, ასევე, მათი ამოცნობისა და რეაგირების მექანიზმებზე. საგულისხმოა, რომ მოცემული საინფორმაციო შეხვედრების მონაწილეებს დაევალათ, ადგილებზე გაეცნოთ სხვა თანამშრომლებისთვის მიღებული ინფორმაცია, თუმცა, განხორციელდა თუ არა ეს აქტივობა, უცნობია.

- კვლევაში ჩართულ რესპონდენტებს ძალადობის არსისა და მნიშვნელობის შესახებ ჩამოყალიბებული აქვთ შეხედულებები, თუმცა ისინი მეტწილად საუბრობენ საკუთარ პრაქტიკაზე დაყრდნობით ჩამოყალიბებული დასკვნების საფუძველზე, შემდეგ კი აღნიშნულ გამოცდილებას განაზოგადებენ და მოარგებენ მოსახლეობის ამა თუ იმ ფენას, ემპირიული არგუმენტების გარეშე.
- კვლევაში მონაწილე რესპონდენტების უმეტეს ნაწილს შეუძლია, დაასახელოს ძალადობის ფორმები, მათ შორის: ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ძალადობა.
- რესპონდენტები სარგებლობენ ძალადობრივი ქმედებების იმგვარი კლასიფიკაციით, რომლის ჩამოყალიბებაზეც ზემოქმედება მოახდინა არა მხოლოდ ტრენინგებზე მიღებულმა ინფორმაციამ, სახელმძღვანელოებმა, არამედ საყოველთაოდ დამკვიდრებულმა მოსაზრებებმა.
- რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ძალადობა ვლინდება ძალის ფიზიკურ გამოყენებაში, თუმცა, მიუხედავად ამისა, ბავშვის დასჯის პროცესში მის მიმართ იმგვარი მეთოდების გამოყენება, როგორიცაა ცემა და თავში წამორტყმა, განიხილება აღზრდის მეთოდად და აღქმულია, როგორც დისციპლინის დაცვის ერთ-ერთი ეფექტური ფორმა.
- რესპონდენტების აზრით, ბავშვები ძალადობრივი ფაქტების შესახებ ხშირად იტყუებიან და თხზავენ ისტორიებს. შესაბამისად, ამგვარ ფაქტებზე ყურადღების გამახვილება მიზანშეწონილი არ არის.
- რესპონდენტები ბავშვის უფლებებს განიხილავენ, როგორც საშუალებას, რომლის დახმარებითაც მოზარდები თავს არიდებენ საკუთარ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს. ამგვარი დამოკიდებულება კი მათ აძლევთ შესაძლებლობას, ნებისმიერი ქმედება ჩათვალონ ძალადობად, რაც, რესპონდენტთა აზრით, სახელმწიფომ არ უნდა წაახალისოს.
- კვლევაში ჩართულ რესპონდენტებს, უმეტესად, გავლილი აქვთ გადამზადების კურსი ბავშვზე ძალადობის შესახებ, ასევე, იციან და ასახელებენ ძირითად ნიშნებს, როგორ ამოიცნონ ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი, თუმცა უჭირთ ფსიქოლოგიური ძალადობის კვალის პოვნა ბავშვებში.
- რესპონდენტთა მიერ დასახელდა ის ჯგუფები, რომელთა წარმომადგენლებიც მომეტებული რისკის ქვეშ არიან, ან გახდნენ ძალადობის მსხვერპლნი. რისკ-ჯგუფს განეკუთვნებიან: დისფუნქციური, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ოჯახების შვილები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები, მცირეწლოვნები, რომლებიც ვერბალურად ვერ გადმოსცემენ, ან არ შეუძლიათ საფრთხის აღქმა და გაანალიზება.
- მოძალადის „პორტრეტის“ შექმნის პროცესში რესპონდენტები ასახელებენ ფაქტორებს, რომლებიც პირს უბიძგებს ძალადობრივი ქმედების ჩადენისკენ. ეს ფაქტორებია: სქესი (მოძალადეებად, მეტწილად, აღიქმებიან მამაკაცები), მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და განათლების დაბალი დონე.
- რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ბავშვების მიმართ ძალადობრივი ქმედება ნებისმიერ გარემოში შეიძლება განხორციელდეს, მათ შორის: ოჯახში, საბავშვო ბაღში, სკოლაში, სახელოვნებო თუ სპორტულ წრეებში, ქუჩაში, ეზოში.
- ძალადობის ფაქტის შესახებ შემტყობინებლად სახელდება სოციალური მუშაკი, თავად მსხვერპლი ბავშვი, მსხვერპლის ოჯახის წევრი, იშვიათად – მეზობელი ან სკოლის წარ-

მომადგენელი; ბაღებისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების მიერ ძალადობის ფაქტზე შეტყობინების შემთხვევების რაოდენობა საკმაოდ მცირეა.

- შეტყობინება შესაძლო ძალადობის ფაქტის შესახებ, მეტწილად, გადაუმოწმებელი და დაუსაბუთებელია. ეჭვს, ძირითადად, პატრულის თანამშრომლები ასაბუთებენ.
- პედაგოგები ცდილობენ, დამალონ ძალადობის შემთხვევები და არ გააგებინონ მათ შესახებ შესაბამის უწყებებს. ამგვარად, ისინი თავს არიდებენ შემდგომ სამართლებრივ პროცედურებს და იცავენ სკოლის რეპუტაციას, რადგან ძალადობის ფაქტების გახმაურება სკოლების იმიჯზე ნეგატიურად აისახება.
- მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებისა და სკოლის პედაგოგების/ დირექციის ურთიერთობა ნაკლებად თანამშრომლობითია. ამის მიზეზი კი ძალადობის ფაქტის გასაჯაროების მიმართ მათ შეხედულებებს შორის არსებული განსხვავებაა.
- საბავშვო ბაღებისა და სკოლების წარმომადგენლები არ არიან კმაყოფილნი სოციალური მუშაკებისა და პატრულის მუშაობით და ფიქრობენ, რომ ამ სტრუქტურების საქმიანობა არაეფექტურია. სწორედ ასე ხსნიან ისინი მათი დაწესებულებებიდან გასული შეტყობინებების დაბალ მაჩვენებლებს.
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ფაქტის შეტყობინებას აზრი ეკარგება, როცა წინასწარ იციან, რომ შემდგომი ნაბიჯები მსხვერპლის მდგომარეობას ვერ გააუმჯობესებს; მეტიც, ისინი ეჭვობენ, რომ ამგვარი ქმედებით არსებულ სიტუაციას დაამძიმებენ.
- რესპონდენტებისთვის ძალადობის ფაქტზე შეტყობინება საფრთხესთან არის დაკავშირებული, რადგან ხშირად ეს ინფორმაცია არ არის კონფიდენციალური, შესაბამისად, მათ არ აქვთ დაცულობის შეგრძნება, რაც მთავარი ბარიერია შესაბამისი სტრუქტურებისთვის ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინების საქმეში.
- სოციალური მუშაკები მიიჩნევენ, რომ ზოგჯერ პოლიციის თანამშრომლები თავად არიან სტერეოტიპების მსხვერპლნი და კარგად არ აქვთ გააზრებული პრობლემის სიმძიმე.
- პოლიციელები მიიჩნევენ, რომ სოციალური მუშაკების რაოდენობა საკმარისი არ არის და მათი სამუშაო გრაფიკი არაა მოქნილი. ამის გამო ხშირად ექმნებათ პრობლემები.
- ზოგიერთ მუნიციპალიტეტს, სახელოვნებო წრეებს, საბავშვო ბაღებს არ აქვთ შემუშავებული შიდა სამოქმედო ინსტრუქცია. აღნიშნული დოკუმენტი მიწოდებული აქვს ყველა სკოლას, მაგრამ პედაგოგების დიდი ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას მისი არსებობის შესახებ. შიდა სამოქმედო ინსტრუქციის არსებობას თავიანთ სამუშაო დაწესებულებებში ადასტურებენ პატრულისა და მანდატურის სამსახურების თანამშრომლები, სერვისის მიმწოდებლები და სოციალური მუშაკები.

სამაგიდე კვლევის შედეგები

შესავალი

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა ბავშვთა დაცვის სისტემის სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბება და ბავშვთა მიმართ ძალადობის დროული იდენტიფიცირება და რეაგირება უწყებათაშორისი თანამშრომლობის ფარგლებში. სწორედ აღნიშნული მიზნის რეალიზებისთვის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 31 მაისის N152/ნ – N496–N45/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცდა „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები“. პროცედურების

მიზანი იყო ოჯახში და მის გარეთ ძალადობის ყველა ფორმისაგან ბავშვის დაცვის ხელშეწყობა ქვეყანაში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების გზით. პროცედურების განმახორციელებელი სუბიექტები იყვნენ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურები, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, სკოლები, ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებები (ბავშვზე ზრუნვის 24-საათიანი და დღის მომსახურებები), ასევე, სამედიცინო დაწესებულებები და სოფლის ექიმები.

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2013 წელს განხორციელებული კვლევის თანახმად, „ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში ფართოდაა გავრცელებული. ყოველი მეორე ქართველი მიიჩნევს, რომ დასჯის ძალადობრივი ფორმები უფრო ქმედითია, ვიდრე არაძალადობრივი აღმზრდელობითი მეთოდები. უფრო ხშირად ქალები, ვიდრე კაცები, ფიქრობენ, რომ ბავშვის მიმართ ძალადობა დასაშვები დისციპლინური სასჯელია. ამის გარდა, მოსახლეობის დიდ უმეტესობას, მათ შორის პროფესიონალებს – მასწავლებლებს, სოციალურ მუშაკებსა და პოლიციელებს – სჯერათ, რომ ოჯახის შიდა საქმეები მხოლოდ ოჯახს ეხება და გარეშე პირები ამაში არ უნდა ჩაერიონ. ეს ერთ-ერთი მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორია, რომელიც ხელს უშლის ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და რეფერირებას“ (ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში. 2013წ. გვ.12). ზემოაღნიშნული მიგნებების გათვალისწინებით, ნათელი გახდა, რომ საჭირო იყო ბავშვთა დაცვის (რეფერირების) მექანიზმების გაძლიერება. პრაქტიკამ ისიც დაადასტურა, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირების არეალი სცდება მხოლოდ საგანმანათლებლო, პირველადი ჯანდაცვის რგოლისა და სამართალდამცავთა კომპეტენციის/მოქმედების არეალს; ეს მოითხოვდა პასუხისმგებელ სუბიექტთა წრის გაფართოებას.

ყველა გამოვლენილი საჭიროების გათვალისწინებით, შემუშავდა „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ ახალი პროექტი, რომელიც დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით. დადგენილებით განისაზღვრა ბავშვზე ძალადობის იდენტიფიცირებასა და რეაგირებაზე პასუხისმგებელ უწყებები. ესენია: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის, საქართველოს იუსტიციის, საქართველოს შინაგან საქმეთა, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროები და მათ სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ/მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები და საქართველოს პროკურატურა, ასევე, მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოები/დაწესებულებები.

დაწესებულებების/მომსახურებების სახით „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურებში“ ჩართულ სუბიექტებად განისაზღვრა სკოლამდელი განათლების დაწესებულებები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, სკოლისგარეშე სახელოვნებო/სასპორტო წრეები, ადგილობრივი თვითმმართველობები, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბავშვთა დაცვის რეფერირების სისტემის მიზანს წარმოადგენს ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენა; მისი მდგომარეობის შეფასება და, ძალადობის შესახებ საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში – შესაბამისი ორგანოების ინფორმირება; საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის განთავსება ბავშვზე ზრუნვის შესაბამის დაწესებულებაში და ძალადობის შემთხვევაზე ზედამხედველობის განხორციელება. მოცემული ეტაპების დროულად და მოქნილად განხორციელება აჩქარებს ძალადობის მსხვერპლი ბავშვის დროულ იდენტიფიცირებას და მასზე სათანადო რეაგირებას. აღ-

ნიშნულს ხელს უწყობს ასევე ჩართულ უწყებებს შორის თანამშრომლობის გამართული მექანიზმების არსებობა.

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ ახალი რედაქციით, გაფართოვდა და დაკონკრეტდა საპატრულო პოლიციისა და საუბნო სამსახურების უფლებამოსილება, რომლებსაც პროცედურების ფარგლებში, გარდა ბავშვზე ძალადობის ფაქტების გამოვლენაზე ოპერატიული რეაგირებისა, დაევალა სოციალურ მუშაკთან ერთად ბავშვის მშობლებისგან/სხვა კანონიერი წარმომადგენლისგან ან სხვა პირებისგან განცალკევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება, მათ შორის, გადაუდებელ შემთხვევაში, ბავშვის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანა. ამის გარდა, შსს-ს უფლებამოსილი პირი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში („ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი), გამოსცემს შემაკავებელ ორდერს და იღებს გადაწყვეტილებას ბავშვის განცალკევებაზე; ასევე, სოციალური მუშაკის მიერ ბავშვის განცალკევებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებისათვის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, გამოსცემს იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერს.

გაფართოვდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილებაც. გარდა სააგენტოში სხვადასხვა სუბიექტისგან რეფერირებული ძალადობის მსხვერპლი ან სავარაუდო მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობის შეფასებისა და ძალადობის შემთხვევის მართვისა, სააგენტოს უფლებამოსილ პირს, სოციალურ მუშაკს, მიეცა უფლებამოსილება გადაუდებელ შემთხვევებში, უკიდურესი ზომის სახით, პოლიციის წარმომადგენელთან ერთად მიიღოს გადაწყვეტილება ოჯახიდან ბავშვის გამოყვანის ან მოძალადისგან განცალკევების შესახებ და ბავშვი შესაბამის სპეციალიზებულ დაწესებულებაში, საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო დაწესებულებაში განათავსოს. გარდა მითითებული ვალდებულებისა, სოციალურ მუშაკს დაევალა, საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს ბავშვისთვის დაბადების რეგისტრაციის ან/და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების, მათ შორის, დროებითი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მოპოვების/მიღების მიზნით შესაბამისი პროცედურაა; ასევე, მშობლის/მშობლების, სხვა კანონიერი წარმომადგენლების ან/და სხვა პასუხისმგებელი პირის კონსულტირება; გარდა ამისა, სააგენტოს სხვა უფლებამოსილი პირის, სოციალური აგენტის მიერ ოჯახის შეფასების პროცესში ბავშვზე ძალადობის ფაქტების გამოვლენისას სოციალური მუშაკი შეაფასებს შემთხვევას და ახდენს მასზე შესაბამის რეაგირებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური მუშაკისა და სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლის თანამშრომლობა „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მოთხოვნებიდან (მუხლი 52, პუნქტი 11) გამომდინარე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 2 აპრილის №04-217/ო ბრძანებით დამტკიცდა „არასრულწლოვანთა საპროცესო წარმომადგენლობის განხორციელების პროცესში სოციალური მომსახურების სააგენტოს სამოქმედო ინსტრუქცია“, რომლის თანახმადაც, სააგენტოს უფლებამოსილება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არის არასრულწლოვნის საპროცესო წარმომადგენლობის განხორციელება („განახორციელოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არასრულწლოვნის სახელით მისი საუკეთესო ინტერესების დასაცავად“). სააგენტო პროცესში ერთვება გამომძიებლის, პროკურორისა და მოსამართლის მიმართვის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, როდესაც მიმართვა ხორციელდება არასამუშაო საათებში/დღეებში, ან სატელეფონო შეტყობინებით, მიმართვა სააგენტოს წარმომადგენელს – სოციალურ მუშაკს – უნდა გადაეცეს ადგილზე მისვლისას. მიმართვა/დადგენილებაში დასაბუთებული უნდა იყოს ინფორმაცია როგორც კანონიერი წარმომადგენლის, ისე სანდო პირის ვერმოძიების შესახებ და სოციალური მუშაკის, როგორც საპროცესო წარმომადგენლის, ჩართვის სა-

ჭიროება. აღნიშნული რეგულაცია, თავისთავად, პირდაპირ არ უკავშირდება ბავშვთა დაცვის რეფერალის პროცედურებს, თუმცა, განსაზღვრავს უწყებათაშორის თანამშრომლობას, რომლის დროსაც არასრულწლოვნის უფლებების დაცვა მაქსიმალურად ბავშვზე უნდა იყოს ორიენტირებული. თუმცა, როგორც თვისებრივ კვლევაშია მოცემული, არსებულ პრაქტიკაში ამ მიმართულებითაც ბევრი გამოწვევაა, რაც აისახება არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის ხარისხზე.

რაც შეეხება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურებში“ ჩართულ სხვა სუბიექტებს, სკოლამდელი/ზოგადი განათლების დაწესებულებებს, სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მანდატურის სამსახურს და ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებებს, მათი ვალდებულებაა, ბავშვზე ძალადობის შესახებ ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ადგილზე გააანალიზონ შემთხვევა და, საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, უზრუნველყონ სააგენტოსა და პოლიციის ინფორმირება.

სამედიცინო სერვისების მიმწოდებლები (მათ შორის, სოფლის ექიმები) რეფერირების პროცედურების ფარგლებში ვალდებულნი არიან, ბავშვზე ძალადობის შესახებ ეჭვის გაჩენისას გააანალიზონ შემთხვევა და საფუძვლიანი ეჭვის გაჩენისას დაუყოვნებლივ მიაწოდონ ინფორმაცია სააგენტოსა და პოლიციას. კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვზე ძალადობის შემთხვევის სწორი მართვა, რაც გულისხმობს:

- შეფასების შედეგების ზუსტ დოკუმენტირებასა და კონფიდენციალურობის დაცვას;
- შესაბამისი სამედიცინო ტესტების დროულად ჩატარებას;
- ბავშვზე ძალადობის შედეგების, აგრეთვე სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკების შეფასებას;
- პრევენციული ზომების გატარებას, მათ შორის, მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა/სხვა პასუხისმგებელ პირთა განათლებას/ინფორმირებას ბავშვის განვითარებისა და ბავშვზე ზრუნვის საკითხებზე;
- ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობის განხორციელებას სააგენტოსთან თანამშრომლობით.

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების ფარგლებში ჩართული ახალი სუბიექტი – მუნიციპალიტეტების გამგეობა/მერია (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში – მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობა), უშუალოდ ან/და უფლებამოსილი დაწესებულების მეშვეობით ახორციელებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების მონიტორინგს და, ბავშვზე ძალადობის შესახებ ეჭვის გაჩენისას, რეფერირების პროცედურების ფარგლებში, უფლებამოსილია, ადგილზე გააანალიზოს შემთხვევა და, საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს სააგენტოსა და პოლიციის ინფორმირება.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები (თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში) უფლებამოსილნი არიან, რეფერირების პროცედურების ფარგლებში პენიტენციური დაწესებულებებისა და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში, ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენისას, ადგილზე გააანალიზონ შემთხვევა და, საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უზრუნველყონ სააგენტოსა და პოლიციის ინფორმირება.

სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრიც, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ბავშვზე ძალადობის შესახებ ეჭვის გაჩენისას აანალიზებს შემთხვევას და საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, უზრუნველყოფს სააგენტოსა და პოლიციის ინფორმირებას.

ბავშვთა მიმართ ძალადობის რეფერირების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტოს) მიერ მოწოდებულ იქნა ინფორმაცია ძალადობის ფორმების რაოდენობრივი მაჩვენებლების, ძალადობის გამოვლენის გეოგრაფიული არეალის, ასევე, შეტყობინების განმახორციელებელი მხარეების შესახებ 2016-2019 წწ. მიღებული შეტყობინებების გათვალისწინებით.

სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის (ცხრილი N1) შესწავლის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ 2016-2019 წლებში ქვეყნის მასშტაბით მზარდია ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების როგორც წლიური, ისე ძალადობის ცალკეული ფორმის მაჩვენებლები. განსაკუთრებით საგულისხმოა ის გარემოება, რომ ძალადობის ფორმებში ყოველწლიურად „ლიდერობს“ უგულებელყოფის ფაქტები, რაც მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ამ შემთხვევებში, სხვადასხვა მიზეზით, კანონიერი წარმომადგენლების/მზრუნველების მიერ სისტემატური სახე ჰქონდა ბავშვების საბაზისო საჭიროების/საჭიროებების დაუკმაყოფილებლობას.

ცხრილი N1

წელი	სულ	ფიზიკური ძალადობა	ფსიქოლოგიური ძალადობა	სექსუალური ძალადობა	უგულებელყოფა
2016 წ.	609	178	199	40	192
2017 წ.	664	236	165	42	224
2018 წ.	1175	389	392	70	324
2019 წ.	1299	342	402	88	467

სააგენტომ მოგვაწოდა ასევე ინფორმაცია ბავშვთა მიმართ ძალადობის ისეთ ფორმებზე, როგორიცაა ადრეული ქორწინება, ოჯახური კონფლიქტები, იძულება, მოწყალების თხოვნა/შრომითი ექსპლუატაცია და ტრეფიკინგი (ცხრილი N2).

ცხრილი N2

წელი	სულ	ადრეული ქორწინება	ოჯახური კონფლიქტები	იძულება, მოწყალების თხოვნა/ შრომითი ექსპლუატაცია	ტრეფიკინგი
2016 წ.	115	91	23	1	
2017 წ.	127	100	17	10	
2018 წ.	218	115	101	2	
2019 წ.	215	113	87	9	6

როგორც მთავრობის დადგენილებაშია განსაზღვრული, სააგენტო ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურებში ჩართული სხვადასხვა მხარისგან მიღებული შეტყობინების საფუძველზე, კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულია, განახორციელოს გამოვლენილი ძალადობის მსხვერპლი ან სავარაუდო მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობის შეფასება (მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი). წარმოდგენილი ინფორმაციით, ბოლო

ოთხი წლის განმავლობაში სააგენტოს მიერ მიღებულ 4442 შეტყობინებაზე განხორციელებული რეაგირების შედეგად ძალადობა დადასტურდა 2092 შემთხვევაში (47%).

საინტერესოა, თვალი მივადევნოთ ბავშვთა (0-დან 17 წლის ჩათვლით) მიმართ ძალადობის მაჩვენებლებს (2009-2019 წწ.), რომელიც წარმოდგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ გვერდზე, რაც ადასტურებს, რომ წლებთან ერთად იზრდება ძალადობის მსხვერპლი ბავშვების გამოვლენის მაჩვენებლები. ეს, თავის მხრივ, მიუთითებს პასუხისმგებელი უწყებებისა და საზოგადოების მხრიდან ამგვარ ფაქტებზე რეაგირების აუცილებლობის გაცნობიერებაზე, რაც, სავარაუდოდ, სახელმწიფო პოლიტიკის შედეგია.

ცხრილი N3

2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
3	3	15	13	9	37	87	138	160	275	598

ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტების ეტაპობრივად ზრდადი მაჩვენებლები, სავარაუდოდ, შეიძლება მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საზოგადოებაში ეტაპობრივად იზრდება ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხების შესახებ ინფორმირებულობის დონე, რაც ჩართულ სუბიექტებსა და მოქალაქეებს აძლევს საშუალებას, რეაგირების გარეშე არ დატოვონ ამგვარი ფაქტები. აღნიშნულს ადასტურებს ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული შეტყობინებების საერთო რაოდენობის (4442) დაახლოებით 31% მოდის სწორედ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიერ მიწოდებულ შეტყობინებებზე (ცხრილი N4):

ცხრილი N4

სააგენტოს ტერ-ლი ერთეული	მოქალაქე	ცხელი ხაზი	საზ-ვი ორგ-ია	ნათესავი	ანონიმური პირი	არასრულწ-ლოვანი
674	118	253	106	175	33	28

შენიშვნა: სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების მიერ მოწოდებული მაღალი მაჩვენებელი გულისხმობს სხვადასხვა გარე წყაროდან მიღებულ ინფორმაციას ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე და მათზე რეაგირების მაჩვენებელს.

რაც შეეხება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების“ ფარგლებში სააგენტოსთვის პასუხისმგებელი სუბიექტებისგან მიწოდებულ შეტყობინებებს, სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის დაჯამებულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, ყველაზე აქტიურად მიმართვებს გადაამისამართებს პოლიცია (3496), რომელიც რეაგირებას ახდენს როგორც უშუალოდ ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე, ისე ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ შეტყობინებებზე. პოლიციის შემდეგ ამ პროცესში აქტიურად არიან ჩართული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები (840), სამედიცინო დაწესებულებები (142), პროკურატურა/პრობაცია (137), სასამართლო (114) და სოციალური აგენტები (98).

რაც შეეხება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების“ ისეთ სუბიექტებს, როგორიცაა: ადგილობრივი თვითმმართველობა და ბაგა-ბაღების გაერთიანება, ოთხი წლის მანძილზე მათგან მიღებული შეტყობინებების საერთო რაოდენობა 39-ს არ აღემატება. მოცემულს ადასტურებს აგრეთვე კვლევის ფარგლებში ადგილობრივი თვით-

მმართველობებისა და ბაგა-ბაღების სააგენტოს წარმომადგენლებისგან ფოკუს-ჯგუფებში გაზიარებული ინფორმაციაც.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სააგენტო სისტემატურად იღებს შეტყობინებებს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან (227), ასევე, რეაგირებას ახდენს მედიასაშუალებებით გაშუქებულ შემთხვევებზე (25).

სააგენტოდან მიღებული ინფორმაციით, ასეთია ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტების რაოდენობა გენდერულ ჭრილში (ცხრილი N5), რაც მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ბოლო ორი წლის მაჩვენებლებით, მამრობითი სქესის ბავშვები მეტად ხდებიან ძალადობის მსხვერპლი. აღნიშნული განპირობებულია სოციალური მუშაკის მიერ არასრულწლოვნის საპროცესო წარმომადგენლობის განხორციელებით, რომლის დროსაც ჭარბობს მიმართვები მამრობითი სქესის არასრულწლოვნებთან დაკავშირებით.

ცხრილი N5

	სულ:	**2016**	**2017**	**2018**	**2019**
მდედრობითი	3180	420	498	1569	693
მამრობითი	3369	335	340	1765	929

საინტერესოა, თვალი მივადევნოთ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში კვლევის სამიზნე რეგიონებში ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ მიღებული შეტყობინებების რაოდენობრივ მაჩვენებლებს, რომლებიც მიუთითებს, რომ ბოლო ორი წლის ჯამური მაჩვენებლები მკვეთრად უსწრებს წინა ორი წლის მაჩვენებლებს (ცხრილი N6). ამასთანავე, ცალსახად ჩანს, რომ რაოდენობით ლიდერობს თბილისი, მას მოსდევს ქვემო ქართლი და შესამჩნევად დაბალია იმერეთის მაჩვენებლები. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ, თუ 2016-2017 წწ. სამიზნე რეგიონებს შორის გამოვლენის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო ქვემო ქართლში. მომდევნო ორ წელიწადში გამოვლენილი შემთხვევების რაოდენობით იგი 8-ჯერ და 4-ჯერ უსწრებდა იმერეთის მაჩვენებლებს. რაც შეეხება დედაქალაქს, გარდა, ზოგადად, შემთხვევების მზარდი ტენდენციისა, თუკი 2016-2017 წწ. რაოდენობრივი მაჩვენებლები ორჯერ აღემატებოდა იმერეთის ამავე პერიოდის მონაცემებს, მომდევნო ორ წელიწადში მაჩვენებლები ათჯერ და ხუთჯერ აღემატებოდა იმერეთში გამოვლენილ შემთხვევათა რაოდენობას. ამის მიზეზი, სავარაუდოდ, არის ის, რომ თბილისში, როგორც დედაქალაქში, და მის მიმდებარე რეგიონში, ქვემო ქართლში, დიდია მიმართვიანობა არასრულწლოვნების მიერ ჩადენილ დანაშაულთან ან არასრულწლოვნის გამოკითხვისას საპროცესო წარმომადგენლობის განხორციელებასთან დაკავშირებით.

ცხრილი N6

წელი	**თბილისი**	**ქვემო ქართლი**	**იმერეთი**
2016 წ.	220	69	122
2017 წ.	290	68	118
2018 წ.	1249	618	117
2019 წ.	568	288	179
სულ:	2327	1120	596

ახლა ვნახოთ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, როგორ არის წარმოდგენილი კვლევის სამიზნე რეგიონებში (თბილისი,

ქვემო ქართლი, იმერეთი) 2012-2019 წწ. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვების გამოვლენის რაოდენობრივი მაჩვენებლები (ცხრილი N7, N8, N9):

თბილისი: (ცხრილი N7)

2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
13	9	37	87	138	160	275	598

იმერეთი: (ცხრილი N8)

2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
0	0	0	23	33	38	69	89

ქვემო ქართლი: (ცხრილი N9)

2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
5	1	1	8	17	16	37	55

მითითებული სტატისტიკური ინფორმაცია ადასტურებს, რომ ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევათა რაოდენობრივი მაჩვენებლებით ლიდერობს თბილისი, მას მოსდევს იმერეთი. რაც შეეხება ქვემო ქართლის მაჩვენებლებს, ისინი თითქმის ათჯერ ნაკლებია თბილისის და თითქმის ორჯერ ნაკლებია იმერეთის მონაცემებთან შედარებით, რაც გვაფიქრებინებს, რომ ქვემო ქართლში ნაკლებად ვლინდება/დასტურდება ოჯახში ძალადობის ფაქტები ან, ამგვარი ფაქტების გამოვლენისას, ოჯახში ძალადობის შემთხვევებში, არასრულწლოვნები მსხვერპლებად აღიარებულნი არ არიან. ამის დაშვების წინაპირობას ქმნის იმავე სტატისტიკურ ინფორმაციაში მოცემული მზარდი რაოდენობრივი მაჩვენებლები (იხ. ცხრილი N10) ოჯახში ძალადობის მსხვერპლი სრულწლოვანი პირების (17-44 წლის ასაკს ზევით) შესახებ:

ცხრილი N10

2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
55	51	77	147	166	183	366	487

სამაგიდე კვლევის ფარგლებში შსს-დან გამოთხოვნილ იქნა სტატისტიკური ინფორმაცია 2017 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 ოქტომბრამდე (ჩათვლით) პერიოდში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172^5 და 172^6 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობაზე დაჯარიმების შემთხვევების რაოდენობისა და დაჯარიმებული პირების სტატუსის (ფიზიკური/იურიდიული პირი) შესახებ. უწყებიდან მიღებული პასუხის თანახმად, მითითებულ პერიოდში შსს-ში არ ფიქსირდება სამართალდარღვევის არც ერთი ფაქტი. თუკი მხედველობაში მივიღებთ სააგენტოდან მიღებულ ინფორმაციას ბავშვთა მიტოვების მაჩვენებლების შესახებ (იხ. ცხრილი N11), ასევე, „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონით (2016წ.) გათვალისწინებულ მკაცრ რეგულაციებს, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172^5 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა სრულდება.

ცხრილი N11

ბავშვის მიტოვების შემთხვევები	2016	2017	2018	2019
	24	35	28	16

რაც შეეხება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172[6] მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უფლებამოსილი ფიზიკური თუ იურიდიული პირები არ ზრუნავენ ამგვარი ფაქტების გამოვლენასა და გადამისამართებაზე, რადგან ან არ სმენიათ კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ, ან იციან, მაგრამ შეგნებულად მალავენ ამგვარ ფაქტებს და არ რეაგირებენ მათზე.

კვლევის ფარგლებში შსს-დან ასევე მოწოდებულ იქნა ინფორმაცია 2017 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 ნოემბრამდე (ჩათვლით) პერიოდში „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად უფლებამოსილი უწყების მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობის შესახებ (იხ. ცხრილი N12). წარმოდგენილ მაჩვენებლებით შეიძლება დაზუსტებით ითქვას, რომ წლებთან ერთად ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოვლენის პროცესში იმატებს ბავშვის მიმართ ძალადობრივი ურთიერთობების შემთხვევები. აღნიშნულს ადასტურებს ასევე კვლევის ფარგლებში, პოლიციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფებიც.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ 2019 წლის ოქტომბრამდე (ჩათვლით) პერიოდის მაჩვენებელი 2-ჯერ აღემატება 2017 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელს. აღნიშნული გარემოება, სავარაუდოდ, მიუთითებს იმაზეც, რომ სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლები იცნობენ არა მარტო ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმებს, არამედ მისი გამოვლენის მახასიათებლებსა და სამართლებრივ რეგულაციებს.

წინა წლებში არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით შემაკავებელი ორდერების გამოწერის დაბალ მაჩვენებლებზე მითითებულია საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშშიც („ოჯახში ძალადობისგან დამცავი მექანიზმების შეფასება“, 2017წ.), რომელშიც აღნიშნულია, რომ 2015 წელს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის შემდეგ მათ მიმართ ამ ძალადობის განმახორციელებლებზე გაცემულ იქნა 2536 შემაკავებელი ორდერი და მათგან 87 უკავშირდებოდა არასრულწლოვან მსხვერპლს. ეს მაშინ, როდესაც ძალადობის მსხვერპლთა განსათავსებელ დაწესებულებებში (თავშესაფრებში) 2016 წელს შევიდა 109 ძალადობის მსხვერპლი და 144 დამოკიდებული პირი, ანუ არასრულწლოვანი. შესაბამისად, ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე გაცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობის ზრდა, სავარაუდოდ, მიუთითებს ჩართული მხარეების მეტ ინფორმირებულობასა და ბავშვთა დაცვის მექანიზმების გაუმჯობესებაზე. მოცემულ პრობლემაზე ყურადღება არის გამახვილებული გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2013 წელს განხორციელებულ კვლევაშიც („ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში“), რომელშიც წერია, რომ „რეფერალის პოტენციური სისუსტე მჟღავნდება, როცა შემაკავებელ ორდერში მხოლოდ დედები (ბავშვების გარეშე) არიან ძალადობის მსხვერპლად იდენტიფიცირებული. ამ შემთხვევაში, პოლიციას არ აქვს პასუხისმგებლობა, შეატყობინოს სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკებს მაშინაც კი, როდესაც ოჯახში არის ბავშვი“. შესაბამისად, ბოლო წლების სტატისტიკა მიუთითებს ოჯახში ძალადობის დროს ბავშვის მდგომარეობის შეფასების შემდეგ, და, საჭიროების შემთხვევაში, ამ ფაქტებზე რეაგირების მექანიზმების გაუმჯობესებაზე.

ცხრილი N12

ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე გაცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობა	2017	2018	2019
	204	372	654

რაც შეეხება შსს-ს მიერ განმეორებით გაცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობას, უწყებაში აღნიშნულზე ინფორმაცია არ ფიქსირდება.

განსხვავებული ინფორმაცია აქვს მოწოდებული სააგენტოს იმავე პერიოდში გაცემული შემაკავებელი და დამცავი ორდერების რაოდენობაზე (ცხრილი N13). აღნიშნულის მიზეზი შეიძლება იყოს ის გარემოება, რომ მოცემულ ეტაპზე „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების“ მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნას („ბავშვთა ძალადობის ერთიანი ბაზის ტექნიკური ადმინისტრირება“) ახორციელებს პოლიცია. მოცემულ ინფორმაციაზე წვდომა, გარდა შსს-სი, აქვს პროკურატურას. რაც შეეხება სააგენტოს, როგორც უწყების წერილშია მითითებული, მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა ამ მიმართულებით, რის შემდეგაც სააგენტოს ექნება შესაძლებლობა, წვდომა ჰქონდეს ერთიან ბაზაზე, რაც თავიდან აგვაცილებს განსხვავებულ სტატისტიკურ ინფორმაციას. ამ ეტაპზე კი სააგენტოსა და შსს-ს მიერ მოწოდებული მონაცემების განსხვავებულობა განპირობებულია იმით, რომ შსს არ აწვდის ინფორმაციას სააგენტოს ყველა შემაკავებელი/დამცავი ორდერის გამოცემის შემთხვევაზე. შეტყობინება ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ოჯახში არის არასრულწლოვანი, რომელზეც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ხორციელდებოდეს ძალადობა; ან როდესაც შემაკავებელი ორდერის გამოწერას ესწრება სოციალური მუშაკი. სწორედ ამ შემთხვევებს აღრიცხავს სააგენტო.

ცხრილი N13

	2017	2018	2019
შემაკავებელი ორდერი	104	273	293
დამცავი ორდერი	5	2	

ბავშვთა მიმართ ძალადობის რეფერირების პროცესში ჩართული სუბიექტების მიერ შემუშავებული სავალდებულო ინსტრუქციების არსებობა

როგორც ცნობილია, 2010 წელს დამტკიცდა „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ პირველი ვერსია(საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ერთობლივი ბრძანება N152/ნ–N496–N45/ნ). ბრძანების მე-6 მუხლის მე-7 პუნქტით განისაზღვრა, რომ პასუხისმგებელი სუბიექტები ვალდებულნი იყვნენ, შეემუშავებინათ ბავშვის მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა წესები; თუმცა, მიუხედავად არსებული ჩანაწერისა, შიდა წესები არ გაუწერია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. შესაბამისად, პროცედურების განხორციელების პრაქტი-

კამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებისთვის არ იყო ცნობილი ბრძანებით გათვალისწინებული ვალდებულებები, ან, ბავშვთა მიმართ ძალადობის მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის ფლობის მიუხედავად, არ იცოდნენ, რა კონკრეტული პროცედურები უნდა განეხორციელებინათ ბავშვთა მიმართ ძალადობის ეჭვის გამოვლენის, საფუძვლიანი ეჭვის დასაბუთების და შესაბამისი უწყებისთვის/უწყებებისთვის გადამისამართების შემთხვევებში. სწორედ ამიტომ „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ ახალ რედაქციაში (2016 წ.) კიდევ ერთხელ ჩაიწერა, რომ ყველა უფლებამოსილმა სუბიექტმა უნდა შეიმუშაოს და დაამტკიცოს ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, რაც დაეხმარება ყველა პროფესიონალს აღნიშნული პროცესის სტრუქტურირებულად (პასუხისმგებელი და ჩართული პირების ვალდებულებები, შეფასების პროცესები, მულტისექტორული თანამშრომლობის მეთოდები) წარმართვაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოცემული ვალდებულების შესრულების შეფასების მიზნით, გამოთხოვნილ იქნა ინფორმაცია შსს-დან, განათლების სამინისტროდან, სააგენტოდან, საგანგებო სიტუაციების ცენტრიდან, ასევე, სამიზნე რეგიონების ყველა მუნიციპალიტეტის მერიიდან და ბაგა-ბაღების გაერთიანებებიდან.

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის მხრივ, პრობლემა არ შექმნილა სახელმწიფო უწყებებთან (სამინისტრო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი) ურთიერთობის დამყარების პროცესში, მაგრამ მუნიციპალიტეტებმა და ბაგა-ბაღების გაერთიანებებმა დააგვიანეს პასუხის გაცემა ოფიციალურ მიმართვაზე, შემუშავებული დოკუმენტების ასლების გადმოგზავნა, ამასთან, მათში მოცემული ინფორმაცია შინაარსობრივად (შემუშავებული პროცედურების აღწერა; თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების თემატიკისა და ორგანიზატორების მითითება და სხვ.) განვრცობილი არ არის.

ახლა უფრო დეტალურად განვიხილოთ უფლებამოსილი სუბიექტებისგან მიღებული ინფორმაცია.

შინაგან საქმეთა სამინისტრო:

შსს-დან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მითითებული ვალდებულება დარეგულირებულია „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურებათა სამოქმედო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 19 თებერვლის #N1/80 ბრძანებით. როგორც უწყებიდან მიღებულ წერილშია ნათქვამი, მოცემული ბრძანება შემუშავდა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების წარმომადგენლებთან კონსულტაციების შედეგად. სამინისტროს თანამშრომლებს ყველა საკანონმდებლო და სახელმძღვანელო სიახლე გადაეგზავნება/გაეცნობა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა Eflow-ის საშუალებით; შესაბამისად, მითითებული ბრძანება ამოქმედებისთანავე გადაეგზავნა ყველა შესაბამის დანაყოფს. ამასთან, ბრძანება გამოქვეყნებული და ხელმისაწვდომია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (info.police.ge). ბრძანების მე-3 პუნქტი ცალსახად მიუთითებს, რომ „ბრძანება უნდა გაეცნოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის – ხელმძღვანელებს“.

სამოქმედო ინსტრუქცია დეტალურად განსაზღვრავს რეფერირების პროცედურების ფარგლებში საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და ტერიტორიული ორგანოების წარმომადგენლების მიერ ოჯახში ბავშვზე ძალადობის შემთხვევებზე შემდეგი სახის ოპერატიულ რეაგირებას:

- რეფერირების პროცედურებში მონაწილე სუბიექტებისგან, ასევე სხვა წყაროებიდან ბავშვზე ძალადობის ან ძალადობის ეჭვის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში ახდენს რეაგირებას;
- ადგილზე გამოცხადებისას ფაქტის შეფასების მიზნით ესაუბრება სავარაუდო მსხვერპლს, სავარაუდო მოძალადეს, ოჯახის წევრებს, მოწმეებს (მეზობლებს, ნათესავებს და სხვ.). ძალადობის ნიშნების/მახასიათებლების არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აწვდის ინფორმაციას სააგენტოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „ცხელი ხაზის“ (15-05) ან/და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით;
- მოძალადისგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახდენს ძალადობის ნიშნების იდენტიფიკაციას, ასევე, გამოჰკითხავს ბავშვსა და სხვა პირებს ინფორმაციის მიღების მიზნით. საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, იძახებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას და კონსულტაციას გადის ბრიგადის ექიმთან, ხოლო გადაუდებელ შემთხვევაში თავად უზრუნველყოფს ბავშვის გადაყვანას სამედიცინო დაწესებულებაში.
- მშობლისგან, სხვა კანონიერი წარმომადგენლისგან ან ბავშვთან ფაქტობრივად მყოფი/მცხოვრები სხვა პირისგან ბავშვის განცალკევება წარმოადგენს უკიდურეს ზომას, რომელიც გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც აშკარაა გადაუდებელი მდგომარეობა. განცალკევებას ასევე განაპირობებს ის გარემოებები, როდესაც გამოყენებულ იქნა სხვა, ნაკლებად მკაცრი ზომები (გასაუბრება და გაფრთხილება), თუმცა ამან ვერ გამოიღო სასურველი შედეგი, ან შექმნილ ვითარებაში აშკარაა, რომ მომდევნო 24 საათის განმავლობაში ნაკლებად მკაცრი ზომების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს ბავშვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას, რაც გამოიწვევს ბავშვის გარდაუვალ დაღუპვას ან ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანებას.
- კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში უფლებამოსილი წარმომადგენელი გამოწერს შემაკავებელ ან იარაღთან დაკავშირებული უფლების შეზღუდვის ორდერს როგორც საკუთარი გადაწყვეტილების, ისე მოცემული ინსტრუქციით განსაზღვრულ შემთხვევაში, სააგენტოს სოციალური მუშაკის მოთხოვნის საფუძველზე. ასეთ შემთხვევებში, როდესაც არის განსაკუთრებული მდგომარეობა, იგი უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხო გარემოში გადაყვანას მარტო ან მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან/სხვა პასუხისმგებელ პირთან ერთად.
- უფლებამოსილი პირი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ადგენს გასაუბრების ოქმს ბავშვზე ძალადობის ფაქტისა და მიღებული ზომების შესახებ, რომელსაც წარუდგენს უშუალო ხელმძღვანელს.

უწყების მიერ გაწერილი სამოქმედო ინსტრუქცია ასევე განსაზღვრავს რეფერირების პროცედურების ფარგლებში საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და ტერიტორიული ორგანოების წარმომადგენლის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილ პირებთან – სოციალურ მუშაკებთან – თანამშრომლობის ასპექტებს.

- თუ გამოძახება დაფიქსირდა სამუშაო დღის განმავლობაში და უფლებამოსილი პირი არსებულ მდგომარეობას აფასებს, როგორც გადაუდებელ შემთხვევას, რომლის დროსაც ბავშვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ემუქრება საფრთხე, იგი იღებს გადაწყვეტილებას ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მოძალადისგან განცალკევების (ოჯახში ძალადობის შემთხვევაში – შემაკავებელი ორდერის საფუძველზე) თაობაზე, რასაც დაუყოვნებლივ შეატყობინებს სააგენტოს.
- თუ გამოძახება დაფიქსირდა სამუშაო დღის განმავლობაში და მდგომარეობის შესწავლის შედეგად არ არსებობს შემაკავებელი ან იარაღთან დაკავშირებული უფლების შეზღუდვის ორდერის გამოწერის აუცილებლობა, მაგრამ არსებობს ბავშვზე ძალადობის

საფუძვლიანი ეჭვი, უფლებამოსილი წარმომადგენელი ელოდება ადგილზე სააგენტოს სოციალური მუშაკის გამოცხადებას და ეხმარება მას ბავშვთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაში.

- თუ გამოძახება დაფიქსირდა არასამუშაო საათებში (18 საათიდან დილის 9 საათამდე), დასვენების ან უქმე დღეებში, ფაქტის ადგილზე შესწავლისა და საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში, უფლებამოსილი წარმომადგენელი გამოწერს შემაკავებელ ორდერს და უზრუნველყოფს ბავშვის მოძალადისგან განცალკევებას, აუცილებლობის შემთხვევაში კი ბავშვის უსაფრთხო გარემოში გადაყვანას სააგენტოსთან კონსულტაციის საფუძველზე. კონსულტაციის შედეგად მიიღება გადაწყვეტილება ძალადობის მსხვერპლი ბავშვის განცალკევების ადგილის განსაზღვრის შესახებ. ამ დროს განიხილება რამდენიმე ალტერნატიული გარემო: ოჯახის წევრთან გადაყვანა, რომელიც სხვა მისამართზე ცხოვრობს; ნათესავთან, მეზობელთან ან სხვა მესამე პირთან გადაყვანა; ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებაში გადაყვანა. განცალკევების ადგილის შერჩევისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბავშვის ასაკი, მისი ასაკისა და განვითარების ხარისხის, ასევე, ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.
- იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის მოძალადისგან განცალკევების (უსაფრთხო გარემოში გადაყვანის) შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია სააგენტოს სოციალური მუშაკის მიერ, უფლებამოსილი მოსამსახურე ცხადდება გამოძახების ადგილზე სააგენტოს სოციალური მუშაკის მიმართვის საფუძველზე და ეხმარება მას ბავშვთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაში.

შიდა სამოქმედო ინსტრუქცია ასევე მოიცავს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და ტერიტორიული ორგანოების წარმომადგენლების მიერ ბავშვზე ოჯახის გარეთ ძალადობის შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების ღონისძიებებს. ესენია:

- თუ ბავშვზე ძალადობა მოხდა ოჯახის გარეთ – ოჯახის არაწევრის მიერ, უფლებამოსილი პირი ფაქტის შეფასების მიზნით შეისწავლის მდგომარეობას, გაესაუბრება სავარაუდო არასრულწლოვან მსხვერპლს, სავარაუდო მოძალადეს, ოჯახის წევრებს, მოწმეებს (მეზობლებს, ნათესავებს და სხვ.), მოიპოვებს მტკიცებულებებს; ძალადობის ნიშნების ან შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, აღკვეთს ბავშვზე ძალადობის ფაქტს და დადგენილი წესით დაუყოვნებლივ მიაწვდის ინფორმაციას სააგენტოს.
- იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდა ბავშვზე ძალადობის ფაქტი, მოძალადისგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში უფლებამოსილი პირი ახდენს ძალადობის ნიშნების იდენტიფიკაციას, გამოჰკითხავს ბავშვსა და სხვა პირებს, საჭიროების შემთხვევაში, იძახებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას და კონსულტაციას გადის ბრიგადის ექიმთან, რის საფუძველზეც იღებს გადაწყვეტილებას ბავშვის განცალკევების (უსაფრთხო გარემოში გადაყვანის) თაობაზე, ხოლო გადაუდებელ შემთხვევაში თავად გადაჰყავს ბავშვი სამედიცინო დაწესებულებაში.
- იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი პირის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ადგილზე გამოცხადდა სააგენტოს სოციალური მუშაკი, მდგომარეობის შეფასება და გადაწყვეტილებას მიღება ევალება სააგენტოს სოციალურ მუშაკს, ხოლო უფლებამოსილი პირი ეხმარება ბავშვთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაში.
- იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილ პირს შემთხვევის ადგილზე გამოიძახებს სააგენტოს სოციალური მუშაკი, უფლებამოსილი პირი ცხადდება შემთხვევის ადგილზე, ელოდება სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებას და ეხმარება მას ბავშვთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაში.

- ყველა ზემოაღნიშნული ქმედების განხორციელების შემდეგ ბავშვი უნდა დაბრუნდეს სახლში უფლებამოსილი პირის თანხლებით მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან/სხვა პასუხისმგებელ პირთან ერთად ან მათ გარეშე.
- უფლებამოსილი პირი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ადგენს გასაუბრების ოქმს ბავშვზე ძალადობის ფაქტისა და მიღებული ზომების შესახებ, რომელსაც წარუდგენს უშუალო ხელმძღვანელს.

შიდა სამოქმედო ინსტრუქციაში ასევე დეტალურად არის აღწერილი ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობის პროცედურების ფარგლებში შსს-ს უფლებამოსილი პირის (უბნის ინსპექტორი/მართლწესრიგის ოფიცერი) კომპეტენციები. ესენია:

- ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობის მიზნით სააგენტოს სოციალური მუშაკი ადგენს ინდივიდუალური განვითარების გეგმას, რომელშიც აისახება ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე გასატარებელი ღონისძიებები. შესაძლებელია, აღნიშნული ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენაში მონაწილეობა მიიღოს შსს-ს უფლებამოსილმა პირმაც, რომელიც, კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაზღვრავს სააგენტოს სოციალურ მუშაკთან თანამშრომლობის ფორმას.
- რეფერირების პროცედურებში მონაწილე სუბიექტები (სკოლამდელი/ ზოგადსაგანმანათლებლო/სამედიცინო დაწესებულებები და სხვ.) სამინისტროს აწვდიან ინფორმაციას მოძალადის მიერ ბავშვთან კავშირის დამყარების მცდელობის შესახებ, თუ გამოწერილია შემაკავებელი ან დამცავი ორდერი და შესაბამისი დაწესებულება გახდა მოძალადის მიერ ბავშვთან კავშირის დამყარების მცდელობის მოწმე.
- უფლებამოსილი პირი (უბნის ინსპექტორი/მართლწესრიგის ოფიცერი) ახორციელებს დამცავი, შემაკავებელი და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერებით განსაზღვრული მოთხოვნების და პირობების შესრულების მეთვალყურეობას, ასევე, ძალადობის შესახებ პოლიციაში შესული ინფორმაციის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში თვალყურს ადევნებს ძალადობის მსხვერპლ ბავშვს და მდგომარეობას მის ოჯახში, თუ ძალადობა ოჯახში განხორციელდა.

მნიშვნელოვანია, რომ ინსტრუქცია ასევე განსაზღვრავს სამინისტროსა და ბავშვთა მიმართ ძალადობის რეფერირების პროცედურებში მონაწილე სხვა სუბიექტებს შორის ინფორმაციის გაცვლის პრაქტიკასაც, რის თანახმადაც, უფლებამოსილი დანაყოფები კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ სააგენტოსა და რეფერირების პროცედურებში ჩართულ სხვა სუბიექტებთან ბავშვის შესახებ ინფორმაციის გაცვლას. ეს უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით, ხოლო გადაუდებელ შემთხვევებში – სატელეფონო ან/და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

განათლების სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სამინისტროში სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებების, მიერ „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ შესრულების მიზნით შემუშავდა შიდა სამოქმედო ინსტრუქციები. პირველი ინსტრუქცია შეიმუშავა სამინისტროში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა. სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტმა ეს დოკუმენტი დამტკიცებისთანავე გადაუგზავნა ქვეყნის მასშტაბით მოქმედ ყველა სკოლას.

სკოლაში ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია არეგულირებს ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში სავარა-

უდო მსხვერპლ ბავშვსა და მოწმეებთან ადგილზე გასაუბრებისა და ფაქტის გაანალიზების, ხოლო საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას – პოლიციისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმირების წესს.

ძალადობის ყველა ფორმისაგან ბავშვის დაცვის მიზნით სკოლის უფლებამოსილება და ვალდებულებაა:

- გამოავლინოს ბავშვზე ძალადობის შემთხვევა;
- ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ადგილზე გააანალიზოს შემთხვევა და, საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, უზრუნველყოს პოლიციისა და სააგენტოს ინფორმირება;
- სააგენტოსთან თანამშრომლობით განახორციელოს ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობა.

ინსტრუქციის თანახმად, „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებისა“ და შიდა სამოქმედო ინსტრუქციის დაცვის მიზნით სკოლის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ნიშნავს უფლებამოსილ პირს, რომელიც უნდა იყოს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური, ხოლო მანდატურის არარსებობის შემთხვევაში – სკოლის დირექტორი/დირექტორის მოადგილე.

ინსტრუქცია განსაზღვრავს იმ ფაქტორებს/მახასიათებლებს, რომელთა გათვალისწინებითაც საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლებმა უნდა მიიტანონ ეჭვი ბავშვის მიმართ სავარაუდოდ განხორციელებულ ძალადობაზე. ამ მიზნით სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომელი, ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ვალდებულია, მიმართოს უფლებამოსილ პირს, რომელიც ადგილზე გადაამოწმებს ინფორმაციას – გაესაუბრება სავარაუდო მსხვერპლ ბავშვს, მოწმეებს და გააანალიზებს შემთხვევას, რათა დადგინდეს, საფუძვლიანია თუ არა წარმოქმნილი ეჭვი.

თუ შესწავლის შედეგად დადასტურდა ბავშვზე ძალადობის ეჭვის საფუძვლიანობა, უფლებამოსილი პირი ვალდებულია, შეავსოს ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათი, რომელიც ეგზავნება სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულს ფოსტით/ფაქსით/შესაბამისი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემით, ხოლო გადაუდებელ შემთხვევაში ის ვალდებულია, ინფორმაცია ბავშვზე ძალადობის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს პოლიციას, გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა და სააგენტოს შეატყობინოს „ცხელი ხაზის“ მეშვეობით ან/და წერილობით.

შიდა სამოქმედო ინსტრუქცია ასევე განსაზღვრავს სკოლის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობის განხორციელებისა და რეფერირების პროცედურებში ჩართულ სხვა სუბიექტებთან ინფორმაციის გაცვლის ღონისძიებებს.

სამინისტროდან მოწოდებული ცნობის თანახმად, გარდა აღნიშნული ინსტრუქციისა, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის 2019 წლის 15 ოქტომბრის N120 ბრძანებით დამტკიცდა „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“, რომელიც არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ძალადობის ყველა ფორმისგან ბავშვის დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურებისა და ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის თანამშრომელთა მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში გასატარებელ სავალდებულო ღონისძიებებს. ინსტრუქციის შემუშავების პროცესში ჩართულნი იყვნენ სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები. ინსტრუქცია უფრო დეტალურად აღწერს (ძალადობის ფორმებისა და მათი მახასიათებლების განმარტება, მანდატურის სამსახურის/მანდატურის უფლებამოსილება, ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის გამოვლენა, შეფასება და გადამისამართება, ძალადობის მსხვერპლი ბავშვის შესახებ ინფორმაციის კონფიდენ-

ციალურობა, „ცხელი ხაზის“ საკონტაქტო ნომრები, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ძალადობის ფაქტის შეუტყობინებლობის შემთხვევაში) ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირებისა და გადამისამართების პროცედურებს, რაც ქმნის ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე სწრაფი რეაგირების მექანიზმებს.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო

სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან ირკვევა, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 11 ოქტომბრის N04-519/ო ბრძანებით დამტკიცდა „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში სოციალური მომსახურების სააგენტოს სამოქმედო ინსტრუქცია“. მის შემუშავებაში ჩართული იყვნენ სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსი, მეურვეობა-მზრუნველობის სამმართველოსა და ბავშვთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ადმინისტრირების სამმართველოს უფროსები, ასევე, ამავე სამმართველოების მთავარი სპეციალისტები. ინსტრუქცია დამტკიცებისთანავე მიეწოდა სააგენტოს ყველა ტერიტორიულ ერთეულს. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში“ სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის ბავშვთა და ოჯახში ძალადობის ადმინისტრირების სამმართველოს, სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების, სოციალური მუშაკების კომპეტენციებსა და ამ პროცედურებში ჩართულ სხვა სუბიექტებთან მათი კოორდინირებული ურთიერთობის ღონისძიებებს.

შიდა სამოქმედო ინსტრუქციის თანახმად, „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში“ სააგენტოს უფლებამოსილებაა ძალადობის მსხვერპლი ან სავარაუდო მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობის შეფასება, შემთხვევის მართვა, კონსულტირება, გადაუდებელ შემთხვევაში – გადაწყვეტილების მიღება მოძალადისგან ბავშვის განცალკევების შესახებ, ბავშვის საჭირო მომსახურებაში განთავსება, მის მდგომარეობაზე ზედამხედველობა და ძალადობის შემთხვევათა რეესტრების წარმოება.

სააგენტო პროცედურებში ერთვება იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა წყაროდან (წერილობითი, სატელეფონო ან/და სხვა ნებისმიერი სახის საკომუნიკაციო შეტყობინება) მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ვლინდება ბავშვზე განხორციელებული ძალადობის საფუძვლიანი ეჭვი ან ძალადობის ფაქტი დადასტურებულია და ბავშვი მოთავსებულია დროებით საცხოვრებელში ოჯახის ან/და მუდმივი ადგილსამყოფლის გარეთ, ან მოძალადეა განცალკევებული მუდმივი ადგილსამყოფლიდან.

შიდა სამოქმედო ინსტრუქციაში დეტალურად არის გაწერილი სააგენტოს უფლებამოსილი პირის – სოციალური მუშაკის – კომპეტენცია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურებში, კერძოდ:

- პოლიციის შემაკავებელი ორდერით დადასტურებული, ბავშვზე ძალადობის ფაქტის შესახებ მომართვის საფუძველზე, შეტყობინების მიღებისთანავე (გარდა არასამუშაო საათებში – 18 საათიდან დილის 9 საათამდე, დასვენების ან უქმე დღეებში გამოცემული შემაკავებელი ორდერებისა), სოციალური მუშაკი გადის შემთხვევის ადგილზე, ახორციელებს სიტუაციურ ანალიზს და გადაუდებელი რეაგირების ოქმით უზრუნველყოფს შესაბამის მომსახურებაში ან/და მესამე პირთან (ნათესავი, მეზობელი და სხვა) ბავშვის გადაყვანას საპატრულო პოლიციის დახმარებით.
- არასამუშაო საათებსა და დასვენების ან უქმე დღეებში შემაკავებელი ორდერების გამოცემის შემთხვევაში, ბავშვი შესაბამის მომსახურებაში გადაჰყავთ პოლიციის მიერ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან კონსულტირების საფუძველზე.
- იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი გადადის სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში, სოციალური

მუშაკი ამზადებს საჭირო დოკუმენტაციას (გადაუდებელი რეაგირების ოქმი, დასკვნა და კრიზისის გეგმა) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონულ საბჭოზე წარსადგენად, ხოლო რეგიონული საბჭოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ახორციელებს შემთხვევის მართვასა და ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობას.

- თუ ბავშვი გადადის მესამე პირთან (ნათესავი, მეზობელი და სხვა), სოციალური მუშაკი ამზადებს საჭირო დოკუმენტაციას (დასკვნა და კრიზისული ინტერვენციის გეგმა) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონულ საბჭოზე შემთხვევის განსახილველად.
- საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ბავშვისთვის დაბადების რეგისტრაციის და/ან პირადობის დამადატურებელი დოკუმენტაციის, მათ შორის, დროებითი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების, მოპოვების/მიღების მიზნით შესაბამის პროცედურას, უზრუნველყოფს ბავშვის საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვასა და ადგილობრივ პოლიკლინიკაში აღრიცხვას.

თუ ბავშვზე ძალადობის ფაქტი დადასტურებულია და ბავშვი განთავსებულია უსაფრთხო გარემოში, სოციალური მუშაკი შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოფს ბავშვის შეფასებას განთავსების ადგილზე,დასკვნის მომზადებას, კრიზისული ინტერვენციის გეგმის შედგენას და ბავშვისთვის მზრუნველობის ოპტიმალური ფორმის განსაზღვრას; ასევე, ამზადებს საჭირო დოკუმენტაციას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონულ საბჭოზე შემთხვევის განსახილვევლად; ხოლო რეგიონული საბჭოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ახორციელებს შემთხვევის მართვას, უზრუნველყოფს ინდივიდუალური განვითარების გეგმის შედგენას და ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობას.

თუ სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია იძლევა სავარაუდო ან საფუძვლიან ეჭვს, რომ ბავშვზე განხორციელდა ან ხორციელდება ძალადობა, სოციალური მუშაკი მიდის ბავშვთან, აფასებს მასზე ძალადობის შემთხვევას: ახდენს ბავშვზე ძალადობის ნიშნების იდენტიფიკაციას, საჭიროებისამებრ, პროცესში რთავს სხვა სპეციალისტებს (იურისტი, ფსიქოლოგი) და, ძალადობის შედეგებისა და ბავშვის უსაფრთხოების რისკების გათვალისწინებით, იღებს ბავშვთან დაკავშირებით შესაბამის გადაწყვეტილებას, კერძოდ:

- თუ ბავშვთან ვიზიტის დროს სოციალურმა მუშაკმა ჩათვალა, რომ საჭიროა ბავშვის ერთ-ერთ მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან/სხვა პასუხისმგებელ პირთან ერთად ან მარტო უსაფრთხო გარემოში გადაყვანა, იგი დაუყოვნებლივ მიმართავს პოლიციას შემაკავებელი ორდერის გამოწერის მიზნით.
- იმ შემთხვევაში, თუ პოლიციის მიერ არ გაიცემა შემაკავებელი ორდერი და ბავშვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ სოციალურ მუშაკს მიაჩნია, რომ ბავშვი ოჯახიდან გამოსაყვანია, ამავე დროს, ოჯახის წევრ(ებ)ი/კანონიერი წარმომადგენელი/სხვა პასუხისმგებელი პირი უარს აცხადებს სააგენტოსთან თანამშრომლობაზე, სააგენტოს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით.
- დამცავი ორდერის გამოცემის შემდეგ სოციალური მუშაკი, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოს მიმართვისა და მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, განათავსებს ბავშვს საჭირო მომსახურებაში (მინდობით აღზრდა, ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულება ან თავშესაფარი).
- იმ შემთხვევაში, თუ, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, ბავშვი გადაიყვანეს მესამე პირთან (ნათესავი, მეზობელი და სხვ.), სოციალური მუშაკი აფორმებს „პოლიციის მიერ შემაკავებელი ან დამცავი ორდერის გამოწერისა და, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, მის მესამე პირთან (ნათესავი, მეზობელი და სხვ.) გადაყვანის შესახებ“ აქტს და ბავშვი გადაჰყავს საპატრულო პოლიციის დახმარებით.

- თუ ბავშვთან ვიზიტის დროს სოციალური მუშაკის შეფასების შედეგად დადგინდა, რომ საქმე ეხება გადაუდებელ შემთხვევას, იგი დაუყოვნებლივ მიმართავს პოლიციას და იძახებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას. გადაუდებელ შემთხვევაში ბავშვი გამოჰყავთ შემაკავებელი ორდერის გამოცემის საფუძველზე.
- გადაუდებელ შემთხვევაში მოძალადისგან განცალკევებული ბავშვის დროებითი განთავსების ადგილის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება რეგიონული საბჭოს თავმჯდომარის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით.
- იმ შემთხვევაში, თუ პოლიცია არ გამოსცემს შემაკავებელ ორდერს და ადგილზე გამოცხადებისას სოციალური მუშაკი სიტუაციას აფასებს, როგორც გადაუდებელ მდგომარეობას, რომლის დროსაც ბავშვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას მომდევნო 24 საათის განმავლობაში ემუქრება საფრთხე, სოციალური მუშაკი იღებს გადაწყვეტილებას ბავშვთან დაკავშირებით. ბავშვს მოძალადისგან განაცალკევებენ „მშობლ(ებ)ისაგან, სხვა კანონიერი წარმომადგენლ(ებ)ისაგან ან სხვა პირ(ებ)ისგან ბავშვ(ებ)ის განცალკევების შესახებ“ აქტის საფუძველზე და პოლიცია ეხმარება სოციალურ მუშაკს ამ გადაწყვეტილების აღსრულებაში.
- ბავშვის ალტერნატიულ გარემოში განთავსების შემდეგ სოციალურმა მუშაკმა უნდა განსაზღვროს ბავშვისთვის მზრუნველობის საბოლოო ფორმა არაუგვიანეს 90 დღისა.

სამოქმედო ინსტრუქცია განსაზღვრავს ასევე სოციალური მუშაკის მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში გასატარებელ ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობის მართვასა და ზედამხედველობასთან. ამ მიზნით:

- შემთხვევის მართვისას სოციალური მუშაკი შეიმუშავებს ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ინდივიდუალურ გეგმას და ზედამხედველობას უწევს ამ გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებას. ბავშვის ალტერნატიულ გარემოში გადაყვანის შემთხვევაში, უზრუნველყოფს მის ჩართვას სკოლამდელ/ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში და აღრიცხავს პირველადი ჯანდაცვის რგოლში.
- მართვის პროცესში აღმოჩენილი ახალი გარემოებების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, მიმართავს პოლიციას.
- უზრუნველყოფს ბავშვის მდგომარეობაზე რეგულარული ზედამხედველობის ღონისძიებებს ყველა ჩართულ მხარესთან (საგანმანათლებლო ან/და სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებები, საბავშვო ბაღები, ბავშვთა სპეციალიზებული და სამედიცინო დაწესებულებები, პოლიცია) თანამშრომლობით. ამ მიზნით განსაზღვრული პერიოდულობით (არანაკლებ 1 ვიზიტისა თვეში) ახორციელებს ვიზიტებს და, კანონმდებლობის შესაბამისად, მოითხოვს წერილობით ანგარიშებს ბავშვის მიმდინარე მდგომარეობის შესახებ იმ დაწესებულებებიდან, სადაც ბავშვი იმყოფება.
- უზრუნველყოფს დამცავი/შემაკავებელი ორდერის შესახებ სკოლამდელი/ზოგადსაგანმანათლებლო ან/და სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო და ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებების ინფორმირებას წერილობით. წერილში მითითებული იქნება მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის საკითხიც.
- იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული დაწესებულებები დაამოწმებენ, რომ მოძალადემ სცადა, ბავშვთან კონტაქტი დაემყარებინა, სოციალური მუშაკი აწვდის ინფორმაციას პოლიციას.

როგორც უწყებების მიერ წარმოდგენილ წერილებში არის მითითებული, სამოქმედო ინსტრუქციების შემუშავების პროცესში არ ყოფილან ჩართულნი თავად პრაქტიკოსები (მაგალითად: პატრული, უბნის ინსპექტორი, მანდატური, პედაგოგი, სოციალური

მუშაკი და სხვ.), რაც ხელს შეუწყობდაა თანამონაწილეობითი პრინციპის დაცვას, ასევე, რეგულაციების სწორად შემუშავებას და ახალი პრაქტიკის დანერგვას არსებული სპეციფიკის გათვალისწინებით.

ამასთანავე, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ინსტრუქციების შემუშავებისას არ გაუვლიათ ერთმანეთთან კონსულტაციები პატრულს/უბნის ინსპექტორს/მართლწესრიგის ოფიცერსა და სოციალურ მუშაკს შორის ურთიერთთანამშრომლობის პროცესის გაწერისას; ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ძალადობისგან ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის არაერთ კომპონენტში შსს-სა და სააგენტოს წარმომადგენლებს ევალებათ ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება, მნიშვნელოვანი იქნებოდა აღნიშნული განხილვა ყოფილიყო ორმხრივი. ამასთან, პოლიტიკის განმსაზღვრელებისა და პრაქტიკოსების ერთობლივი განხილვა დაეხმარებოდა სუბიექტებს შესაძლო რისკებისა და ეფექტიანი მეთოდების სწორად განსაზღვრაში, რაც, თავის მხრივ, წაადგებოდა ურთიერთთანამშრომლობის ახალი სისტემის სწორად გამართვას. თუმცა აღსანიშნავია, რომ ახალი სისტემის დანერგვის შემდეგ, 2018 წელს, სააგენტოსა და შსს-ს თანამშრომლებს მთელი საქართველოს მასშტაბით ერთჯერადად ჩაუტარდათ ერთობლივი ტრენინგები თემაზე „ოჯახში ძალადობისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე პოლიციისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს კოორდინაცია“. ტრენინგების მონაწილეებმა განიხილეს პროცედურებით გათვალისწინებული პრაქტიკა და გაცვალეს ინფორმაცია პრაქტიკაში გამოვლენილი წინააღმდეგობების შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტებით, ასევე, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის ორგანიზაციული სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სამოქმედო ინსტრუქციები ვერ იქნება მორგებული რეგიონის თუ მუნიციპალიტეტის ფარგლებში შსს-ს ქვედანაყოფების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაობის სპეციფიკაზე. ინსტრუქციები ქმნის სავალდებულოდ შესასრულებელ ჩარჩო-რეგულაციებს, რომლებიც ზედმიწევნით უნდა შესრულდეს ადგილზე უწყებათა უფლებამოსილი პირების მიერ. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ, მიუხედავად ერთიანი რეგულაციებისა, ცალკეული რეგიონის/მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, ამა თუ იმ მიზეზით განსხვავებული პრაქტიკაა დამკვიდრებული, რაც ქმნის არასტანდარტულ მიდგომებს, განსაკუთრებით, ჩართულ უწყებათა თანამშრომლობის პროცესში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, უწყებებს ჰქონდეთ ბავშვთა მიმართ ძალადობის რეფერირების სამოქმედო ინსტრუქციების შესრულების მონიტორინგის გაწერილი სქემა, რაც დაეხმარება სისტემას (უწყებებს) სამოქმედო ინსტრუქციის არასათანადოდ ან განსხვავებული მეთოდებით განხორციელების აღმოფხვრაში.

სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი

საგანგებო სიტუაციების ცენტრის წერილიდან ირკვევა, რომ მოცემულ ეტაპზე უწყებას არ აქვს გაწერილი რაიმე სახის ინსტრუქცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის განხორციელების ეტაპზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებული ზეპირი ინფორმაციით, 2019 წელს განხორციელდა სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრად რეორგანიზება („საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის – დებულების დამტკი-

ცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 11 ივნისის №01-50/ნ ბრძანება), რომლის ფარგლებშიც სოფლის ექიმების (როგორც პირველადი ჯანდაცვის რგოლის) საქმიანობის კოორდინაცია დაევალა სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს, თუმცა მოცემული ცვლილება არ არის ასახული მითითებული უწყების ზემოაღნიშნულ დებულებაში. არც ოფიციალურ პასუხში არის მითითებული ამის მიზეზი; შესაბამისად, ჭირს იმ გარემოებებზე საუბარი, თუ რატომ არ აქვს გაწერილი ადგილებზე პირველადი ჯანდაცვის რგოლს ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უწყებათა მიერ შემუშავებული და დამტკიცებული ინსტრუქციები მკაფიოდ ადგენს პოლიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციების/მანდატურის, მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური/ადგილობრივი ორგანოების ფუნქცია-მოვალეობებს და მათი განხორციელების მექანიზმებს. მათი აღსრულების (განხორციელების) პრაქტიკა წარმოდგენილია თვისებრივი კვლევის ნაწილში.

ადგილობრივი თვითმმართველობები (მუნიციპალიტეტები):

რაც შეეხება მუნიციპალიტეტების მიერ „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ მე-6 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების („დაამტკიცონ ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები“) აღსრულებას, წარმოდგენილი ინფორმაციიდან ირკვევა, რომ სამი რეგიონის მასშტაბით საკმაო რაოდენობის მუნიციპალიტეტებს (დედაქალაქის რაიონები: სამგორი, კრწანისი, ისანი, ვაკე, საბურთალო, მთაწმინდა, ჩუღურეთი, დიდუბე; იმერეთი: ხონი, ვანი, სამტრედია, ტყიბული; ქვემო ქართლი: თეთრიწყარო, წალკა) არ აქვთ გაწერილი სამოქმედო ინსტრუქცია. ორი მუნიციპალიტეტის მერია (სამტრედია, ვანი) 2020 წელს გეგმავს გარკვეული აქტივობების განხორციელებას ამ ვალდებულებებთან დაკავშირებით, თუმცა, რა კონკრეტული აქტივობები იგულისხმება, მიმართვაში არ ჩანს.

მნიშვნელოვანია, გამოვყოთ თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობიდან მიღებული ინფორმაცია. როგორც წერილიდან ირკვევა, მითითებულ ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები პირების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვების პროცესში ან მიმართვიანობის შემთხვევაში, გამგეობის საუბნო განყოფილებების უფლებამოსილი თანამშრომლები ბავშვზე ძალადობის შემთხვევის გამოვლენისას, შეისწავლიან ბავშვის მდგომარეობას – ხორციელდება ბავშვზე ძალადობის ნიშნების იდენტიფიკაცია, შეფასების შედეგების დოკუმენტირება, საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა, ხოლო საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში – სავალდებულო წესით იგზავნება შეტყობინება სააგენტოსა და პოლიციაში. თუმცა მოცემულ ეტაპამდე მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა დაფიქსირებული, ისევე, როგორც გამგეობას არ წარმოუდგენია რაიმე დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნებოდა ზემოაღნიშნული პროცესი.

სამგორის, დიდუბის, ჩუღურეთისა და ისნის რაიონების გამგეობებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ბავშვთა დაცვის პროცედურებთან დაკავშირებული საკითხები სცილდება გამგეობების კომპეტენციებს, რის გამოც მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, გასცენ რაიმე სახის ინფორმაცია; შესაბამისად, არ აქვთ გაწერილი შიდა სამოქმედო ინსტუქციები.

პროცესში გამოიკვეთა სამი მუნიციპალიტეტი, კერძოდ, დმანისის, ბოლნისისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტები, რომელთაც გაწერილი აქვთ „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში მუნიციპალიტეტის შიდა სამოქმედო ინსტრუქცია“. დმანისისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტების შემთხვევაში, შემუშავებული

და დამტკიცებული ინსტრუქციები მიწოდებული აქვს მუნიციპალიტეტის ფარგლებში მოქმედ სკოლისგარეშე სახელოვნებო/სასპორტო და საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ინსტრუქციის პროექტების შემუშავების პროცესში ჩართულნი იყვნენ მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის (დმანისი) და სოციალური და ჯანდაცვის, ასევე, იურიდიული განყოფილების (ბოლნისი) სამსახურების წარმომადგენლები. ბაღდათის მუნიციპალიტეტში „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში მერიის სამოქმედო ინსტრუქციის“ შემუშავების პროცესში, გარდა მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისა, ჩართულნი იყვნენ საერთაშორისო ორგანიზაცია World Vision-ის წარმომადგენლები. ინსტრუქციებში მკაფიოდ არის გაწერილი ბავშვთა მიმართ ძალადობაზე პასუხისმგებელი პირების ჩამონათვალი, ასევე, ძალადობის იდენტიფიცირებისა და შეფასების ეტაპები, გადამისამართების პროცედურები.

რაც შეეხება ბაგა-ბაღების გაერთიანებებს, მუნიციპალიტეტების მსგავსად, ბაგა-ბაღების აბსოლუტურ უმრავლესობას არ აქვს გაწერილი „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები“. ნაწილი აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით, საბავშვო ბაღები ხელმძღვანელობენ შინაგანაწესებითა და წესდებით, ისევე, როგორც თითოეულ დაწესებულებაში დანიშნულია სპეციალურად ამ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი. მუნიციპალიტეტების მსგავსად, ინსტრუქცია გაწერილი აქვს ბოლნისის, დმანისის, ბაღდათის, ზესტაფონისა და რუსთავის ბაგა-ბაღების გაერთიანებას (ამ უკანასკნელს არ მოუწოდებია ინსტრუქციის ასლი). ინსტრუქციების შემუშავების პროცესში ჩართულნი იყვნენ ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი, იურისტი, მეთოდისტები, ასევე, სკოლამდელი განათლების დაწესებულებათა ადმინისტრაციების წარმომადგენლები (დირექტორი), აღმზრდელები, ფსიქოლოგები და სპეც. პედაგოგები (ბოლოს მითითებული ორი სპეციალისტის არსებობის შემთხვევაში), მშობელთა საკონსულტაციო საბჭოების წარმომადგენლები. ბაღდათის ბაგა-ბაღების გაერთიანებას ინსტრუქციის შემუშავების პროცესში დაეხმარნენ საერთაშორისო ორგანიზაცია World Vision-ის წარმომადგენლები. წარმოდგენილ დოკუმენტებში (ინსტრუქცია) დეტალურად არის გაწერილი სკოლამდელი განათლების დაწესებულებების ფარგლებში ბავშვთა მიმართ ძალადობის მაიდენტიფიცირებელი ნიშნები, ძალადობის შესახებ ეჭვის შეფასების ეტაპები და, საჭიროების შემთხვევაში, გადამისამართების მექანიზმები. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ინსტრუქციები მიწოდებული აქვს მითითებული 4 გაერთიანების ყველა ერთეულს.

მოცემული სურათი მიუთითებს, რომ „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში“ ჩართულ ცენტრალურ უწყებებს (სამინისტრო/სააგენტო) ინსტრუქციებით აქვთ გაწერილი ის სავალდებულო პროცედურები, რომლებიც უნდა შესრულდეს მათ სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული/მათი მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომელთა მიერ. რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის რგოლებსა და ბაგა-ბაღების გაერთიანებებს, საგულისხმოა, რომ ისინი (მუნიციპალიტეტები/სკოლამდელი განათლების დაწესებულებები) აღნიშნულზე ინფორმაციას არ ფლობენ. მათი ცოდნა ბავშვთა დაცვის საკითხებზე შემოიფარგლება უმეტესად იმ ერთჯერადი თემატური/საგანმანათლებლო აქტივობით, რომელსაც პროექტების ფარგლებში მათ სთავაზობენ ადგილობრივი/საერთაშორისო ორგანიზაციები. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს სწორედ ის რგოლებია, რომლებიც პირველ ეტაპზე უნდა ავლენდეს ბავშვთა შესაძლო ძალადობის ფაქტებს, თუმცა ამისათვის მათ არ აქვთ გაწერილი კონკრეტული ღონისძიებები, ისევე, როგორც ამ რგოლებში დასაქმებული პირები არ ფლობენ ინფორმაციას ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმებზე, მათი გამოვლენის ნიშნებზე, შეფასების მეთოდებსა და გადამისამართების პროცედურებზე, რაც მიუთითებს ამ რგოლების სისუსტეზე.

სავარაუდოა, რომ „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების“ შესახებ კონკ-

რეტული სუბიექტების ინფორმირებულობის ნაკლებობა, ასევე, ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი ან არასაკმარისი რეაგირება შესაძლოა, განპირობებული იყოს განსაზღვრული რეგულაციების შესრულების მონიტორინგის სისტემის არარსებობით ან, გარკვეულ შემთხვევებში, ამგვარი მექანიზმების არაეფექტიანობით. სავარაუდოდ, სწორედ ამ უკანასკნელი მიზეზით არ ფიქსირდება მსგავსი ფაქტები სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში – უწყებაში, რომელსაც დამტკიცებული აქვს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტის (დაწესებულების ან/და მისი უფლებამოსილი თანამშრომლის) მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი“ და მისი შევსების ინსტრუქცია (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 27 დეკემბრის 04-878/ო ბრძანება). რაც შეეხება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172[6] მუხლით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შინაგან საქმეთა სამინისტროში არ ფიქსირდება სამართლარღვევის არც ერთი ფაქტი. აღნიშნული მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ძალადობისგან „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების“ გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, არსებობდეს მონიტორინგისა და რეაგირების გამართული სისტემა.

ჩართული სუბიექტების თანამშრომლების (სოციალური მუშაკები, პოლიცია/უბნის ინსპექტორი, მანდატური/პედაგოგი, საბავშვო ბაღის აღმზრდელი, ოჯახის/სოფლის ექიმი, მუნიციპალიტეტის თანამშრომელი და სხვ.) გადამზადება ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, მათ შორის, რეფერირების პროცედურებზე

უწყებებს ეთხოვათ, მოეწოდებინათ ინფორმაცია, თუ რა თემები იქნა განხილული გადამზადების ფარგლებში; რამდენ საათს/დღეს შეადგენდა გადამზადების ხანგრძლივობა; რომელი უწყების/ორგანიზაციის მიერ განხორციელდა გადამზადება; უწყების რომელი რგოლის და რამდენმა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა გადამზადებაში (თანამშრომელთა პროცენტული მაჩვენებელი).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

შსს-დან მიღებული ინფორმაციით, პოლიციის აკადემია მუდმივად ახორციელებს პოლიციელთათვის საგანმანათლებლო ღონისძიებებს ოჯახში/ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე. აკადემიაში უბნის ინსპექტორთა, პატრულ-ინსპექტორთა, კრიმინალური პოლიციის ტერიტორიული ორგანოების მართლწესრიგის ოფიცერთა და პოლიციელთა საბაზო მომზადების სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებულია ოჯახური ძალადობის, ქუჩაში მყოფი არასრულწლოვნების გამოვლენის, ბავშვზე ოჯახური ძალადობის გავლენის, „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების“ (ბავშვთა მიმართ ძალადობის გამოვლენა-რეაგირება) საკითხების სწავლება, რაც მოიცავს შემდეგ თემებს (მოსამსახურეთა კატეგორიების მიხედვით):

შსს კრიმინალური პოლიციის ტერიტორიული ორგანოების მართლწესრიგის ოფიცერთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

თემატიკა: „ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობა და არასრულწლოვანთა სამართლებრივი მდგომარეობა“ (30 სთ):

- ოჯახური ძალადობის გავლენა ბავშვზე
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ზოგადი პრინციპები და წესები
- არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები
- „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში შსს მოსამსახურეთა სამოქმედო ინსტრუქცია“
- სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წინა პირობები
- სკოლის მანდატურის უფლება-მოვალეობები
- „მავნე ზეგავლენისგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი

პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

თემატიკა: „ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობა ან/და ოჯახში ძალადობა“ (16 სთ); „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები“ (2 სთ)

- „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები“, მათი მიზნები და რეგულირების სფერო
- „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურებში“ ჩართული სუბიექტები და მათი უფლებამოსილებანი
- ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის სისტემა:
  - ა) ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენა
  - ბ) ბავშვის მდგომარეობის შეფასება
  - გ) ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში შესაბამისი ორგანოების ინფორმირება
  - დ) საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის განთავსება მომსახურებაში/ მომსახურებებში, რაც ხელს შეუწყობს მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და რეაბილიტაციას
  - ე) შემთხვევაზე ზედამხედველობა
- ინფორმაციის გაცვლა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის სისტემაში
- ინფორმაციის კონფიდენციალურობა

თემატიკა: ოჯახური ძალადობის გავლენა ბავშვზე (2 სთ)

- ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფიზიკური და ქცევითი გამოვლინებები ასაკობრივ ჭრილში
- ძალადობისადმი მდგრადობის განმაპირობებელი ფაქტორები
- ოჯახური ძალადობის ემოციური და ქცევითი შედეგები
- ოჯახში ძალადობის სტატისტიკა

უბნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

თემატიკა: ოჯახში ძალადობა (16 სთ); „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები“ (2 სთ)

- „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურები“, მისი მიზნები და რეგულირების სფერო
- „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურებში“ ჩართული სუბიექტები და მათი უფლებამოსილებანი

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემა (2 სთ)
ა) ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენა
ბ) ბავშვის მდგომარეობის შეფასება
გ) ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში შესაბამისი ორგანოების ინფორმირება
დ) საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის განთავსება მომსახურებაში/ მომსახურებებში, რაც ხელს შეუწყობს მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და რეაბილიტაციას
ე) შემთხვევაზე ზედამხედველობა

- ინფორმაციის გაცვლა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის სისტემაში
- ინფორმაციის კონფიდენციალურობა

თემატიკა: ოჯახური ძალადობის გავლენა ბავშვზე (2 სთ)

- ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფიზიკური და ქცევითი გამოვლინებები ასაკობრივ ჭრილში
- ძალადობისადმი მდგრადობის განმაპირობებელი ფაქტორები
- ოჯახური ძალადობის ემოციური და ქცევითი შედეგები
- ოჯახში ძალადობის სტატისტიკა

პოლიციელთა საბაზისო მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

თემატიკა: ქუჩაში მყოფი არასრულწლოვნების გამოვლენა და პირველადი ღონისძიებები (8 სთ)

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურებში შსს-ს მოსამსახურეთა სამოქმედო ინსტრუქცია“

ქუჩაში მყოფი და მიუსაფარი ბავშვები (2 სთ)

ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმები და მათი გამოვლენის ძირითადი ინდიკატორები

რაც შეეხება გადამზადებულ პირთა რაოდენობას, შსს-დან მოწოდებულ იქნა მხოლოდ ერთი წლის (2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე (ჩათვლით) პერიოდი) მონაცემები.

პატრულ-ინსპექტორი – 50
უბნის ისპექტორი – 32
მართლწესრიგის ოფიცერი – 62
პოლიციელთა საბაზისო მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელი – 256

ინფორმაცია ქვეყნის მასშტაბით გადამზადებული მოსამსახურეების რაოდენობის შესახებ:

უბნის ინსპექტორი – 111
პატრულ-ინსპექტორი – 128
მართლწესრიგის ოფიცერი (მხოლოდ თბილისი) – 144

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურები თანამდებობაზე დანიშვნამდე გადიან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებულ სავალდებულო მოსამზადებელ კურსებს, რომელთა ფარგლებშიც გათვალისწინებულია მოდულები ოჯახში ძალადობის და ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების შესახებ. მოცემულ მოსამზადებელ კურსებს ატარებს შსს-ს აკადემია.

რაც შეეხება მასწავლებელთა გადამზადების საკითხს, ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურებზე ყველა საგნის პედაგოგები გადიან 24-საათიან მოდულს „სკოლებში ბულინგის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის განვითარების ხელშეწყობა“. მოცემული მოდულით უკვე გადამზადებულია 6727 პედაგოგი. პედაგოგები ასევე გადიან 15-საათიან მოდულს „ზოგადი კურსი სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისათვის“, რომლის ფარგლებშიც გადამზადებულია 300-მდე პედაგოგი.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო

სააგენტოში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ პირებსა და უფროს სოციალურ მუშაკებს/სოციალურ მუშაკებს/იურისტებს/ფსიქოლოგებს წლის განმავლობაში რამდენჯერმე უტარდებათ საგანმანათლებლო თუ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები. სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, 2016-2019 წლებში ტრენინგების ჩატარებას, ძირითადად, უზრუნველყოფდა როგორც სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, ასევე, სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“. წლების მიხედვით მონაწილეთა რაოდენობრივი მაჩვენებლები და გადამზადების თემატიკა შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

2016

ორგანიზაციებმა: „სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ“, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდმა, ადამიანის უფლებათა საგანმანათლებლო ცენტრმა, ასევე, „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა“ არაერთი ტრენინგი ჩაუტარეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს 110 თანამშრომელს (უფროსი სოციალური მუშაკი/სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი) ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე.

2017

ორგანიზაციებმა: საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდმა, „ბავშვთა კეთილდღეობის ლიგამ“, ძალადობისგან დაცვის ეროვნულმა ქსელმა, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ, ასევე, სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა“ და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ტრენინგები ჩაუტარეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 628 თანამშრომელს (უფროსი სოციალური მუშაკი/სოციალური მუშაკი, იურისტი, ფსიქოლოგი) შემდეგ თემატიკაზე: ოჯახში ძალადობისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე რეაგირირების პროცედურები, უწყებათაშორისი თანამშრომლობის ასპექტები.

2018

ორგანიზაციებმა: „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის“ (ISC), „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერმა ჯგუფმა“, „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ“, ძალადობისგან დაცვის ეროვნულმა ქსელმა, ასოციაცია „ჰერა XXI“-მა, ასევე, იუსტიციის სასწავლო ცენტრმა, „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა“ და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელმა საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭომ მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან ერთად ტრენინგები ჩაუტარეს სსიპ სოციალური მომსა-

ხურების სააგენტოს 405 თანამშრომელს (უფროსი სოციალური მუშაკი/სოციალური მუშაკი) შემდეგ თემატიკაზე: ლგბტ ჯგუფის წევრების უფლებებისა და სპეციფიკური საჭიროებების შესახებ ინფორმირებულობის დონის გაზრდა; სოციალური მუშაობის ფემინისტური პერსპექტივა; ოჯახში ძალადობისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე პოლიციისა და სააგენტოს კოორდინაცია; ძალადობის შემთხვევებსა და რეგიონში მოწყვლადი ოჯახების მხარდაჭერაზე დროული რეაგირება.

2019

ორგანიზაციებმა: „გადავარჩინოთ ბავშვები", „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის", „საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდმა", ასევე, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, ჩაატარეს გადამზადების ტრენინგები სააგენტოს 31 თანამშრომლისთვის (უფროსი სოციალური მუშაკი/სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი) შემდეგ თემატიკაზე: გენდერული ძალადობის პრევენციისა და რეაგირების გაძლიერება დევნილთა თემში საქართველოში; დამაზიანებელი სექსუალური ქცევა ბავშვებსა და მოზარდებში; ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვი – გამოვლენა, რეაგირება, პრევენცია; ბავშვთა შრომითი ექსპლუატაცია (ბავშვთა მათხოვრობა).

სააგენტოში დასაქმებული ახალი თანამშრომლებისთვის (2018-2019 წწ.) არ შეუთავაზებიათ გადამზადების მსგავსი მოდულები, რასაც ადასტურებს ასევე თვისებრივი კვლევის ფარგლებში ფოკუს-ჯგუფებში გაზიარებული ინფორმაციაც. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ბოლო წლებში შეინიშნება გადამზადებული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე სოციალური მუშაკების სააგენტოდან ინტენსიური გადინების ტენდენცია, რის მიზეზადაც სახელდება დაკისრებული მოვალეობების დიდი რაოდენობა და სტრესული სამუშაო გარემო. ამავე მიზეზებით გასულ წელს თავი იჩინა სოციალური მუშაკების გაფიცვის ტალღამ, რამაც გამოიწვია სისტემის მუშაობის შეფერხება. ყველა ამ პროცესს თან დაერთო სააგენტოს რეორგანიზაცია, რომლის ფარგლებშიც დაითხოვეს დასაქმებული სოციალური მუშაკები, რამაც განაპირობა სოციალურ მუშაკთა მწვავე დეფიციტი (მაგალითად, მუნიციპალურ დონეზე მხოლოდ ერთი სოციალური მუშაკის არსებობა). არაერთი წელია, სხვადასხვა მიზეზით რთულდება სააგენტოში სოციალურ მუშაკთა ვაკანტური ადგილების ახალი კადრებით შევსება; ხოლო აყვანილ კადრებში, მათ შორის, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულებში, შეინიშნება სპეციფიკური ცოდნის ნაკლებობა და პრაქტიკული გამოცდილების არქონა.

მუნიციპალიტეტები:

მუნიციპალიტეტების აბსოლუტურ უმრავლესობაში დასაქმებულ პირებს არ აქვთ გავლილი ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის საკითხებზე გადამზადების ტრენინგი. გლდანისა და საბურთალოს რაიონების გამგეობების მომართვიდან ირკვევა, რომ გამგებლის ბრძანების საფუძველზე გამგეობაში დანიშნულია გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელე, რომელიც პერიოდულად გადის შესაბამის გადამზადებას, მათ შორის, ბავშვთა დაცვის საკითხებზეც. საინტერესოა, რატომ განსხვავდება მოცემული ორი რაიონის პრაქტიკა თბილისის დანარჩენი რაიონების პრაქტიკისგან, თუმცა აღნიშნულზე ინფორმაციის არქონის გამო ვერ ვიმსჯელებთ.

ამ შემთხვევაშიც, განსხვავებული პასუხი მივიღეთ ბაღდათის მუნიციპალიტეტიდან, კერძოდ, ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმების, მათი ამოცნობის ნიშნებისა და რეფერირების დოკუმენტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესახებ ერთკვირიანი ტრენინგი აქვს გავლილი მერიის 36 საჯარო მოხელეს, მათ შორის, მერიის 15

თანამშრომელს, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 5 თანამშრომელს და ადმინისტრაციული ერთეულების 16 სპეციალისტს. რაც შეეხება ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ გაწერილი შიდა სამოქმედო ინსტრუქცია, მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს აღნიშნულ საკითხებზე გადამზადების ტრენინგი არ გაუვლიათ.

ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოები/გაერთიანებები და სკოლამდელი განათლების დაწესებულებები

ბაგა-ბაღების გაერთიანებებიდან მიღებული ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ უმრავლეს შემთხვევაში, მათი ერთეულების (სკოლამდელი განათლების დაწესებულებები) თანამშრომლებს არ აქვთ გავლილი გადამზადების კურსი ბავშვთა დაცვის საკითხებზე; ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც ამგვარი აქტივობა განხორციელდა, ამა თუ იმ წყაროდან მიღებული ინფორმაცია განსხვავდებოდა. მაგალითად, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოდან მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ 2016 წელს ბაგა-ბაღების სააგენტოს თანამშრომლებმა საინფორმაციო ტიპის შეხვედრა ჩაუტარეს თბილისის მასშტაბით მოქმედ 160 ბაგა-ბაღის დირექტორებსა და მოადგილეებს. შეხვედრაზე მათ გააცნეს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები“, ასევე, ინფორმაცია ძალადობის ფორმებზე, მათი ამოცნობისა და რეაგირების მექანიზმებზე. ყველა მონაწილეს დაევალა საინფორმაციო შეხვედრაზე მიწოდებული ინფორმაციის მათდამი დაქვემდებარებული დაწესებულების სხვა თანამშრომლებისთვის გაზიარება. ამავე შეხვედრაზე ყველას მიეცა რეკომენდაცია, დაწესებულებებში დაენიშნათ ბავშვთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილებისა და ძალადობისგან ბავშვთა დაცვის მიმართულებით პასუხისმგებელი პირი, ასევე, ინდივიდუალურად გაწერილიყო შესაბამისი პროცედურები. აქედან გამომდინარე, თითოეულ დაწესებულებას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი და გაწერილი აქვს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების ინსტრუქცია (ვერ ვიმსჯელებთ, რამდენად არის შესრულებული ეს ინსტრუქცია, ვინაიდან ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მოცემული დოკუმენტის ასლები არ მოუწოდებია).

ააიპ „ქ. ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2015-16წწ. გაერთიანების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ 3-დღიანი ტრენინგი „ბავშვთა უფლებებისა და ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დაცვის მექანიზმები, ძალადობის სახეები და პრევენცია“. აღნიშნული ტრენინგის ჩატარება უზრუნველყო შპს „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მუშაკთა გადამზადების, სემინარებისა და ტრენინგების ცენტრმა“, თუმცა წერილში არ არის მითითებული, რამდენი პირი გადამზადდა ტრენინგის ფარგლებში.

ა(ა)იპ „ქ. რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების“ ყველა ფილიალში დასაქმებული პირები ინფორმირებულნი არიან ბავშვთათვის არაძალადობრივი გარემოს მნიშვნელობასა და ბავშვთა დაცვის საკითხებზე; ისინი იცნობენ „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ პრინციპებსაც. ამის გარდა, გაერთიანების მეთოდური სამსახურის თანამშრომლებმა გაიარეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული გადამზადების ტრენინგი, რომლის მოდულებშიც გათვალისწინებული იყო ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებიც. ამ შემთხვევაშიც, არ იყო მითითებული გადამზადებული პირების რაოდენობა/მათი პოზიცია.

დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახურში შემავალი ერთეულების თანამშრომლებს (აღმზრდელები, აღმზრდელების თანაშემწეები, ადმინისტრაციები) გავლილი აქვთ ტრენინგი ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, მათ შორის, „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურებზე“. ტრენინგის ხანგრძლივობა იყო 5 საათი. მისი ჩატა-

რება უზრუნველყო „საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალმა პროფ-კავშირმა“. გადამზადება გაიარა 39-მა თანამშრომელმა.

მიუხედავად ინსტრუქციების არსებობისა, ბოლნისის ბაგა-ბაღების გაერთიანების ერთეულების არც ერთ თანამშრომელს არ აქვს გავლილი გადამზადების ტრენინგი ბავ-შვთა დაცვის საკითხებზე.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, ბაგა-ბაღების გაერთიანების 10 ერ-თეულის მენეჯერებმა და აღმზრდელებმა 2017 წელს მონაწილეობა მიიღეს World Vision-ის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, რომლებიც მოიცავდა „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებს“. მონაწილეებს დაევალათ, ადგილებ-ზე გაეცნოთ სხვა თანამშრომლებისთვის ტრენინგზე მიღებული ინფორმაცია.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერ-თიანების წერილიდან ირკვევა, რომ 2017 წელს სკოლამდელი დაწესებულებების გაერ-თიანების სამ თანამშრომელს და სტრუქტურული ერთეულების 4 ხელმძღვანელს გავ-ლილი აქვთ ს/ო World Vision-ის მიერ ორგანიზებული ორდღიანი ტრენინგი, რომლის თემატიკაც იყო ძალადობისგან ბავშვთა დაცვის, მათ შორის, მიმართვიანობის პრო-ცედურების საკითხები. 2018 წლის ოქტომბერში განათლების სამინისტროს მიერ ჩა-ტარებულ ტრენინგზე გადამზადდა გაერთიანების მეთოდისტი (60 სთ). მას დაევალა საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება სკოლამდელი დაწესებულებების 41 დაწესებუ-ლების ხელმძღვანელებთან, ასევე, I და II ცვლის 150 აღმზრდელთან (სულ 40%).

ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებული ადრინდელი კვლევების მოკლე მიმოხილვა

ახლა მიმოვიხილოთ, რამდენად ემთხვევა მოცემული კვლევის გარკვეული მიგნე-ბები წინა წლებში განხორციელებული კვლევების (გაეროს ბავშვთა ფონდი – „ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში“, 2013წ.) და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სპეციალური ანგარიშის („ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოს-წავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა“, 2017წ.) იმ მიგნებებს, რომლებიც უკავშირდება შემდეგ საკითხებს: ძალადობის ფორმების სწორად განსაზღვ-რას, ძალადობის არსსა და მნიშვნელობას, ძალადობის ფორმების შეფასებისას პირადი გამოცდილების/საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებების ზეგავლენას და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლა) წარმო-მადგენლების უმეტეს ნაწილს შეუძლია, დაასახელოს ძალადობის ფორმები, მათ შორის: ფი-ზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ძალადობა, უგულებელყოფა, როგორც ადმინისტ-რაციების, ისე პედაგოგების დიდი ნაწილი ვერ ასახელებს იმ ნორმატიულ დოკუმენტ(ებ)ს, რომლებიც არეგულირებს სკოლის ფარგლებში ბავშვთა დაცვის ღონისძიებებს. მონაწილე-თა უმრავლესობამ ვერ დაასახელა ვერც „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირე-ბის) პროცედურების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება, ვერც სამოქმედო ინსტრუქციები. პასუხებში, ძირითადად, ახსენებდნენ „ბავშვის უფლებათა კონვენციას“, სკოლის შინაგანაწესს ან უსაფრთხო სკოლის კონცეფციას. საქართველოს სახალხო დამც-ველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრის მიერ 2017 წელს განხორციელებული სპე-ციალური ანგარიშიც იმავეს მიუთითებს, კერძოდ: „დირექციის წარმომადგენლებისთვის, პედაგოგებისა და მანდატურებისთვის დასმულ კითხვაზე, რა საერთაშორისო და ადგი-

ლობრივ დოკუმენტებს, კანონებს და კანონქვემდებარე აქტებს იცნობენ, რაც არეგულირებს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას ჩვენს ქვეყანაში, გაცემულ პასუხებს შორის დასახელდა შემდეგი საერთაშორისო დოკუმენტები: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (შემთხვევათა 65.8%), ასევე მაღალი ხვედრითი წილი აქვს სკოლის შინაგანაწესს (შემთხვევათა 26.9%). თუმცა საქართველოს მთავრობის დადგენილება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ" რესპონდენტთა მხოლოდ 2.8%-მა დაასახელა", რაც იმაზე მეტყველებს, რომ სკოლის თანამშრომლებს საკმარისად არ აქვთ გაცნობიერებული სალითარი პროფესიული მოვალეობა ძალადობის პრევენციისა და მართვის საქმეში". („ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა" სპეციალური ანგარიში. გვ.7) .

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიგნებაა, რომ რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა სწორად განსაზღვრავს ძალადობის ცალკეულ ფორმას, თუმცა გარკვეული ნაწილი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმების გამოვლენის მახასიათებლებზე საუბრისას, ძირითადად, ეყრდნობა საკუთარი პრაქტიკის საფუძველზე ჩამოყალიბებულ მოსაზრებებს, რომლებიც ხშირად არ ემთხვევა აღიარებულ შეხედულებებსა და მიდგომებს. მაგალითად, რესპონდენტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ძალადობა ვლინდება ძალის ფიზიკურ გამოყენებაში, თუმცა, მიუხედავად ამისა, ბავშვის მიმართ დასჯის პროცესში იმგვარი ქმედებები, როგორიცაა ცემა, თავში წამორტყმა, განიხილება აღზრდის მეთოდებად. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, მსგავს მეთოდებს წარსულში მათი მშობლებიც იყენებდნენ, თუმცა ამას მათ პიროვნულ ჩამოყალიბებაზე ნეგატიური გავლენა არ მოუხდენია. კვლევაში მონაწილე სოციალური მუშაკები პოლიციასთან თანამშრომლობის ასპექტების მიმოხილვისას აღნიშნავდნენ, რომ ზოგჯერ თავად პოლიციელები არიან ამგვარი სტერეოტიპების მსხვერპლნი და კარგად არ აქვთ გააზრებული პრობლემის (ბავშვთა მიმართ ძალადობის) სიმძიმე. აღნიშნულ პრობლემაზე ყურადღებას ამახვილებს გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევაც, რომლის თანახმადაც, პროფესიონალთა ნაწილი ზოგიერთ ქცევას, მათ შორის, ბავშვის ფიზიკურ დასჯას, ხშირად აფასებენ არა როგორც ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობას, არამედ როგორც დისციპლინურ ზომას („ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში", 2013წ. გვ. 99). მოცემულ საკითხზე ყურადღებას ამახვილებს საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშიც, რომელშიც აღნიშნულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ სკოლის თანამშრომელთა უმრავლესობა სწორად მიუთითებს, არის თუ არა ესა თუ ის დასახელებული ქმედება ძალადობა, ყურადღებას იქცევს რაოდენობა იმ რესპონდენტებისა, რომლებიც არ მიიჩნევენ ფიზიკურ ძალადობად მის ისეთ თვალსაჩინო გამოვლინებებს, როგორიცაა: ცემა (4%), წამორტყმა (12,7%), ხელის კვრა (14,5%), ყურის აწევა (13,9%), თმის მოქაჩვა (13,6%) („ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა" სპეციალური ანგარიში. გვ.11). თავად ბავშვებიც საუბრობენ სკოლაში მასწავლებელთა მხრიდან განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ისეთ ფორმებზე, როგორიცაა: ყურის აწევა, თმის მოწიწკნა/მოქაჩვა, პწკენა, ხელით შეხება/დარტყმა, მოსწავლის ფეხზე და კუთხეში დაყენება, ბეჭდიანი ხელით დარტყმა, სახაზავის ან ჯოხის დარტყმა, წიგნის ჩარტყმა („ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა" სპეციალური ანგარიში. გვ.13). საგულისხმოა, რომ „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებით" განსაზღვრული სუბიექტების წარმომადგენელთა განსხვავებული მიდგომები ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებისადმი შეიძლება წარმოშობდეს არაეფექტური თანამშრომლობის პრაქტიკის დანერგვას, რაც თავისთავად აისახება ქვეყანაში ბავშვთა დაცვის ხარისხზე.

სახალხო დამცველის ანგარიშიდან ირკვევა, რომ სკოლის თანამშრომელთა ნაწილი ყვირილს (25,4%) და მუქარას (11,9%) არ მიიჩნევს ფსიქოლოგიურ ძალადობად („ზო-

გადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა“ სპეციალური ანგარიში. გვ. 11). ამ შემთხვევაშიც, თავად ბავშვები აღნიშნავენ, რომ მასწავლებლების მხრიდან ჩვეულებრივი ამბავია ვერბალური ძალადობა. ისინი დამამცირებლად მიმართავენ ბავშვებს, მაგალითად, შემდეგნაირად: „„დებილო“, „სულელო“, „უჭკუო“, „დაუნო“, „ლაწირაკო“, ..უტვინოებო“, „ბატებო“, „ჩლუნგებო“, „სახედრებო“, „თახსირშვილებო“, „ნუ წკავწკავებთ ძაღლებივით“, „დედა ნახე, მამა ნახე...“, „თქვენ ყველანი ციხეში ამოლპებით!“, „ეშმაკსაც წაუღიხართ“, „ოჯახში არ იზრდები?!“, „ჩემი შვილი რომ იყო, საჭმელს არ გაჭმევდი“, „შენი მშობლის ადგილზე სახლიდან არ გამოგიშვებდი“, „ტყვილა ცვითავ ტანსაცმელს“, „სისხლი გაგიშრათ თქვენ“, „„მათხოვრებო“, „დეგენერატებო“, „საღორეში იზრდებით“, „წადით და დებილ დედებს უთხარით ყველაფერი“ („ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა“ სპეციალური ანგარიში. გვ. 13).

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მანდატურებისა და პედაგოგების თანამშრომლობის პრაქტიკასთან. პედაგოგები ცდილობენ, „არ გაახმაურონ“ (არ გააგებინონ მანდატურს) ძალადობის შემთხვევები, ისევე, როგორც კონფლიქტები ბავშვებს შორის. კლასის დამრიგებლები/პედაგოგები ცდილობენ საკუთარი ძალებით, „უმტკივნეულოდ“ მოაგვარონ პრობლემა. ამგვარი დამოკიდებულება ფორმალურს ხდის არა მარტო სამოქმედო ინსტრუქციით განსაზღვრულ პროცედურებს, არამედ სკოლაში ინსტრუქციის დაცვაზე უფლებამოსილი პირის პასუხისმგებლობებს. წამოჭრილ პრობლემაზე მითითებულია სახალხო დამცველის ანგარიშშიც, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ძალადობის გამოვლენის და შემდგომი რეაგირების საკითხში უმთავრესი როლი მასწავლებელს აკისრია, თუმცა, ინტერვიუირების პროცესში გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც მანდატურების თქმით, პედაგოგები დისციპლინური პასუხისმგებლობის დადგომის გამო, ხშირად უარს აცხადებენ მანდატურებთან თანამშრომლობაზე“. „მასწავლებელი, მდგომარეობის გამწვავებამდე არ ატყობინებს მანდატურს ბავშვებს შორის კონფლიქტის შესახებ, რაც აფერხებს მანდატურის მხრიდან ეფექტიან და დროულ რეაგირებას“. „დირექტორი, ზოგჯერ ბავშვებსაც კი მოუწოდებს, არ შეატყობინონ მანდატურებს მსგავსი ფაქტების შესახებ, ან/და თავად მანდატურებზე ცდილობს ზეგავლენის მოხდენას, ოქმი რომ არ შეადგინონ“ („ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა“ სპეციალური ანგარიში. გვ.21). იმავეს ადასტურებს გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევა, რომელშიც ნათქვამია, რომ „უმეტეს შემთხვევაში, რეაგირების სურვილს უფრო მანდატურები ავლენდნენ, ვიდრე მასწავლებლები“. („ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში“, 2013წ. გვ.88).

რესპონდენტთა გარკვეული ნაწილი აღნიშნავდა, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ შეტყობინება საფრთხესთან არის დაკავშირებული, რადგან ეს ინფორმაცია არ არის ხშირად კონფიდენციალური, ან ამის შემდეგ განმცხადებელს უწევს სამართალდამცავ უწყებაში არაერთხელ მისვლა, ასევე, განსაზღვრული ფორმალური პროცედურების (ჩვენების მიცემა) გავლა, რაც მას დისკომფორტს უქმნის. მოცემულ საკითხზე ყურადღებას ამახვილებს გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევაც, რომლის მიხედვითაც, პოლიციელები აღნიშნავდნენ, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობის გამოვლენის სირთულეები განპირობებულია ორი ფაქტორით, რომელთაგან ერთ-ერთია ძალადობის ფაქტზე საუბრის შიში, ამიტომ მას შეგნებულად მალავენ. კვლევაში ნათქვამია: „მათ (სკოლის მასწავლებლებს) სტიგმის ეშინიათ, მათ არა მხოლოდ შურისძიების ეშინიათ, არამედ ოჯახის წევრების/ქმრებისაც რცხვენიათ, რადგანაც ასეთი ქმედება სხვისი ოჯახის საქმეებში ჩარევად აღიქმება“. („ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში“, 2013წ. გვ.96). ამგვარი დამოკიდებულებები საფრთხეში აგდებს არასრულწლოვანს, რადგან მარტო ტოვებს ძალადობრივ გარემოში“.

რესპონდენტები იცნობენ და ასახელებენ ფიზიკური ძალადობის ნიშნებს, თუმცა უჭირთ ფსიქოლოგიური ძალადობის კვალის პოვნა ბავშვებში. მაგალითად, გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევის თანახმად, პედაგოგებსა და მანდატურებს ძალადობის სხვადასხვა ფორმას შორის ცოდნის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდათ ფსიქოლოგიური ძალადობის ნიშნებთან დაკავშირებით (მანდატური – 50%, პედაგოგი – 38%). თუმცა, როგორც სახალხო დამცველის ანგარიშიდან ჩანს, სკოლებში ხშირია ბავშვებზე ფსიქოლოგიური ძალადობის გამოხატვის მახასიათებლები. აღნიშნულთან დაკავშირებით ყურადსაღებია კვლევის ერთ-ერთი მიგნება, კერძოდ, შემდეგი: რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ნებისმიერი ბავშვი შეიძლება გახდეს ძალადობის მსხვერპლი, თუმცა, არსებობენ ისეთი მოწყვლადი კატეგორიის არასრულწლოვნები, რომლებსაც შესაძლოა, ეს საფრთხე უფრო მეტად ემუქრებოდეთ. მონაწილეთა აზრით, ამ კატეგორიის არასრულწლოვნებს განეკუთვნებიან: დისფუნქციური და სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვები, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები და ის ბავშვები, რომელთა ორივე ან ერთ-ერთი მშობელი შრომით მიგრაციაშია უცხო ქვეყანაში. როგორც სახალხო დამცველის ანგარიშშია აღნიშნული, გარკვეულ შემთხვევებში, სკოლების ადმინისტრაციების წარმომადგენლებისა და მანდატურების მხრიდან დისკრიმინაციული მიდგომა იკვეთებოდა ზოგიერთი კატეგორიის მოსწავლისადმი, როგორებიც არიან: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი, სააღმზრდელო დაწესებულების აღსაზრდელი, სოციალურად დაუცველი კატეგორიის ბავშვი („ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა“ სპეციალური ანგარიში. გვ.13), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მოწყვლადობის მაჩვენებელი ზრდის ძალადობის მსხვერპლად ქცევის რისკს.

როგორც ზემოაღნიშნული მიმოხილვა ადასტურებს, ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ სხვადასხვა პერიოდში განხორციელებული კვლევების მიგნებები ემთხვევა ერთმანეთს, რაც მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სახელმწიფომ მეტი ძალისხმევა უნდა მიმართოს პასუხისმგებელი სუბიექტების როლის გაძლიერებაზე, ისევე როგორც პროფესიონალთა დამოკიდებულებების ტრანსფორმაციაზე.

კვლევის შედეგები

1. ძალადობა და მისი არსის გაგება

1.1 ასოციაციები ძალადობის შესახებ

ფოკუს-ჯგუფების საწყის ეტაპზე რესპონდენტები საუბრობდნენ საკუთარი ასოციაციების შესახებ, რომლებიც მათთვის ძალადობას უკავშირდება. არსებული ტრანსკრიპტების გაანალიზებამ აჩვენა, რომ ნებისმიერი ასოციაცია უკავშირდებოდა და გამომდინარეობდა რესპონდენტების მიერ დაგროვილი გამოცდილებიდან და პრაქტიკიდან. მიღებული ინფორმაციის დაჯგუფების პროცესში აღმოჩნდა, რომ ასოციაციები მსგავსი იყო ჰომოგენურ ჯგუფებში (მაგალითად, პედაგოგების ჯგუფი, ექიმების ჯგუფი და სხვ.). აღსანიშნავია, რომ კვლევის ფარგლებში დისკუსიაში მონაწილეობდა პედაგოგების 5 ჯგუფი (შერჩეული სამი რეგიონიდან), თუმცა, განურჩევლად იმისა, თუ რომელ რეგიონს, ასაკობრივ ჯგუფსა თუ საგნობრივ კათედრას წარმოადგენდნენ აღნიშნული ჯგუფის წარმომადგენლები, მათთვის ძალადობის შესახებ წარმოდგენები დაკავშირებული იყო სასკოლო გარემოსთან და, მეტწილად, ბულინგთან. ჰომოგენურ ჯგუფებში მსგავსი აღქმის ჩამოყალიბების პროცესში

მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ შედეგზე გავლენის მომხდენი ცვლადები, როგორიცაა პროფესია, ყოველდღიური საქმიანობა და რუტინა, აგრეთვე გარემოც. მსგავსი შედეგები იკვეთება ძალოვანი სტრუქტურების (პატრული, უბნის ინსპექტორი, მართლწესრიგის ოფიცერი) წარმომადგენლებთანაც. როგორც თავად აღნიშნავენ, გამოძახებების დიდი ნაწილი უკავშირდება ოჯახურ კონფლიქტებს. ბავშვის მიმართ ძალადობის შესახებ არსებული მათი წარმოდგენებიც, უმეტესად, მიბმულია ოჯახურ კონფლიქტებთან, რომელთა შემსწრენიც ხდებიან არასრულწლოვნები. მეტი დამაჯერებლობისთვის განვიხილოთ ექიმთა ჯგუფის შეხედულებები, რომლებიც, მეტწილად, უკავშირდებოდა ნაადრევ ქორწინებას. მათი თქმით, ბავშვთა მიმართ ძალადობის ხსენებისას აგონდებათ ყველა ის შემთხვევა, რომლებიც დაკავშირებული იყო ნაადრევ ქორწინებასა და არასრულწლოვნის მშობიარობის ფაქტთან. გასათვალისწინებელია, რომ ამ შემთხვევაში შემოდის კიდევ ერთი დამატებითი ცვლადი – შეტყობინების ვალდებულება, ანუ ექიმებმა უნდა შეატყობინონ შესაბამის უწყებებს მსგავსი ფაქტის შესახებ, რაც კიდევ უფრო სენსიტიურსა და საყურადღებოს ხდის საკითხს მედიცინის მუშაკებისთვის. განსხვავებული ასოციაციური კავშირები იკვეთება სოციალური სფეროს წარმომადგენლებთან. სოციალური მომსახურებების (მაგალითად, მცირე საოჯახო სახლი, ბავშვთა სახლი და დღის ცენტრები) წარმომადგენლები და სოციალური მუშაკები კი ყურადღებას ამახვილებენ დისფუნქციურ ოჯახებზე, ადამიანებზე, რომლებმაც არ იციან, რა დამატებით სტრესულ სიტუაციებში აყენებენ მოზარდებს სიყვარულის, მხარდაჭერის, სითბოსა და ზრუნვის ნაკლებობით, არსებული პრობლემების გადაჭრის უუნარობითა და კონფლიქტების მართვის არცოდნით.

> [პირველი ასოციაცია არის] *უგულებელყოფა. ჩემთან ხშირად მოდიან არა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ბავშვები, არამედ ბავშვები უგულებელყოფილი მშობლების მხრიდან, ვინაიდან მათი საჭიროებები, ინტერესები, მათთან თამაში არ იყო მშობლის მიერ საჭიროებად აღქმული. (მომსახურების მიმწოდებელი)*
>
> *ჩემთვის [ძალადობა არის], პირველ რიგში, ოჯახური კონფლიქტი, იმიტომ რომ, როდესაც ცოლ-ქმარს შორის ხდება კონფლიქტი, ბავშვი ავტომატურად ხვდება ამ კონფლიქტის შუაგულში. ასეთ შემთხვევაში, ბავშვი მუდმივად არის ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი. (მართლწესრიგის ოფიცერი)*
>
> *განცდა ყოველთვის არის უარყოფითი – სუსტის დაჩაგვრა. ბავშვთა მიმართ ძალადობაში პირველი, რაც მაგონდება, ეს არის ბულინგი, მაგრამ ვინ აღმოფხვრის ამ ბულინგს, პირდაპირ დამრიგებლებზე მოდიან იერიშით. (სკოლის პედაგოგი)*
>
> *პირველი ასოციაცია შეცოდებაა [მსხვერპლის] პედაგოგების მხრიდან. ვფიქრობ, შემცირებულია ფაქტები. ფსიქოლოგიური ძალადობაა ბევრი. ეს არ ჩანს ხშირად და რთულია მისი ამოცნობა. ეს დიდი პრობლემაა. (მედიცინის მუშაკი)*

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტების დიდი ნაწილი ძალადობის არსისა და მნიშვნელობის შესახებ მსჯელობს საკუთარ პრაქტიკაზე დაყრდნობით ჩამოყალიბებული დასკვნების საფუძველზე, შემდეგ კი აღნიშნულ გამოცდილებას განაზოგადებენ და მოარგებენ მოსახლეობის სხვადასხვა ფენას ემპირიულად დასაბუთებული არგუმენტების გარეშე. მსგავსი მიდგომა ერთგვარად შლის საზღვრებს „ძალადობის“, როგორც ტერმინის, საზოგადოდ აღიარებულ განმარტებასა და კონკრეტული ჯგუფის წევრებში საკუთარი პრაქტიკის მიხედვით ჩამოყალიბებულ შეხედულებას შორის, რასაც შემდგომში მივყავართ სხვა პრობლემებთან:

1. ძალადობის არაერთგვაროვანი გაგება;
2. არასრულწლოვნების მიმართ უნდობლობა.

1.2 ძალადობის არაერთგვაროვანი გაგება

რესპონდენტების უმეტეს ნაწილს შეუძლია, დაასახელოს ძალადობის ფორმები, მათ შორის: ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ძალადობა. უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვის ინტერესების უგულებელყოფის, როგორც ძალადობის ერთ-ერთი სახის, დასახელება, მეტწილად, შეძლეს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი უწყებებისა (პატრული, უბნის ინსპექტორი, მართლწესრიგის ოფიცერი) და ბავშვზე ზრუნვის სისტემაში დასაქმებულმა პირებმა. თუმცა, ერთია, ფლობდე გარკვეულ ცოდნას საკითხის შესახებ, და მეორეა, გქონდეს უნარი, კონკრეტული ქცევა მისი იდენტიფიცირების საფუძველზე დაუკავშირო ძალადობის შესაბამის ფორმას. სავარაუდოა, რომ, თუ პირი არ ფლობს ამ ინფორმაციას, მას გაუჭირდება რეაგირება. როგორც მიღებული ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რესპონდენტები სარგებლობენ ძალადობრივი ქმედებების იმგვარი კლასიფიკაციით, რომლის ჩამოყალიბებაზეც ზემოქმედება მოახდინა არა მხოლოდ ტრენინგებზე მიღებულმა ინფორმაციამ, სახელმძღვანელოებმა, არამედ გარემოში დამკვიდრებულმა მოსაზრებებმა. შედეგად, რესპონდენტების საკმაოდ დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ძალადობა ვლინდება ძალის ფიზიკურ გამოყენებაში, თუმცა, მიუხედავად ამისა, ბავშვის მიმართ დასჯის პროცესში იმგვარი ქმედებები, როგორიცაა ცემა და თავში წამორტყმა, განიხილება აღზრდის მეთოდებად. მსგავს მეთოდებს, როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, იყენებდნენ წარსულში მათი მშობლებიც, თუმცა ამას მათ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე ნეგატიური გავლენა არ მოუხდენია; პირიქით, დარტყმა აღქმულია, როგორც დისციპლინის დამყარების ერთ-ერთი ეფექტური ფორმა, რომელიც ბავშვს განუმტკიცებს წესებისადმი მორჩილების უნარს; შესაბამისად, მონაწილეები ამ მიდგომას პოზიტიურად აფასებენ.

გარდა ფიზიკური ძალადობისა, რესპონდენტები სხვადასხვა კატეგორიად ყოფენ ფსიქოლოგიურ ძალადობასაც. იკვეთება, ასე ვთქვათ „მძიმე“ და „მსუბუქი“ ფსიქოლოგიური ძალადობა. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ შენიშვნის მიცემა ბავშვისთვის ყვირილით, უხეში მიმართვით – ეს აღზრდის მეთოდია, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მკვიდრდებოდა საზოგადოებაში და სწორედ ამ ძალადობრივი აღზრდის მეთოდის დამსახურებით აღიზარდნენ თაობები.

შეიძლება უზრდელურად გამომდის, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ყველა ბავშვი ანგელოზი არ არის. ბავშვებმა უკვე იციან, რომ რაღაცეების უფლება აქვთ. ეს ბევრს უზრდელობაში გადაუვიდა. ახლა შვილი მყავს და ყოფილა შემთხვევა, როდესაც მისი მეცადინეობის დროს ხმისთვის ამიწევია. ჰოდა, ვიღაცას ეს ძალადობა რომ ეგონოს?! მერე ბავშვებიც ამით იზრდებიან, რომ მშობელი ხმას ვერ აუწევს, მასწავლებელი საყვედურს ვერ ეტყვის, უფლება არ აქვს, ყველგან გესმის: „ეს ჩემი უფლებაა და, რასაც მინდა, იმას გავაკეთებ“. რაღაც ზღვარი ხომ უნდა არსებობდეს. უზრდელობაში გადადის უკვე ეს ყველაფერი. (უბნის ინსპექტორი)

[დღეს ძალადობაა] ყველაფერი, რაც ბავშვის სურვილს ეწინააღმდეგება, ბავშვებს კიდევ არაფერი არ სურთ. დღეს ისე არის ყველაფერი შემოტრიალებული, თუ ყველა სურვილი არ დაუკმაყოფილე, ძალადობაა ფაქტობრივად. მშობელს შენიშვნის მიცემის უფლებაც აღარ აქვს. (მედიცინის მუშაკი)

შეიძლება ბავშვობაში ჩვენც ვიყავით ძალადობის მსხვერპლი, მაგრამ ამას ძალადობა არ ერქვა. მეც კი მქონია ოჯახში მსგავსი სიტუაცია, დედას ვუცემივარ, მაგრამ მაშინ ვინმეს რომ წაერთმია ჩემი თავი დედასთვის, მე ცუდი ბავშვობა მექნებოდა. ახლა ვაანალიზებ, რომ ის გაბრაზება სიმწრის და სიყვარულის იყო. (სააღმზრდელო დაწესებულების წარმომადგენელი)

გააჩნია, ძალადობას რას დაარქმევ. ზოგადად, ქართულ ოჯახში რომ იზრდება ბავშვი, იქ ხდება [ძალადობის ფაქტები], აღზრდის სტილიდან გამომდინარე. ამიტომ გააჩნია, რას ვარქმევთ ძალადობას. მე, მაგალითად, ისეთი ხასიათი მაქვს, დედაჩემი და მამაჩემი ხმას რომ აუწევენ, მგონია, რომ რაღაც ხდება და პანიკაში ვვარდები. მაგრამ ეს ხომ რეალობაში ძალადობა არ არის. უბრალოდ, ყოველდღიურობაში ცოლ-ქმარი შეიძლება ხმამაღლა საუბრობდნენ ან კამათობდნენ. ხოდა ვიღაცამ შეიძლება ეს ჩათვალოს ძალადობად. არიან დედები, რომლებიც, ბავშვი თუ არ სწავლობს, ამის გამო შეიძლება მას თმა მოქაჩონ ან დაარტყან კიდეც. ესეც შეიძლება ძალადობა იყოს? გააჩნია, მთავარია, ეს არ გადადიოდეს, მაგალითად, ცხვირიდან სისხლის წამოსვლაში, ან რაღაც ისეთი სერიოზული არ იყოს. თორემ მასე ძალადობად შეიძლება ნებისმიერი რამ აღვიქვათ ყოველდღიურობაში, თუნდაც ის, რომ და-ძმა ერთმანეთს ეჩხუბებიან, ან მეცადინეობის დროს დედამ ბავშვს დაარტყას. გააჩნია, როგორ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. (უბნის ინსპექტორი)

როგორც ციტატებიდანაც ჩანს, უბნის ინსპექტორები, მედიცინის მუშაკები, სააღმზრდელო დაწესებულებების წარმომადგენლები, მეტწილად, ხისტი შეფასებებით გამოირჩევიან. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაშიც არ მოქმედებს გეოგრაფიული არეალის ცვლადი. ზემოაღნიშნული ჯგუფები სამივე რეგიონში, მეტწილად, გამოირჩეოდნენ მსგავსი რადიკალური განცხადებებით. ამის საპირისპიროდ ბავშვთა ზრუნვის სისტემაში დასაქმებული პირები მიუთითებენ, რომ ბავშვის სოციალიზაციის პროცესში სწორი აღზრდის მეთოდების შერჩევა როგორც ოჯახში, ისე საბავშვო ბაღსა თუ სკოლაში, ძალიან მნიშვნელოვანია. ხოლო ძალადობის, როგორც პრობლემის გადაჭრის აპრობირებული მეთოდის, აღქმა, მისი, როგორც ბავშვის აღზრდის საუკეთესო საშუალების, აღიარება, შესაძლოა, დამღუპველი აღმოჩნდეს. აქედან გამომდინარე, ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისთვის, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს თავად ამ ქმედების არსი და რაობა.

ისეთი ფარული და შენიღბული ძალადობებია, ისე უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მშობელი ბავშვს, რომ... აი, ესაა ღირსების შემლახველი დამოკიდებულება. სიტყვას დიდი მნიშვნელობა აქვს. (სოციალური სერვისის მიმწოდებელი)

უგულებელყოფა გახდა ძალიან აქტუალური. გარდა მონყვლადი ოჯახებისა, ბევრგან არის ასეთი პრობლემა, არადისფუნქციურ ოჯახებშიც ძალიან გავრცელებულია და ვერც ხვდებიან ამას, ძალადობადაც არ განიხილავენ; მეტიც, სამაგალითო აღზრდის მეთოდია – იტირა ბავშვმა და ეს [მშობელი] სიამაყით ამბობს, რომ მერე თვითონ გაჩერდა. დედამ არ მიაქცია პრინციპულად ყურადღება და ეს უკვე პოზიტიურ მიდგომად იქცა. (სოციალური სერვისის მიმწოდებელი)

1.3. არასრულწლოვნების მიმართ უნდობლობა

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ რესპონდენტების დიდი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს ბავშვის უფლებებზე, როგორც საშუალებაზე, ახალგაზრდებმა თავი აარიდონ თავიანთ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა დიდი ნაწილი ბავშვის უფლებებს განიხილავს, როგორც თანამედროვეობის მონაპოვარს, რომელმაც ბავშვებს მისცა განუსაზღვრელი შესაძლებლობები. ამის ფონზე ახალგაზრდა თაობის დახასიათებისას რესპონდენტები იყენებენ ისეთ ეპითეტებს, როგორიცაა: „დაუმორჩილებელი“, „უზრდელი“, „თავხედი“, „უპასუხისმგებლო“. გარდა იმისა, რომ ბავშვებმა, რესპონდენტთა აზრით, კარგად შეისწავლეს საკუთარი უფლებები და დაივიწყეს მოვალეობები, შეიქმნეს ცრუ ფანტაზიები მათ მიმართ განხორციელებული

ძალადობრივი ფაქტის ან ფაქტების შესახებ. მოსაზრებას, რომ ბავშვები ხშირად იტყუებიან ძალადობის შესახებ, ხშირად თხზავენ ისტორიებს და ამით უხერხულ მდგომარეობაში აყენებენ მშობლებს, პედაგოგებსა თუ სხვა ადამიანებს, იზიარებენ პედაგოგები, ექიმები, პატრულის სამსახურის თანამშრომლები, უბნის ინსპექტორები, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, კვლევაში ჩართული თითქმის ყველა რესპონდენტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავუშვათ, რომ გარკვეულ ჯგუფებში ჭირს ჩამოყალიბება ნდობაზე დამყარებული ურთიერთობისა, რომელიც მხარდამჭერი გახდება ბავშვებისთვის.

დღეს უზრდელ ბავშვებს დაარქვეს ჰიპერაქტიული ბავშვები. ინტრიგანი ბავშვებიც არიან. ერთმა დარეკა, მივედი და დედამ მითხრა, სკოლაში წადიო, ეს არ წავიდა და იმან უყვირა, ამან ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი ვარო. 12 წლის ბავშვი. მე ვუთხარი, სკოლაში ხომ უნდა წასულიყავი-მეთქი, რომ მიხვდა, რომ საქმე ისე არ მიდიოდა, გუშინ რატომ დამარტყაო. დარტყმაზე უკვე ისე ვერ დავტოვებთ, თუმცა შეიძლება ბავშვი ამას ამბობს, მაგრამ დაარტყა – არ დაარტყა, არავინ იცის. (პატრულის თანამშრომელი)

ზოგიერთი ბავშვი ძალიან განვითარებულია, ვის როგორ მოუწყოს პროვოკაცია. დაურეკავს ბავშვს 112-ში და უთქვამს, მოვიდეს პატრული, გამოწეროს შემაკავებელიო. ამტყდარა მთელი ამბავი, ბავშვია, ძალადობის მსხვერპლია, ითხოვს შემაკავებელს. მიდიხარ, გხვდება პატარა ტლიკინა ბავშვი, რომელსაც არ აკლია არაფერი, არც საჭმელი, არც სასმელი, არც ტანსაცმელი, არც ბევრი პრივილეგია, რაც სხვას არ აქვს და იმის გამო, რომ ინტერნეტი არ ჩაურთეს, დარეკა. (პატრულის თანამშრომელი)

რომ ამბობენ, ბავშვები არ იტყუებანო, მე, მაგალითად, ძალიან ხშირად ჩავვარდნილვარ უხერხულ მდგომარეობაში [ბავშვის ტყუილის გამო]. ბავშვი მივიდა შინ დაგვიანებული, მოგვიყვა, რომ დახვდნენ ნიღბიანები, გათიშეს. გონზე რომ მოვიდა, სადღაც სხვაგან იყო, ფული წაართვეს და აღმოჩნდა, რომ ყველაფერი იყო ტყუილი, უბრალოდ, დააგვიანა და ამის თქმა არ უნდოდა, ეშინოდა. (მანდატური)

განსხვავებული მოსაზრება აქვთ სოციალურ მუშაკებსა და მომსახურების მიმწოდებლებს. ისინი მიიჩნევენ, რომ, თემის სენსიტიურობიდან გამომდინარე, ბავშვები ძალადობრივი ფაქტების შესახებ იშვიათად ამბობენ ტყუილებს ან თხზავენ ისტორიებს. რესპონდენტების თქმით, მოზარდები ხშირად ცდილობენ, ფაქტები მეტი სიმწვავით წარმოაჩინონ, დაამატონ ან გამოიგონონ ისტორიები, მაგრამ ამას ყოველთვის აქვს საფუძველი. მონაწილეები მიიჩნევენ, რომ ნებისმიერი ინსტიტუტი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად არის დაკავშირებული ბავშვთან, უნდა ცდილობდეს, ჩასწვდეს და აღმოაჩინოს ის მთავარი ისტორია თუ ფაქტი, რომელმაც გავლენა მოახდინა ბავშვსა და მის მონათხრობზე. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ რეფერირების პროცესში ჩართული სუბიექტები ნაკლებად ითვალისწინებენ აღნიშნულ რეკომენდაციას; გულგრილი დამოკიდებულებით კი ბავშვი, რომელიც შესაძლოა, ძალადობის მსხვერპლი იყოს, რჩება მარტო, მხარდაჭერის გარეშე. რესპონდენტების აზრით, უნდობლობის განცდა, რომელზედაც უკვე გამახვილდა ყურადღება, ჩნდება მოზარდებშიც. ისინი აღარ ელოდებიან დახმარებას იმ მთავარი სტრუქტურების წარმომადგენლებისგან, რომლებიც მათი უსაფრთხოების გარანტი უნდა იყოს.

შეიძლება ბავშვმა მოიტყუოს, გააფერადოს, გაალამაზოს, გაამრავლოს, მაგრამ ძალადობის შესახებ ბავშვები არ იტყუებიან. ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ აქ რაღაც პრობლემაა. შეიძლება მოიტყუოს იმწუთას და არ გაგეხსნას, მაგრამ არ არ-

სებობს, რომ ქცევაში არ დაეტყოს. თუ ეს გაინტერესებს და უკვირდები, აუცილებლად შეამჩნევ. (მომსახურების მიმწოდებელი)

შესაძლებელია, რომ ისინი [ბავშვები] ამატებდნენ რაღაცას. ისინი ამ დროს ყურადღების ცენტრში ექცევიან და შეიძლება, ამის გამო დაამატონ რაღაცეები, მაგრამ პირველი მონათხრობი არის წყარო. ყველამ უნდა იცოდეს ამის ამოცნობა. (მომსახურების მიმწოდებელი)

ნებისმიერ გამოძახებაზე ჩვენ ვალდებული ვართ, რეაგირება გავაკეთოთ. თუ იტყუება, უნდა დავადგინოთ ამის მიზეზი. (სოციალური მუშაკი)

1.4 ძალადობის მსხვერპლი და მისი მახასიათებლები

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ნებისმიერ ბავშვი შეიძლება გახდეს ძალადობის მსხვერპლი, თუმცა, როგორც წინა თავში აღინიშნა, ამ შემთხვევაშიც არსებობს მოწყვლადი ჯგუფები, რომლებსაც მათთვის რისკის შემცველი გარემო პირობების გამო, შესაძლოა, უფრო მეტად დაემუქროთ მსხვერპლად ქცევის საფრთხე. მონაწილეთა აზრით, რისკ-ჯგუფს განეკუთვნებიან: დისფუნქციური, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ოჯახების შვილები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები, მცირეწლოვნები, რომლებიც ვერბალურად ვერ გადმოსცემენ ან არ შეუძლიათ საფრთხეების აღქმა და ანალიზი. ასევე საყურადღებოა, რესპონდენტთა აზრით, ბავშვები, რომელთა ორივე ან ერთ-ერთი მშობელი ემიგრაციაშია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ძირითადად, საგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლების, ბაღების და არაფორმალური განათლების წრეების) წარმომადგენლები ამჟღავნებენ პოზიტიურ დისკრიმინაციას შშმ პირის სტატუსის მქონე მოსწავლეების მიმართ. ისინი მიიჩნევენ, რომ სხვადასხვა გონებრივი თუ ფიზიკური დარღვევის მქონე ბავშვების მიმართ საზოგადოება გამსჭვალულია სიბრალულით და სწორედ შეცოდების შეგრძნება შეიძლება გახდეს შემაკავებელი ფაქტორი შშმ ბავშვების მიმართ ძალადობრივი ქცევის განხორციელების სურვილის შემთხვევაში. ამ მოსაზრებას რადიკალურად ემიჯნებიან პატრულის თანამშრომლები და სოციალური მუშაკები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ შშმ პირის სტატუსის მქონე ბავშვები არიან მაღალი რისკის ჯგუფში, რადგან მოძალადე მეტწილად ირჩევს სუსტ მსხვერპლს, რათა ძალადობრივი აქტის განხორციელება გაუადვილდეს.

გააჩნია, რა კუთხით მიუდგები. [ამას პოტენციური მსხვერპლის] სოციალური მდგომარეობა განაპირობებს, ოჯახური მდგომარეობა. [ვგულისხმობ], მაგალითად, გაშორებული [მშობლების] ან კონფლიქტური ოჯახების შვილებს. შემდეგ ის ბავშვიც, როგორც ნებისმიერი მსხვერპლი, თავს დამნაშავედ მიიჩნევს, ერთხელ რადგან მიეჩვია ის მათრახს, ანუ ძალადობა ნორმად იქცა მისთვის. ფსიქოლოგებიც ასე ამბობენ. (მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი)

მსხვერპლი შეიძლება იყოს კონფლიქტური ოჯახების შვილები, შშმ ბავშვები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, მარტოხელა მშობლის შვილები, ემიგრაციაში მყოფი მშობლების შვილები. (სოციალური მუშაკი)

შშმ ბავშვების ინტეგრირება რომ მოხდა სკოლებში, ჩემი აზრით, ძალიან ცუდია. თვითონაც ძალადობის მსხვერპლნი არიან, რომ ვერ მიჰყვებიან და ვერ ეწევიან პროგრამას და სხვა ბავშვებიც, რომლებიც ფერხდებიან მათ გამო და წინ ვერ მიდიან. მასწავლებელიც მეტ ყურადღებას აქცევს ზოგ შემთხვევაში შშმ ბავშვებს. (მედიცინის მუშაკი)

მცირეწლოვნებში უფრო მეტი ძალადობის ფაქტები იქნება, იმიტომ რომ უფრო დაუცველები არიან. მოძალადეს ნაკლებ წინააღმდეგობას უწევენ. ასევე ძალიან დიდი პრობლემაა, დედები რომ საზღვარგარეთ არიან და ბავშვებს ბებიები ზრდიან. (მანდატური)

ყველაზე მეტად [ზარალდებიან] შშმ ბავშვები, იმიტომ რომ ისინი თავს ვერ იცავენ, ვერ გამოხატავენ ისე ზუსტად თავიანთ ემოციას, როგორც აბსოლუტურად ჯანმრთელი ბავშვი გამოხატავს და ფაქტებიც ბევრია ამის. თუ ფაქტს არ ნახავ, ასე ზუსტად ცოტა რთულია თქმა, მაგრამ, სამწუხაროდ, ალბათ, ყველაზე მარტივია მათი ჩაგვრა. (მანდატური)

შშმ ბავშვები ნაკლებად [ზარალდებიან], რადგან შეცვლილია დამოკიდებულება მათ მიმართ, პრივილეგირებულები არიან უფრო. გამორიცხული არაფერია, მაგრამ მე მყავს ასეთი მოსწავლე და ახლა აღარ იკვეთება არაფერი. (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ბავშვები ნებისმიერ გარემოში შეიძლება გახდნენ ძალადობის მსხვერპლი. ეს შეიძლება იყოს ოჯახი, საბავშვო ბაღი, სკოლა, სხვადასხვა სახელოვნებო თუ სპორტული წრე, ქუჩა და ეზო. თუმცა, მიიჩნევენ, რომ ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის დროს მოძალადე ცდილობს, აირჩიოს მაქსიმალურად მყუდრო ადგილი, რათა დანაშაული დაფაროს. საბოლოოდ, რესპონდენტების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ბავშვის მიმართ ძალადობა, ძირითადად, შეიმჩნევა ოჯახში.

1.5 მოძალადე და მისი მახასიათებლები

რესპონდენტების უმეტესობა მიიჩნევს, რომ მოძალადე შესაძლოა, გახდეს ნებისმიერი ადამიანი, განურჩევლად სქესისა, ასაკისა თუ პროფესიისა, თუმცა არსებობს გარკვეული რისკ-ჯგუფები, რომელთა წევრებიც რესპონდენტთა დაკვირვებით, უფრო მეტად ხასიათდებიან ძალადობრივი ქცევით. როგორც დასაწყისში აღინიშნა, ამ შემთხვევაშიც ჰომოგენური ჯგუფები, ძირითადად, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ახასიათებენ მოძალადეს. მაგალითისთვის, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მოძალადეები, ძირითადად, არიან მამაკაცები, რომლებიც უმეტესად მოიხმარენ მავნე ნივთიერებებს; მათ შორის ასახელებენ ალკოჰოლურ სასმელსა და ნარკოტიკულ ნივთიერებებს, უმეტესად – მარიხუანას. პედაგოგები, ბაღის აღმზრდელები, ექიმები ფიქრობენ, რომ შეიძლება მოძალადე გახდეს მშობელი, განსაკუთრებით – დედა. ამის მიზეზად რესპონდენტები ასახელებენ ოჯახში დედის უფრო ინტენსიურ ურთიერთობას შვილთან. მონაწილეთა თქმით, უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ შვილზე იძალადებს დედა, რომელიც, ძირითადად, არის შინ და მეტ დროს ატარებს ბავშვთან, ვიდრე მამა, რომელიც მეტწილად გვიან ბრუნდება შინ და ხშირად ვერც კი ნახულობს შვილს.

უნდა აღინიშნოს, რომ, გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, თითქმის ყველა მონაწილე გამოყოფს ძირითად ფაქტორებს, რომლებიც უბიძგებს პირს, ჩაიდინოს ძალადობა. ეს განსაკუთრებით ეხება ბავშვის ინტერესების უგულებელყოფას. ეს ფაქტორებია: განათლების დაბალი დონე და მძიმე სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა.

რესპონდენტების აზრით, ხშირად მოძალადეს არ აქვს გააზრებული საკუთარი ქცევა და ვერც კი აანალიზებს, რამდენად დამაზიანებელი შეიძლება გახდეს ის ბავშვისთვის. მას სჭირდება მეტი ინფორმაცია და ცოდნა, თუნდაც იმისთვის, რომ დამაზიანებელი და პოზიტიური ქცევის ერთმანეთისგან გარჩევა შეძლოს.

აღსანიშნავია მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც, რესპონდენტთა აზრით, მოქმედებს ადამიანის ხასიათის ცვლილებაზე უარესობისკენ, სტრესული ფონის მომატებაზე, წაახალისებს ისეთ მიდრეკილებებს ადამიანში, როგორიცაა მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება. საბოლოოდ, ინდივიდს უჭირს, მართოს ემოციები, სტრესი, რაც შემდგომში უკვე აისახება მის ქცევაზე, რომელიც მეტწილად აგრესიული და, შესაბამისად, ძალადობრივია.

რესპონდენტები საუბრობენ იმაზეც, რომ, გარდა განათლების დონისა, მოძალადეზე დიდ გავლენას ახდენს წარსული გამოცდილება. მონაწილეები მიიჩნევენ, რომ ადამიანები, რომლებიც ბავშვობაში მძიმე ძალადობრივი მოპყრობის ობიექტები იყვნენ, გაცილებით ხშირად მიმართავენ ძალადობრივ ქცევას, ვიდრე პირები, რომლებსაც მსგავსი გამოცდილება წარსულში არ ჰქონიათ.

ძირითადად, მაინც დედები არიან მოძალადეები, ქალები ბავშვებთან უფრო მეტ დროს ატარებენ ამიტომ დედები, ბებიები, დები – [ძალადობის] 85% მათგან მოდის. არ ვგულისხმობ სექსუალურ ძალადობას. (პედაგოგი)

მოძალადე თავად შეიძლება იყოს ძალადობის მსხვერპლი, ანუ მასზე ძალადობდნენ და შემდეგ ის სხვაზე ძალადობს. (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

[მოძალადე] შეიძლება იყოს მშობელი ან მეურვე. ოჯახის წევრებიდან უფრო მამები, დედებიც არიან, მაგრამ მეტწილად – კაცები და მამები. ნებისმიერი სქესის წარმომადგენელმა შეიძლება იძალადოს. გამოძახებებით თუ ვიმსჯელებთ, უმეტესად არიან მამაკაცები, ალკოჰოლზე, ნარკოტიკებზე ან აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულები, რაც ქმნის ოჯახში კონფლიქტურ სიტუაციას და ეს ყველაფერი მოქმედებს ბავშვის მდგომარეობაზე. (პატრულის თანამშრომელი)

1.6. ძალადობის ნიშნების ამოცნობა

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ, პირველ რიგში, რეფერირების პროცესში ჩართულ პირებს უნდა შეეძლოთ ძალადობის ნიშნების ამოცნობა და იდენტიფიცირება. უნდა აღინიშნოს, რომ მონაწილეების მიერ დისკუსიების განმავლობაში მოწოდებული ინფორმაცია ამ ნიშნების კატეგორიზაციის საშუალებას იძლევა. ერთი მხრივ, არსებობს ფიზიკური ნიშნები, რომლებიც მიუთითებს ძალადობის კვალზე, ეს შეიძლება იყოს სისხლჩაქცევები სხეულზე, ბავშვთან მიახლოების დროს მისი შეკრთომა და ხელების თავსა და სახეზე აფარება, რაც, რესპონდენტების თქმით, მიგვანიშნებს იმაზე, რომ ბავშვს სცემენ. როგორც მონაწილეები ამბობენ, საკმაოდ იოლია ფიზიკური ნიშნების დანახვა და ამოცნობა, თუმცა იდენტიფიცირება რთულდება მაშინ, როცა თვალნათლივ არ ჩანს ძალადობრივი ქმედების კვალი. რესპონდენტების უმეტესობა აღიარებს, რომ, ასეთ შემთხვევაში, რეფერირების პროცესში ჩართული პირი უნდა აკვირდებოდეს ბავშვის ქცევას, რამდენად ცვალებადია იგი, ხომ არ აღენიშნება მას განმარტოების სურვილი, ჩაკეტილობა, დეპრესია, აღიქვამს თუ არა საფრთხის შემცველად ნეიტრალურ სტიმულებს (მიახლოებას, შეხებას). ეს ნიშნები, რესპონდენტთა აზრით, უნდა გახდეს სიგნალი დამკვირვებლისთვის, რომ მას გაუჩნდეს ეჭვი ბავშვის მიმართ განხორციელებული შესაძლო ძალადობრივი ქმედების შესახებ. რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებენ ბავშვის ინტერესების უგულებელყოფის ფაქტებზეც. ისინი მიიჩნევენ, რომ ძალადობის ამ ფორმის ამოცნობა შედარებით იოლია, რადგან ამ დროს ბავშვი, ძირითადად, მოუწესრიგებელია, არ აქვს დაცული ჰიგიენური ნორმები, აგვიანებს სკოლაში და ზოგჯერ ნებისმიერი ქცევით, თუნდაც აგრესიულით, ცდილობს სხვების ყურადღების მიქცევას.

უნდა აღინიშნოს, რომ ძალადობის ნიშნების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობდა კვლევაში ჩართული ჯგუფების თითქმის ყველა წარმომადგენელი.

როდესაც უახლოვდები, ხელებს იფარებს. ზოგადად შიში აქვთ. აგრესიულები ხდებიან, ეცვლებათ ქცევა. საერთოდ, ბავშვი სარკეა ოჯახში არსებული მდგომარეობისა და ზუსტად ხვდები, რა ხდება ოჯახში. (სააღმზრდელო დაწესებულების წარმომადგენელი)

[როდესაც აქვს] ვიზუალური ჩალურჯებები, თუ ხელებს იფარებს სახეზე, მშობელთან ახლოს მიდის თუ არა. გავესაუბრებით ასევე ბავშვს, შეიძლება გაგეხსნას თავისთავად. (მართლწესრიგის ოფიცერი)

ამ დროს ბავშვი ხდება ნერვიული, გულჩათხრობილი, ჩაკეტილი, დათრგუნული, აგრესიული, დაკომპლექსებული. (მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი)

ბავშვის ფსიქოტიპს გააჩნია, მაგალითად, როგორ გამოიყურება ბავშვი. თუ ბავშვი მოუწესრიგებელია, ჭუჭყიანი აქვს ხელები, ბინძური აქვს ტანისამოსი, ჩათვლი, რომ ის მშობლის მიერ არის უგულებელყოფილი. ბავშვს ასევე შეიძლება ჰქონდეს ძალადობის ხილული კვალი, ფიზიკური დაზიანება – ჩალურჯებული თვალი, იარა, რითაც მარტივად ხვდები, რომ მასზე განხორციელდა ფიზიკური ძალადობა. ასევე, ბავშვი შეიძლება იყოს დათრგუნული, უკონტაქტო, არ ჰქონდეს ურთიერთობა სხვა ბავშვებთან, გარე სამყაროსთან. (მომსახურების მიმწოდებელი)

1.7 ძალადობის შესახებ ინფორმირების საშუალებები

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში ჩართული პირების უმრავლესობას გავლილი აქვს ერთჯერადი ტრენინგი ან კურსი ძალადობის შესახებ. საკმაოდ მაღალია ინფორმირებულობის დონე ზემოაღნიშნული საკითხების შესახებ მართლწესრიგის ოფიცრებში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სამსახური ახალშექმნილია, თანამშრომლები საუბრობენ წარმატებებზე, რომლებსაც მიაღწიეს ზოგიერთ შემთხვევაში. უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციას ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, ძირითადად, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები და მანდატურის სამსახურის თანამშრომლებიც ეცნობიან პოლიციის აკადემიაში სწავლის პერიოდში ან ამ სტრუქტურის მიერ შეთავაზებულ ტრენინგებზე.

ინფორმირებულობის დონე ძალადობის შესახებ მაღალია სოციალურ მუშაკებსა და მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების თანამშრომლებშიც. როგორც თავად აღნიშნავენ, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია სთავაზობთ ტრენინგკურსებს, თუმცა მათთვის სწავლისა და ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო საკუთარი გამოცდილებაა. სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ მათ ამ მიმართულებით დაეხმარათ საუნივერსიტეტო განათლება და სოციალური მუშაკების გადამზადების კურსიც, რომლის ფარგლებშიც მიიღეს გარკვეული ინფორმაცია ზემოაღნიშნულ საკითხებზე.

რაც შეეხება სკოლების წარმომადგენლებს, როგორც თავად ამბობენ, მათ საკმაოდ ბევრი ტრენინგი აქვთ გავლილი ძალადობის საკითხებზე (როგორც განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებული, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული). მათი თქმით, ინფორმაციის ნაკლებობას ამ მიმართულებით არ უჩივიან, თუმცა გამოთქვამენ მზაობას, მიიღონ დამატებითი ცოდნა ძალადობის არსის შესახებ, რათა უკეთ შეძლონ ამგვარი ქცევის პრევენცია მოსწავლეებში.

თუ ცალკეულ შემთხვევებს არ ჩავთვლით, სააღმზრდელო დაწესებულებების, მუნიციპალიტეტების, ა(ა)იპ-ებისა და არაფორმალური განათლების ცენტრების წარმო-

მადგენლები აღნიშნავენ, რომ მათ უმრავლესობას არ გაუვლია არანაირი ტრენინგი თუ გადამზადება ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე.

რაც შეეხება ექიმებს, მათი თქმით, თემატიკა ტრენინგებისა, რომლებიც მათ გავლილი აქვთ, უკავშირდება ძალადობის ნიშნების ამოცნობასა და გამოვლენას, რათა შემდგომში ამის შესახებ შეატყობინონ შესაბამის უწყებებს.

პირადად მე არა, ჩვენმა უფროსმა გაიარა ტრენინგი და მერე ჩვენ ჩაგვიტარა. თუმცა, ჩემი აზრით, უმჯობესია ამ ტრენინგებს პრაქტიკოსები დაესწრონ. ვისაც აქვს ბავშვთან ყოველდღიური შეხება, მათ სჭირდებათ. მარტო აღმზრდელი არა, იქ უნდა იყოს პრაქტიკოსიც და ძიძაც. (სააღმზრდელო დაწესებულების წარმომადგენელი)

დირექტორებს არ გვაკლია ტრენინგები, პრაქტიკულ გამოცდილებას ვიღებთ. (სკოლის დირექტორი)

საუნივერსიტეტო მოდულებში იყო გათვალისწინებული მოცემული საკითხები და ორი კურსი გავიარეთ. ამავე კურსებში იყო სამართლებრივი ასპექტები მიმოხილული. ამ მასალას გავდიოდით მე-2, მე-3 კურსზე. რა გამოვლინებები შეიძლება ჰქონდეს ძალადობაგანცდილ ბავშვს, რა ტიპის ძალადობები არსებობს, ასევე, რა კანონები არეგულირებს სფეროს. (სოციალური მუშაკი)

რამდენიმე წლის წინ სააგენტოს წარმომადგენლები შეგვხვდნენ, მოგვცეს მიმართვის ფორმები და თუ ეჭვი შეგეპარათ, შეავსეთ და გადმოგვიმისამართეთო. ერთხელ გამგეობაში იყვნენ სოციალური მუშაკები და გამოგვკითხეს ჩვენი უბნის შესახებ, თუ არსებობდა ეჭვი ძალადობაზე. (მედიცინის მუშაკი)

2. ძალადობის ფაქტები და რეაგირება

2.1. ეჭვი ძალადობრივი ქმედების შესახებ და მისი დასაბუთების გზები

რესპონდენტების თქმით, მას შემდეგ, რაც ისინი ბავშვს შეამჩნევენ გარკვეულ ნიშნებს, რომლებიც ძალადობის კვალზე მიუთითებს, ჩნდება ეჭვი, რომელიც საჭიროებს დასაბუთებას. გამოვლინდა, რომ საკითხის გამორკვევის პროცესში ყველა ჯგუფი დაახლოებით მსგავს პროცედურებს გადის. ძირითადად, ეს არის ინტერვიუები/გასაუბრება ბავშვთან, მშობელთან, ოჯახის წევრებთან, სამეზობლოსთან, ბაღის აღმზრდელთან თუ სკოლის პედაგოგებთან. რესპონდენტთა შერჩევა დამოკიდებულია მასზე, ვისაც უჩნდება ეჭვი. მიღებული ინფორმაციის გაანალიზებამ აჩვენა, რომ ამ პროცესში, უმეტესად, ჩართული არიან მანდატურის სამსახური, საპატრულო სამსახური და მართლწესრიგის ოფიცრის სამსახური, ასევე, სააგენტო და მომსახურების მიმწოდებლები. სკოლისა და ბაღის, ასევე მუნიციპალიტეტების, ა(ა)იპ-ების, არაფორმალური ცენტრების წარმომადგენლები და ექიმები, ფაქტობრივად, მცირე გამონაკლისების გარდა, ვერ იხსენებენ ფაქტებს, როცა მათ გაუჩნდათ ეჭვი ბავშვზე ძალადობის შესახებ. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბაღის აღმზრდელები და სკოლის პედაგოგები დროის დიდ ნაწილს მოსწავლეებთან/აღსაზრდელებთან ატარებენ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლების წარმომადგენლები ეჭვის გაჩენის ნაწილში მთავარ პასუხისმგებელ პირად კლასის დამრიგებელს მიიჩნევენ, რითაც სხვა საგნების პედაგოგებს ერთგვარად უხსნიან პასუხისმგებლობას. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ პატრულის თანამშრომლები, მართლწესრიგის ოფიცრები, სოციალური მუშაკები, ძირითადად, სხვათა გამოძახებებზე რეაგირებენ.

როცა ინფორმაცია გაჟღერდება, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ ყველა შემთხვევაში, მით უმეტეს, თუ ბავშვი ფიგურირებს, ყველანაირად ვცდილობთ, ყველა დონის და ყველა ზომის ინფორმაცია ამოვიღოთ. ეს იქნება ოჯახის წევრები, ის ოჯახის წევრები, რომლებიც უშუალოდ ძალადობის მომენტში სახლში არ იყვნენ, მეზობლები, დამსწრე პირები და ა.შ. მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ ყველა ინფორმაცია ამოვიღოთ. იმის მიხედვით ხდება შეჯერება ეჭვის. (პატრულის თანამშრომელი)

თვითონ შეიძლება არაფერს ამბობდეს ბავშვი ან დაშინებული იყოს, ან არ შეეძლოს გადმოცემა. ამ სამსახურმა, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ეს გამოცდილება მოგვცა, რომ ადამიანის თვალებში შეგვიძლია რაღაც წავიკითხოთ. ბავშვი არ ლაპარაკობს, ჩუმადაა, მაგრამ რაღაცაშია საქმე. არ იხსნება, მოწყენილია, შეშინებულია, არავინ არ უნდა და ყველას უყურებს თვალებში. (პატრულის თანამშრომელი)

საყურადღებოა, როგორ და რა გზებით ცდილობენ სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლები ძალადობის ეჭვის იმგვარად დასაბუთებას, რომ შემდეგ ეს ინფორმაცია დამაჯერებელი და საყურადღებო გახდეს საპატრულო პოლიციისა და სააგენტოს თანამშრომლებისთვის. ამ შემთხვევაში შეგვიძლია, დავეყრდნოთ მანდატურებისა და მართლწესრიგის ოფიცრების გამოცდილებას. ამ ორი სტრუქტურის წარმომადგენლები უშუალოდ არიან პასუხისმგებელნი ძალადობრივი ფაქტების გამოვლენასა და პრევენციაზე. როგორც მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები აცხადებენ, ისინი მუდმივად აკვირდებიან ბავშვებს, სწავლობენ მათ ფსიქოემოციურ მდგომარეობას, ცდილობენ მოზარდების ნდობის მოპოვებას, საჭიროების შემთხვევაში ესაუბრებიან. როგორც მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები აცხადებენ, ბავშვების ნდობის მოპოვება არის საწინდარი იმისა, რომ შემდგომში ისინი ღიად ისაუბრებენ საკუთარ პრობლემებზე და შემდეგ მანდატურსაც აღიქვამენ, როგორც მხარდამჭერს. მანდატურების თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ჩნდება ეჭვი ბავშვის მიმართ ძალადობის შესახებ, თუმცა არ არის გამოხატული ისეთი მკვეთრი ნიშნები, როგორიცაა სისხლჩაქცევები, ნაკბენები, მაშინ, ისინი საწყის ეტაპზე ცდილობენ, გაესაუბრონ ბავშვებს ინფორმაციის მოპოვების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში კი პროცესში ერთვებიან პედაგოგები და მშობლები. თუმცა, მანდატურის სამსახურის თანამშრომლების თქმით, უმეტეს შემთხვევაში, ბავშვი არ მალავს ძალადობის ფაქტს და, მეტწილად, გულახდილად ლაპარაკობს ამის შესახებ.

ბავშვი ვერ მალავს [ძალადობის ფაქტს], ერთი მოფერება და გულწრფელობა თუ დაინახა შენგან, მერე ყველაფერს გაგანდობს და მოგიყვება. (მანდატური)

ბავშვებთან საუბარი არის გამოსავალი. ბავშვები ძალადობაზე არ ცრუობენ. დამრიგებელს ვესაუბრებით, დირექციას, მშობლებს, მერე, შესაბამისად, ვწყვეტთ გადამისამართებას პოლიციასთან და სოციალურ მუშაკთან. (მანდატური)

[...] ბავშვს ნაკაწრები შევამჩნიე და მეც მქონდა რაღაცა გაკაწრული ხელზე და მეთქი ნახე, ერთნაირი ნაკაწრები გვაქვს, მე ასე ვიტკინე, შენ როგორ იტკინე-თქო და მაშინვე თქვა, რომ მე დედამ მცემაო და მერე უკვე რომ მენდო, მარტივად მოჰყვა ყველაფერს. (მანდატური)

რაც შეეხება მართლწესრიგის ოფიცრებს, როგორც თავად ამბობენ, ცდილობენ, შეისწავლონ ოჯახები, დააკვირდნენ, ხომ არ არსებობს ოჯახებში ძალადობის რისკები. მათი თქმით, დიდი ყურადღება ექცევა ბავშვების მდგომარეობას. ისინი ოჯახებში ვიზიტებს ახორციელებენ, ძირითადად, დღის პირველ ნახევარში, რათა გამოიკვლიონ, დადის თუ არა ბავშვი რომელიმე საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ინფორმაციის შეგროვების შემდეგ კი ექმნებათ ნათელი სურათი თითოეული ოჯახის შესახებ.

[...] ოჯახებში ისეთ დროს შევდივართ, როდესაც ბავშვი ან სკოლაშია, ან ბაღში, ან სადმე წრეზე. როცა შევდივართ, მაგალითად 11.00 სთ-ზე და ბავშვი გვხვდება, თუ ნაცემი არ არის, ვკითხულობთ, რატომ არის ბავშვი სახლში? თუ ეჭვი ჩნდება, ყველა ის ადამიანი უნდა გამოიკითხოს, ვისაც აქტიური შეხება აქვს ბავშვთან, მათ შორის მეგობრებიც. (მართლწესრიგის ოფიცერი)

საკმაოდ საინტერესო იყო სამედიცინო მუშაკების მოსაზრებები საკუთარი როლის შესახებ ბავშვთა მიმართ ძალადობის ეჭვის დასაბუთების საქმეში. როგორც ისინი აღნიშნავენ, ქვეყანაში ბავშვთა მიმართ ძალადობრივი ქმედების ფაქტები მცირერიცხოვანია. ზოგიერთი მათგანი მიიჩნევს, რომ, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში ძალადობის მძიმე შემთხვევები საერთოდ არ არსებობს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ექიმების უმეტესობა ზედმეტ ვალდებულებად მიიჩნევს, განახორციელოს ის ღონისძიებები, რომლებიც, ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ფაქტის რელევანტურობას დაასაბუთებდა. მედიცინის მუშაკები მიიჩნევენ, რომ მათი უშუალო მოვალეობები და დატვირთვა იმდენად დიდია, შეუძლებელია, კიდევ გამოინახოს დრო „გამოძიების ჩასატარებლად“. ექიმების აზრით, ამ ყველაფრისთვის არსებობს საპატრულო პოლიცია და, ზოგადად, ძალოვანი სტრუქტურები.

ჩვენთან ახლა იშვიათია ასეთი ძალადობის ფაქტები. (მედიცინის მუშაკი)

მსგავსი ფაქტი თუ არის და ბავშვი თუ იტყვის, თორემ მოძალადე სხვისი თანდასწრებით არ იძალადებს. ჩვენ ექიმები ვართ, სამართალდამცავები ხომ არა. ნებისმიერი მოქალაქის ვალდებულებაა, როდესაც ძალადობას ხედავს, უნდა აცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს. (მედიცინის მუშაკი)

ისე, მე მაინც ვფიქრობ, ეს ჩარევა ჩვენი მხრიდან საჭირო არ არის. მე ვიზიტზე თუ არ მომიყვანეს ბავშვი, ისე ვერ ვნახულობ. აი, ბაღში რომ დადის, მასწავლებლის მხრიდან უფრო შესამჩნევია. ამიტომ არა მგონია, ეს ჩვენი სამართავი იყოს. (მედიცინის მუშაკი)

2.2. ძალადობის ფაქტები და შეტყობინების ვალდებულება

გამომდინარე იქიდან, რომ ძალოვან სტრუქტურებსა და სოციალურ მუშაკებს ხშირად უწევთ ძალადობის შემთხვევებზე მუშაობა, მათ არ გასჭირვებიათ სხვადასხვა ფაქტის გახსენება, რომლებიც ეხებოდა ბავშვთა მიმართ ძალადობრივ ქმედებას. როგორც პატრულის თანამშრომლები აღნიშნავენ, მათი გამოძახებების დიდი ნაწილი ოჯახურ კონფლიქტებს უკავშირდება. მათი თქმით, ასეთ შემთხვევებში იშვიათად იკვეთება უშუალოდ ბავშვის მიმართ პირდაპირი ძალადობა, მაგრამ, თუ არასრულწლოვანი ფაქტის შემსწრეა, ამას პატრულის თანამშრომლები განიხილავენ, როგორც ფსიქოლოგიურ ძალადობას. აღსანიშნავია ისიც, რომ, თუ ბავშვი კონფლიქტის პროცესის შემსწრეა, ეს აისახება შესაბამის დოკუმენტებში და ზრდის შემაკავებელი ორდერის გამოწერის შესაძლებლობას.

პატრულის თანამშრომლების განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ საქმეში ფიგურირებს არასრულწლოვანი, გამოძიება ჩართავს სოციალურ მუშაკს. ორივე სტრუქტურის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ბოლო წლების განმავლობაში გამოძახებისა და შეტყობინების სტატისტიკა გაზრდილია და კლება არ შეიმჩნევა. პატრულის წარმომადგენლების თქმით, დიდი ნაწილი იმ ფაქტებისა, რომლებსაც შემოსული შეტყობინებების შედეგად ეცნობიან, იდენტიფიცირდება მათ მიერ, როგორც ძალადობრივი ქმედება, თუმცა არის შემთხვევები, როცა შემტყობინებლის ეჭვი არ მართლდება.

პატრულის თანამშრომლები ამბობენ, რომ შემტყობინებელი, ძირითადად, არის სოციალური მუშაკი, ოჯახის რომელიმე წევრი, მეზობელი ან თავად ბავშვი. საპატრულო სამსახურისა და სააგენტოს წარმომადგენლებიც ადასტურებენ, რომ ბავშვები ფლობენ ინფორმაციას, როგორ უნდა მოიქცნენ ისეთ სიტუაციებში, რომლებიც მათთვის საფრთხის შემცველი შეიძლება გახდეს. ამის შესახებ ისინი ინფორმაციას იღებენ ტელევიზიიდან, სკოლაში ჩატარებული ტრენინგებიდან, ერთმანეთისგან. სწორედ ამით ხსნიან რესპონდენტები არასრულწლოვანთა მიერ განხორციელებული სატელეფონო ზარების გაზრდილ რაოდენობას.

ბავშვს თუ ეხება, ძირითადად, სოციალური მუშაკი გვატყობინებს, ზოგჯერ ოჯახის წევრიც და თვითონ ბავშვებიც. (პატრულის თანამშრომელი)

რაც შეეხება ძალადობის ფორმებს, საპატრულო პოლიციის თანამშრომლების თქმით, ძირითადად, გამოძახებები ეხება ფსიქოლოგიურ ძალადობასა და ბავშვის ინტერესების უგულებელყოფის ფაქტებს. შედარებით მცირერიცხოვანია გამოძახებები ბავშვის მიმართ ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის ფაქტებზე. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, საზოგადოებამ გაიგო, რომ ფიზიკური ძალადობა გახდა დასჯადი ქმედება. თანდათანობით პედაგოგებს, მშობლებს და სხვა პირებს გაუჩნდათ შემაკავებელი ფაქტორი – კანონი, რომელიც ძალადობრივი ქმედების განხორციელების შემთხვევაში დასჯის მოძალადეს – ეს პედაგოგისთვის შეიძლება იყოს სამსახურის დაკარგვა, მშობლისთვის – სოციალური მუშაკის ზედამხედველობა და შვილის ჩამორთმევა. ამიტომ სხვადასხვა ჯგუფის წევრები მსგავსი ქმედებებისგან თავს იკავებენ.

როგორც სოციალური მუშაკები და მომსახურების მიმწოდებლები აღნიშნავენ, ფსიქოლოგიური ძალადობის შესახებ საზოგადოება ნაკლებად არის ინფორმირებული. შედარებით რთული შესამჩნევი და ამოსაცნობია მისი ნიშნები მსხვერპლზე. იგივე შეიძლება ითქვას უგულებელყოფის ფაქტებზეც. სწორედ ინფორმირებულობის დაბალი ხარისხით ხსნის რესპონდენტთა ნაწილი ძალადობის ამ ორი ფორმის – ფსიქოლოგიურისა და ინტერესების უგულებელყოფის – ფაქტების რაოდენობის ზრდას.

საყურადღებოა პატრულის თანამშრომლების დაკვირვება იმის შესახებ, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მომართვიანობის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. არსებული შეტყობინებების დიდი ნაწილს შესაბამის სტრუქტურებს მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები აწვდიან. ფაქტობრივად, ნულს უტოლდება შეტყობინებები სააღმზრდელო დაწესებულებებისა და არაფორმალური წრეების წარმომადგენლებისგან. ამ ფონზე უნდა აღინიშნოს, რომ დისკუსიის პროცესში სკოლის პედაგოგებსა და ბაღების წარმომადგენლებს არ გასჭირვებიათ ბავშვის მიმართ ძალადობრივი ქმედების განხორციელების მაგალითების გახსენება; მეტიც, დასახელებული იყო ისეთი ფაქტები, როცა არასრულწლოვანს პირდაპირ აღენიშნებოდა ფიზიკური ძალადობის კვალი. მაგალითად, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში დადიოდა აღსაზრდელი, რომელსაც ცხელი კოვზით ჰქონდა ამომწვარი ხელისგულები. პედაგოგების თქმით, მათ იცოდნენ, რომ ბავშვი ბებიასთან იზრდებოდა, მაგრამ არაფერი მოიმოქმედეს, რადგან, მათი თქმით, მოძალადე ისედაც საკმაოდ კონფლიქტური ადამიანი იყო და არავის უნდოდა, მასთან ურთიერთობით დამატებითი დისკომფორტი შექმნოდა. ერთ-ერთი მძიმე შემთხვევა ეხებოდა მინდობით აღზრდაში მყოფ არასრულწლოვანს, რომელიც სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში მაკიაჟით მივიდა. ეჭვის გაჩენისა და სახის გასუფთავების შემდეგ აღმზრდელმა ბავშვს სახეზე შენიშნა ჩალურჯება. როგორც თავად ამბობს, ამ ფაქტის შესახებ გაესაუბრა მინდობით აღმზრდელს, რომელმაც მიზეზად თამაშის დროს ბავშვის დაცემა დაასახელა. პედაგოგის/დირექციის მხრიდან ამ ამბავს არანაირი გაგრძელება (რეაგირება) არ მოჰყოლია. გასათვალისწინებელია, რომ, მიუხედავად ამგვარი ფაქტების კონსტატაციისა, სკოლამდელი განათლების დაწესებულება-

თა წარმომადგენლების აბსოლუტური უმრავლესობა ამბობს, რომ ბაღებში ძალადობის შემთხვევები არ ხდება და ეს, ძირითადად, სასკოლო ასაკის ბავშვების პრობლემაა.

მომართვიანობა არ არის [სკოლებიდან და ბაღებიდან], მაგრამ სკოლებში რომ არის ძალადობა, ეს ფაქტია. ბაღშიც, სკოლაშიც გასამართია ეს სისტემა. (პატრულის თანამშრომელი)

ბავშვი არის მინდობით აღზრდაში, მოვიდა ჩაქცევებით ლოყაზე, სილურჯით, და ზემოდან ჰქონდა ტონალური გადასმული. აი, ტონალური უკვე აღარ მომეწონა, გადავუღე ფოტო ბავშვს, რომ ვინმეს არ ეთქვა, ბაღში მოხდა ესო. მასწავლებელსაც ვუთხარი, რატომ ჩაიბარე ასე ბავშვი-მეთქი. როცა ჩამოვბანე, მერე გამოჩნდაო, და ხელსახოცი იყო ტონალურით შეფერილი. [აღმზრდელს] რომ დავურეკეთ, ასე გვითხრა, მეორე აღსაზრდელიც მყავს და საქანელებზე უნდოდათ დაჯდომა, იმან უჯიკა და [ხელი] მოხვდაო. მერე საერთოდ გაიყვანა ჩვენი ბაღიდან ბავშვი. [...] სხვა უწყებისთვის არ შეგვიტყობინებია, იმიტომ რომ მაქსიმალურად შეეცადა, თავი ემართლებინა. დირექტორმაც გაიგო და სიკვდილი ერჩივნა იმ ქალს, რადგან გასკდა ეს ამბავი და ფულს იღებდა თან იმ ბავშვების გაზრდაში. ზაფხულის ბაღი იყო და აღარც უტარებია მერე. (სკოლამდელი განათლების დაწესებულების წარმომადგენელი)

ჩვენთან, მაგალითად, იყო შემთხვევა, როდესაც ბავშვი მოდიოდა ბინძური, ამომწვარი ჰქონდა ადგილები [სხეულზე], ჩვენ ფოტო გადავუღეთ და შემდეგ კრებაზე ყველა მშობელს ვაჩვენეთ (ბავშვის სახე არ ჩანდა) და ყველამ შეიცხადა. გავაფრთხილეთ, რომ ამის შემდეგ ასე რომ მოხდება, ჩვენ არ დავმალავთ და საჯაროდ განვაცხადებთ, ვისი შვილია-თქო. ამით ავამოქმედეთ ის მშობელი. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების წარმომადგენელი)

ერთ მაგალითს ვიტყვი. მერვეკლასელი გოგონა იყო, ცოცხალი თავით არ უნდოდა სახლში წასვლა. სანამ ჩვენამდე მოვიდოდა, დამრიგებელთან მისულა. ანუ რაღაც დაზიანება ჰქონდა და ექიმმა უთხრა, სახლში წადიო. ეს კიდევ გამწარებული იძახდა, არ მინდა სახლში წასვლაო. რატომღაც არავინ არ ჰკითხა, რატომ არ გინდაო. ჩვენ ვკითხეთ და თურმე მამა ლანძღავდა და შეურაცხყოფას აყენებდა. ჰოდა გასაკვირი ის იყო, რომ იმდენი საფეხური, ადამიანი გამოიარა და არავინ არ დაინტერესდა, კი მაგრამ, სახლში წასვლა რატომ არ გინდაო. (მანდატური)

ზეიმზე გვქონდა შემთხვევა – პირდაპირ ჩვენ თვალწინ გაარტყა მშობელმა შვილს სილა, რატომ არ ამბობ ლექსსო. მაშინვე მივეცი მშობელს შენიშვნა. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების წარმომადგენელი)

ბებია ძალადობდა შვილიშვილზე. კოვზს გაახურებდა და იმით წვავდა. დედა საზღვარგარეთ იყო. მერე რა მოხდა, არ ვიცი, სხვა ჯგუფში იყო ეს ბავშვი. ბავშვმა თქვა და აღმზრდელმაც შეამოწმა, ის ქალი ისეთია, ყველა ერიდებოდა. ბავშვი დღემდე იმ ბებიასთან ცხოვრობს. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების წარმომადგენელი)

ერთხელ მოვიდა ბავშვი, მამამისი სვამს და ახეული ჰქონდა ყური. ბავშვს რომ ვკითხეთ, გვითხრა, რომ არაფერი არ აქვს, არაფრით არ გაამხილა ოჯახი. მერე დედას ვკითხეთ და, უიო, დილით ეს არ ჰქონდაო – იმანაც უარყო. მერე მეზობლისგან გავიგეთ, რომ სიმთვრალეში უცემია მამას. (სკოლამდელი დაწესებულების წარმომადგენელი)

რესპონდენტების გარკვეული ნაწილი საუბრობს სკოლის წარმომადგენლების გულგრილ დამოკიდებულებაზე ძალადობის ფაქტების მიმართ. მაგალითად, მართლწესრიგის ოფიცრების, პატრულის თანამშრომლებისა და, განსაკუთრებით, მანდატურების

დაკვირვებით, პედაგოგები და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ცდილობენ, არ გასაჯაროვდეს ძალადობის ფაქტი, რომელიც მოხდა სასწავლო პროცესში, ან შეემთხვა კონკრეტული სკოლის მოსწავლეს. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ძალადობის ფაქტის გახმაურება სკოლის ინტერესებში არ შედის, რადგან ისინი დანაშაულის დაფარვით თავიდან იცილებენ სხვადასხვა სამართლებრივ და ბიუროკრატიულ პროცესს. გამოითქვა ვარაუდიც, რომ ფაქტის გახმაურება ნეგატიურად აისახება სკოლის პრესტიჟზე; ეს უკანასკნელი კი ბავშვთა ნაკადის მოზიდვის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ბავშვთა რიცხოვნება უშუალოდ უკავშირდება სკოლის დაფინანებას. აღნიშნულ საკითხზე, რესპონდენტების დაკვირვებით, მოქმედებს ქართული მენტალიტეტი და მიდგომა, რომ ნეგატიური ფაქტები, რომლებიც საზოგადოების უარყოფით დამოკიდებულებას განაპირობებს, უნდა დაიფაროს.

მე მქონდა სკოლაში შემთხვევა, ბავშვი საპირფარეშოდან ლამის მკვდარი გამოვიყვანე, ისეთი ნაცემი იყო. მასწავლებელი ცდილობდა, კოხტად და ლამაზად შეეფუთა [ეს ამბავი]. თან მეუბნება, რომ, იქნებ, პოლიციამდე არ მივიდესო. (მანდატური)

[...] მანდატურმა შეგვატყობინა, რომ ბავშვს აქვს ჩალურჯებები, ხოლო პედაგოგთან გასაუბრებისას ის მაქსიმალურად ცდილობდა, ეს ფაქტი გაემართლებინა თუ დაემალა. ანუ ბავშვები თამაშობდნენ, ერთმანეთს უჩქმიტეს, მე დავინახე, ამიტომ აქვს ეს დალურჯებაო და ა.შ. ეს საბჭოური აზროვნება ვერ აღმოიფხვრა, რომ, თუ დამალავ, უკეთესია. არ გვენდობიან. (მართლწესრიგის ოფიცერი)

შედეგების ანალიზის პროცესი იძლევა საშუალებას, გამოიკვეთოს ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის მოქალაქეებს, შეატყობინონ შესაბამის სტრუქტურებს ძალადობის ფაქტის შესახებ. მუნიციპალიტეტის, არაფორმალური განათლების ცენტრების წარმომადგენლების უმეტესობა, პედაგოგები, ექიმები მიიჩნევენ, რომ რთულია სხვა ოჯახების კონფლიქტურ სიტუაციებში ჩარევა. რამდენიმე ბარიერი იქნა დასახელებული, რომლებიც ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებს ხელს უშლის, შეასრულონ, როგორც პატრულის წარმომადგენლები ამბობენ, მოქალაქეობრივი ვალდებულებები და საჭირო სიტუაციაში მიაწოდონ ინფორმაცია შესაბამის სტრუქტურებს:

1. **მიდგომა, რომ სხვისი ოჯახური პრობლემების გადაჭრაში ჩარევა აღქმულია დევიაციურ ქმედებად, რადგან მიიჩნევა, რომ ოჯახური კონფლიქტების გადაჭრა თავად ამ ოჯახის წევრებმა უნდა შეძლონ, სხვათა ჩარევის გარეშე.** ამ პოზიციას იზიარებს კვლევაში ჩართული საკმაოდ ბევრი რესპონდენტი. მათი თქმით, ყოველ ოჯახს შესწევს უნარი, არსებული პრობლემები თავად გადაჭრას, გარეშე პირის ჩარევამ კი, შესაძლოა, უფრო მეტად გაამწვავოს მდგომარეობა. მდგომარეობის გამწვავებაში მონაწილეები გულისხმობენ მოძალადის ქცევის ცვლილებას, აგრესიის გაძლიერებას, დაძაბული ატმოსფეროს გაჩენას. რესპონდენტები ასევე მიიჩნევენ, რომ შესაძლოა, გაიცეს რჩევები, როგორ მართონ პრობლემური სიტუაცია, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ოჯახის წევრები (მოძალადე იქნება ეს თუ მსხვერპლი) ნაკლებად გაიზიარებენ გარეშე პირის რეკომენდაციებს. რესპონდენტები ასახელებენ ფაქტებს, როცა თავად ჰქონდათ ინფორმაცია ოჯახში ბავშვის ძალადობრივი აღზრდის, განხორციელებული ძალადობრივი ქმედების შესახებ, თუმცა, მათ გარკვეულ ნაწილს ასეთ ფაქტებზე არანაირი რეაგირება არ მოუხდენია სწორედ ზემოაღნიშნული მიდგომის გამო – „ეს არის ოჯახის საქმე და ჩვენ ჩარევის უფლება არ გვაქვს“.

ჯობია, საკუთარი რესურსით გააკეთონ ყველაფერი, იმიტომ რომ არ იცი, მერე ამას რა მოყვება. შეიძლება მართლა ისეთი ცუდი რამე გააკეთო ბავშვისთვისაც და დე-

დისთვისაც, მერე მთელი ცხოვრება ინანო. ამიტომ მგონია, აჯობებს, [პრობლემა] თავად მოაგვარონ. (მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი)

შეიძლება ბავშვთან გასაუბრება და მხარდაჭერა მოახდინოს სკოლამ და ადმინისტრაციამ, მაგრამ, რაც შეეხება მშობლებთან გასაუბრებასა და აღმზრდელობით საკითხებში ჩარევას, არ არის გამართლებული, თუმცა რაღაც დოზით შეიძლება. (პედაგოგი)

ცოლსა და ქმარს შორის ურთიერთობაში ჩარევას მოვერიდებოდი, მაგრამ დედას ავუხსნიდი, ბავშვისთვის რამდენად საზიანოა ეს სიტუაცია. მეტს მე ვერაფერს გავაკეთებდი იქ. (პედაგოგი)

რა უფლება გვაქვს მშობლებზე წინ? ვინ მოგვცემს უფლებას, რომ ოჯახურ სიტუაციაში ჩავერიოთ? (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების წარმომადგენელი)

ისევ სტრეოტიპებთან მივდივართ. ეს არის პრობლემა. ჭირს ვმალავთ. თუ არ დავმალავთ, არატრადიციულები ვართ და სირცხვილია. მახინჯი რომაა ეს ტრადიცია, ვერ ვხვდებით. (არაფორმალური განათლების ცენტრის წარმომადგენელი)

საერთოდ, მიდგომას: „მერე რა მოხდა, სხვაგანაც ხდება“ [...] მივყავართ ფატალურ შემთხვევამდე. საჭიროა, საწყის ეტაპზევე, გვქონოდა მოცემულ შემთხვევაზე ინფორმაცია და, 99%-ით, აღარ მოხდებოდა ის, რაც მოხდა. საზოგადოებამ უნდა გაითავისოს, რომ პოლიციელი არის მეგობარი, რომელიც ეხმარება პრობლემის მოგვარებაში. და სწორედ ეს ძველი მიდგომები, რომ „ჩემი ბავშვია და რასაც მინდა, იმას ვუზამ“, ან „ეს ჩემი საქმე არ არის“ ქმნის იმ ცუდი შემთხვევების საფუძველს, რომლიდანაც შემდეგ გვიჭირს გამოსვლა. ამიტომ თავიდანვე რომ მოხდეს პრობლემის იდენტიფიცირება, შემდგომი რისკებისგან ვიქნებით დაცულნი. (მართლწესრიგის ოფიცერი)

2. **შიში, რომ შეტყობინების შემთხვევაში მოძალადე გაიგებს, ვინ გაასაჯაროვა ფაქტი და შესაძლოა, საფრთხე თუ არა, დისკომფორტი შეუქმნას შემტყობინებელ სუბიექტს და/ან მის ოჯახს.** რესპონდენტები (მათი ნაწილი) იმასაც აღნიშნავენ, რომ ხშირად ჰქონიათ სურვილი, დაერეკათ შესაბამის სტრუქტურებში და გაეკეთებინათ განცხადება შესაძლო ძალადობის აქტზე, თუმცა ეს ვერ გააკეთეს, რადგან გაუჩნდათ შიში, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა მათ ამ ნაბიჯს. მონაწილეების ნაწილი აღიარებს, რომ კარგად აქვს გაცნობიერებული თავისი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, იცის, როგორ უნდა მოიქცეს, ვის უნდა მიმართოს, მაგრამ მათ ეუფლებათ შიშის გრძნობა, არ გრძნობენ თავს დაცულად და მოლოდინი აქვთ, რომ შემდგომში, როცა მოძალადე შემტყობინებლის ვინაობას დაადგენს (და რესპონდენტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ დამნაშავე შემტყობინებლის შესახებ აუცილებლად გაიგებს), შეიძლება გამოიკვეთოს გარკვეული საფრთხეები, მათ შორის, ძალადობრივი აქტის განხორციელება შემტყობინებლის ან მისი ოჯახის წევრების მიმართ, მუქარა, შანტაჟი და სხვ. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ შემტყობინებლის კონფიდენციალურობა საპატრულო სამსახურის მხრიდან უნდა იყოს დაცული; მოძალადეს არ უნდა ჰქონდეს წვდომა იმგვარ ინფორმაციაზე, როგორიცაა შემტყობინებლის ვინაობა. როგორც მონაწილეები აღნიშნავენ, თუ მოსახლეობას ექნება კონფიდენციალურობის გარანტიები, მიმართვიანობა გაიზრდება. გარდა ამ საფრთხეებისა, რესპონდენტები საუბრობენ იმ პროცედურებზე, რომელთა გავლაც უწევთ ფაქტის შეტყობინების შემდეგ. მათი აზრით, პროცედურული ნაწილი ძალიან გადატვირთული და დამღლელია შემტყობინებლისთვის. ამიტომ ადამიანები ცდილობენ, თავი აარიდონ მსგავს დისკომფორტს.

ამ განცხადებებს რადიკალურად ემიჯნებიან საპატრულო სამსახურის წარმომადგენლები, მართლწესრიგის ოფიცრები და უბნის ინსპექტორები. მათი თქმით, ნებისმიერი პროცედურა კანონმდებლობით არის დადგენილი, არსებობს დადგენილი წესები, რომლებიც საქმის გამოძიების დროს უნდა შესრულდეს. მათი თქმით, ეს პროცედურები ვერ გამარტივდება, რადგან ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება კანონით დადგენილ რეგულაციებს. ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მოსახლეობამ უნდა გაიზიაროს სამოქალაქო პასუხისმგებლობა და თავადაც შეიტანოს წვლილი ქვეყანაში ძალადობრივი ქმედების აღმოფხვრის საქმეში. აღინიშნა ისიც, რომ საზოგადოების წევრები, რომლებიც ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ არ იღებენ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს, თავად ხდებიან დანაშაულის მონაწილეები, რადგან დანაშაულებრივი ფაქტის შეუტყობინებლობა დასჯადი ქმედებაა.

მე მაქვს ჩემი მოქალაქეობრივი მოვალეობა, მაგრამ ვერ გამოვედი ამ ქართული მენტალიტეტიდან, მე ვერ ჩავერევი და ვერაფერს ვერ გავაკეთებ. რომ ვიცოდი, ხანდაზმულს შვილი სცემდა, [მინდოდა], პატრულში რომ დამერეკა, ჩემმა მულმა დამირეკა, არ დარეკოო, მერე უნდა გადასახლდე მაქედანო. მრცხვენია ამის თქმა, მაგრამ ვერ ვიცხოვრებ მერე იქ. კარგი იქნება, თუ ადგილობრივებით არ იქნება დაკომპლექტებული [პატრულის სამსახური]. ეს ნაცნობობა ღუპავს ყველაფერს. ვიღაცა კლასელია, ბიძაშვილია, იტყვის, ვინ დარეკა და მერე მე ჩემს ოჯახს ვუქმნი პრობლემას და ველარ ვიცავ თავს. მე რომ მქონდეს იმის გარანტია, რომ დაცული ვიქნები, მაშინ დავრეკავ. ეს სერიოზული ბარიერია. (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

მე გამოცდილება მქონდა, მეზობელზე დავრეკე, ვითხოვე კონფიდენციალობა, მაგრამ ამოვარდა ის კაცი, ჩემს გვარს იძახდა, რომელიაო, მაგას დაურეკავსო. შემდეგზე შეიძლება მე უკვე დავფიქრდე, დავრეკო თუ არა. (სოციალური სერვისების მიმწოდებელი)

ერთმა დარეკა და იმდენი ატარეს სასამართლოებზე, რომ იძახდა, ნეტა, საერთოდ არ დამერეკაო. (პედაგოგი)

სამართლებლივი განათლების დონე ძალიან დაბალია. თვითონ ჩაუდენია დანაშაული. შეუტყობინებლობა ისჯება კანონით. (პატრულის თანამშრომელი)

არაფერი არაა ეგრე, ერთხელ დაიბარებენ განყოფილებაში და ერთხელ გამოკითხავენ. მანდ უბრალოდ ის არის, რომ, თვითონ თუ არ გადახდება ასეთი რამ, არ აინტერესებს. მაგათი მოფიქრებულია ის, რომ „აუ, რა ირბენს იქ დაკითხვებზე“. (პატრულის თანამშრომელი)

3. უნდობლობა სახელმწიფო სერვისებისა და ძალოვანი სტრუქტურების მიერ განხორციელებული საქმიანობის მიმართ, რაც გულისხმობს, რომ რესპონდენტთა დიდი ნაწილი ვერ ხედავს შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან ეფექტურ ქმედებებს მსხვერპლის შემდგომი რეაბილიტაციისთვის, რაც, მათი თქმით, აზრს უკარგავს შეტყობინებას. ამ მოსაზრების მომხრეები მიიჩნევენ, რომ ძალადობის შემთხვევებზე საპატრულო პოლიციისა და სოციალური მუშაკების მიერ განხორციელებული ქმედებები არაეფექტური და უშედეგოა; შესაბამისად, ისინი ვერ ხედავენ შეტყობინების აუცილებლობას მაშინ, როცა პოზიტიურ ცვლილებებს არ ელოდებიან. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ საპატრულო პოლიციის მიერ გამოწერილი შემაკავებელი ორდერი მსხვერპლისთვის არ არის დაცულობის გარანტი, რადგან ეს დოკუმენტი ვერ უზრუნველყოფს დაზარალებულისთვის უსაფრთხო პირობების შექმნას. რესპონდენტები იხსენებენ

ფაქტებს, როდესაც შემაკავებელი ორდერის გამოწერის შემდეგ მოძალადე მშობელმა ბავშვების თვალწინ მოკლა მეუღლე. გარდა საპატრულო პოლიციის საქმიანობისა, მონაწილეები აფასებენ სააგენტოს საქმიანობას. რესპონდენტების აზრით, ამ მიმართულებით პოლიტიკა დასახვეწია, რადგან სოციალური მუშაკების სამუშაო პროცესი ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში ორიენტირებულია მხოლოდ ბავშვებზე, არ მოიცავს პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას იმ გარემოში, რომელშიც მოხდა ძალადობრივი აქტი. რესპონდენტთა აზრით, სააგენტო ნაკლებ ყურადღებას აქცევს ოჯახების გაძლიერების კომპონენტს და, პრაქტიკულად, არანაირი ბერკეტი არ აქვს, გაატაროს პრევენციული ღონისძიებები და იმუშაოს ძალადობისა თუ დისფუნქციის აღმოხვრის მიმართულებით.

წელან როგორც აღვნიშნე, ჩვენს ქვეყანაში სოციალური სამსახური არ არის ისე განვითარებული, რომ, ყველა მიმართვის შესაბამისად, სახეზე გვქონდეს სათანადო რეაგირება. არის მეორე შემთხვევაც: მამა მოძალადეა, დედა – იდეალური. მიხვედი სოციალურ სამსახურში, ეს მოუყევი და ბავშვი ოჯახს ჩამოართვეს. სად მიგყავს მერე? ანუ ყველა ვარიანტში უნდა მიმართო, მაგრამ სად მიჰყავთ შემდეგ? შეიძლება მშობლებისგან წამოყვანის ფაქტმა უარესი შედეგი იქონიოს ბავშვზე. (პედაგოგი)

კარგი, დავრეკეთ, მერე??? (ექიმი)

[...] ისინი ფიქრობენ, რომ დარეკონ პატრულში, მოვა პოლიციელი და დაიჭერს აუცილებლად და ოჯახს დაანგრევს. რომ იცოდნენ, კიდევ ვინ ერთვება და რას ვაკეთებთ, [მიხვდებიან, რომ] ჩვენ ოჯახების დანგრევაზე არ ვართ ორიენტირებული. მეტი ინფორმაცია რომ ჰქონდეთ, უკეთესი იქნება. (პატრულის თანამშრომელი)

2.3. შემთხვევებზე რეაგირება და შემდგომი მონიტორინგის პროცესი

ზემოაღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით, რესპონდენტების აზრით, ხშირ შემთხვევაში ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტზე რეაგირება ხშირად არაეფექტურია. ამის მიზეზი კი იმ სირთულეების თუ ბარიერების ჯაჭვია, რომელიც არსებობს სხვადასხვა სტრუქტურაში.

როგორც პოლიციის თანამშრომლები აღნიშნავენ, მათ აქვთ ვალდებულება, ნებისმიერ ფაქტზე მოახდინონ რეაგირება კანონით გათვალისწინებული ნორმების დაცვით; შესაბამისად, მათი თქმით, ბავშვთან ურთიერთობის პროცესში ისინი მოქმედებენ ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. არასრულწლოვნის დაკითხვა მიმდინარეობს სოციალური მუშაკის თანდასწრებით, სიტუაციის შეფასების შემდეგ კი სოციალურ მუშაკთან ერთად იღებენ გადაწყვეტილებას ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დარჩენის თუ გაყვანის შესახებ. როგორც პოლიციის თანამშრომლები ამბობენ, ისინი ჩართული არიან ბავშვისთვის მინდობით აღმზრდელის ან დროებითი საცხოვრებლის მოძიების პროცესშიც. პატრულის თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ, მას შემდეგ, რაც ბავშვი ტოვებს ბიოლოგიურ ოჯახს ან გამოიწერება შემაკავებელი ორდერი, მუშაობას ოჯახთან/ბავშვთან აგრძელებენ უბნის ინსპექტორები/მართლწესრიგის ოფიცრები და, საჭიროების შემთხვევაში, სოციალური მუშაკები.

მართლწესრიგის ოფიცრებისა და უბნის ინსპექტორების თქმით, ისინი მონიტორინგს უწევენ, რამდენად ითვალისწინებენ ოჯახის წევრები შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებულ საკითხებს. მას შემდეგ, რაც გადის შემაკავებელი ორდერის ვადა, აღნიშნული სამსახურები კონკრეტულ ოჯახთან ურთიერთობას წყვეტენ.

რაც შეეხება სოციალურ მუშაკებს, ისინი მეტწილად ცდილობენ, დააკვირდნენ ძალადობის მსხვერპლი ბავშვის განვითარების დინამიკას და შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყონ მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას. თუმცა, როგორც თავად აღნიშნავენ, მწირი რესურსების გამო ყველა შემთხვევაზე დროულ და ეფექტურ რეაგირებას ვერ ახდენენ.

სკოლების და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ, იმ შემთხვევაში, თუ ძალადობის მსხვერპლი ბავშვი აგრძელებს სწავლას იმავე დაწესებულებაში, დამატებით ღონისძიებებს მის მიმართ ნაკლებად ახორციელებენ, რადგან ამის ვალდებულება არ გააჩნიათ. თუმცა მანდატურები აღნიშნავენ, რომ ასეთ შემთხვევაში ისინი მუდმივად ინტერესდებიან ბავშვის მდგომარეობით და უფრო მეტად აკვირდებიან მას.

3. რეფერირების დოკუმენტის შესახებ ინფორმირებულობის დონე

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ დამტკიცების შესახებ არსებული დოკუმენტი ცნობილია ძალოვანი სტრუქტურებისთვის, მანდატურის სამსახურის წარმომადგენლების, სოციალური მუშაკებისა და მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის. ისინი იმ სტრუქტურების წარმომადგენლები არიან, რომლებიც ბავშვებთან მუშაობის პროცესში უშუალოდ ამ დოკუმენტით ხელმძღვანელობენ და, შესაბამისად, მას საკმაოდ კარგად იცნობენ. როგორც მონაწილეები ამბობენ, აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია პროცესში ჩართული ყველა სუბიექტის უფლება-მოვალეობები ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტების არსებობის შემთხვევაში. ისინი აღნიშნავენ იმასაც, რომ ამ დოკუმენტში გაწერილია ზოგადი ინსტრუქციები, ხოლო უშუალო შიდა სამოქმედო ინსტრუქციების არსებობის შესახებ მონაწილეთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მსგავსი დოკუმენტი არ აქვთ და ყოველი ახალი შემთხვევის მართვის პროცესში გამოიყენება შესაბამისი სამსახურების ზემდგომი ინსტანციების სიტყვიერი ინსტრუქციები და/ან სამსახურში დამკვიდრებული გამოცდილება. მხოლოდ საპატრულო პოლიციის ზოგიერთი თანამშრომელი აღნიშნავს, რომ მათ აქვთ შიდა სამოქმედო ინსტრუქცია, დოკუმენტი, რომელშიც უშუალოდ გაწერილია ბავშვთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა სიტუაციაში პროტოკოლით გათვალისწინებული ნაბიჯები, მეტიც, იგი მორგებულია რეგიონის სპეციფიკაზე.

არსებობს ბავშვთა მიმართ ძალადობაზე კანონი, რეფერირება, გაწერილია ინსტრუქციები და ეს ინსტრუქციები ყველა სამმართველოს თავისი აქვს. სოციალური მომსახურების სააგენტოებიც და სხვა სამსახურებიც არიან ჩართული. (პატრულის თანამშრომელი)

ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ არსებული რეგულაციების შესახებ მცირე ინფორმაციას ფლობენ ან საერთოდ არ ფლობენ საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებების, ასევე მუნიციპალიტეტის სამსახურის და არაფორმალური განათლების ცენტრების წარმომადგენლები. ამ ჯგუფებიდან თითქმის არც ერთი მონაწილე არ იცნობს ზოგად კანონმდებლობას ან არსებულ დოკუმენტებს, მათი მიმართება ამ საკითხთან, მეტწილად, შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული ქცევით – სატელეფონო ზარის განხორციელება 112-ში ან სააგენტოში. სკოლის წარმომადგენელები, სხვა ზემოაღნიშნულ ჯგუფებთან შედარებით, უფრო მეტად არიან ინფორმირებული, თუმცა მათი უმრავლესობა არ იცნობს სკოლის შიდა სამოქმედო ინსტრუქციას. პედაგოგები, ძირითადად, ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში აცნობებენ დირექტორს ან მან-

დატურის სამსახურის წარმომადგენელს. აღსანიშნავია, რომ სკოლებში, რომლებშიც არ არიან მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები, ინიშნება პასუხისმგებელი პირი, რომელიც ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტის არსებობის შემთხვევაში ასრულებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურებს. სკოლის პედაგოგები აღნიშნავენ, რომ პასუხისმგებელ პირთათვის მიმდინარეობს ტრენინგები და შეთავაზებული მასალა საკმაოდ მოცულობითი და საინტერესოა. როგორც ერთ-ერთი პედაგოგი აღნიშნავს (რომელმაც უკვე გაიარა ტრენინგი პასუხისმგებელ პირთათვის), ტრენინგკურსის დასრულების შემდეგ სკოლის პასუხისგებელი პირი ვალდებულია, ორგანიზება გაუწიოს შეხვედრას სკოლის ყველა თანამშრომელთან და გააცნოს ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის ცოდნაც მნიშვნელოვანია ძალადობრივი ქმედების პრევენციისა თუ აღმოფხვრისთვის.

ალბათ, იქნება ასეთი დოკუმენტი და მე არ ვიცი. (პედაგოგი)

შეიძლება შინაგანაწესში არის გაწერილი და მე არ ჩამიკითხავს, არ ვიცი. (პედაგოგი)

ჩვენი უფლებამოსილებები, ყველა ჩვენი ქმედება თანხმდება კოორდინატორთან. ზემდგომისგან რა მითითებებსაც ვიღებთ, ისე ვმოქმედებთ. თუ პირველადად ხდება შეტყობინების გაგ ზავნა, მაშინ დანართ N2-ს ვავსებთ. ეს ფორმა არის დამტკიცებული. არის ასევე დანართი N1, როდესაც ბავშვს სჭირდება მხოლოდ ფსიქოლოგიური დახმარება. ეს იგ ზავნება მანდატურის სამსახურში. ადრე გადამისამართება ხდებოდა სკოლის ადმინისტრაციის მიერ, ახლა რაღაცეები შეიცვალა და ჩვენც შეგვიძლია გაგ ზავნა, დირექტორის გარეშე. (მანდატური)

ერთეული შემთხვევების გარდა, მუნიციპალიტეტების, ა(ა)იპ-ებისა და არაფორმალური განათლების ცენტრების, ასევე სკოლამდელი განათლების დაწესებულებების წარმომადგენლები არ იცნობენ იმ დოკუმენტებსა თუ პროცედურებს, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მათ პირდაპირი შეხება ამ საკითხთან არ აქვთ; შესაბამისად, არ არსებობს შიდა სამოქმედო ინსტრუქციის არსებობის საჭიროება. სახელოვნებო თუ სპორტული წრეების წარმომადგენლების ინფორმირებულობის დონე ამ საკითხთან დაკავშირებით ყველაზე დაბალია. მათი თქმით, ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევები თავიანთ დაწესებულებებში არ ახსენდებათ. შესაბამისად, არასდროს დასჭირვებიათ ინსტრუქციები, როგორ უნდა იმოქმედონ მსგავს სიტუაციაში. რაც შეეხება საბავშვო ბაღის აღმზრდელებს, ისინიც არ ფლობენ ინფორმაციას, არსებობს თუ არა მათ დაწესებულებაში შიდა სამოქმედო ინსტრუქცია, თუმცა იციან, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტის შესახებ უნდა შეატყობინონ ბაღის მენეჯერს.

ალბათ არაფერი [დოკუმენტი] გვაქვს ჩვენ. სააგენტოს ეხება ეგ საკითხები, ჩვენ – არა. (მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი)

არ ვიცი, არ გაგვიგია [დოკუმენტის შესახებ], ისე საინტერესო იქნება. (მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი)

აი, ბავშვთა დაცვის კონვენციები ხომ არსებობს და, აქედან გამომდინარე, ჩვენ ვალდებულები ვართ, ძალადობას რომ ვნახავთ, შევატყობინებთ მენეჯერს. (სკოლამდელი განათლების დაწესებულების წარმომადგენელი)

ყველა ბაღში არის გაწერილი პროცედურები, ყველას აცნობენ ამ პროცედურებს და ხელს აწერენ, რომ გაეცნენ მას. რა შედის [მასში] – რომ ბავშვებს შორის უნდა იყოს

მეგობრობა, რომ არ გაქვს უფლება, დაუყვირო და დამაკნინებლად მიმართო ბავშვს. ასევე, რომ შეიძლება გაფრთხილება მისცე მშობელს. (სკოლამდელი განათლების დაწესებულების წარმომადგენელი)

რაც შეეხება მომსახურების მიმწოდებლებს, მათი უმრავლესობა ფლობს ინფორმაციას რეფერირების პროცედურების შესახებ, თუმცა ნაწილი ამ რესპონდენტებისა არ იცნობს შიდა სამოქმედო ინსტრუქციას.

ეს ინფორმაცია [რეფერირების პროცედურების შესახებ] ჩვენ მოგვეწოდა ლიდერისგან. დავსხედით კრებაზე და გავეცანით ამ დოკუმენტს. 2-3-ჯერ შევსებული გვაქვს მიმართვის ფორმაც. (მომსახურების მიმწოდებელი)

ჩვენთანაც გადმოიგზავნა ოფიციალური წერილი. შემდეგ ჩატარდა თათბირი, რომელზედაც განვიხილეთ ეს დოკუმენტი. დოკუმენტიც თვალსაჩინო ადგილზეა გამოფენილი. (მომსახურების მიმწოდებელი)

რეფერირების პროცედურების შესაბამისად ვმოქმედებთ. გაწერილი ინსტრუქცია, როგორც ასეთი, არ გვაქვს, შიდა ბრძანებით ვხელმძღვანელობთ, სადაც გამოკვეთილია სოციალური მუშაკის როლი. (სოციალური მუშაკი)

მნიშვნელოვანია აღნიშნულ საკითხზე სოციალური მუშაკების, როგორც „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების“ მნიშვნელოვანი სპეციალისტების ცოდნისა და ინფორმირებულობის ხარისხის შეფასება. როგორც აღმოჩნდა, სამიზნე რეგიონებში დასაქმებული სოციალური მუშაკების ნაწილი იცნობს უწყების მიერ დამტკიცებულ სამოქმედო ინსტრუქციას, ნაწილმა კი არ იცის, ან უჭირს მისი სახელდება. კითხვაზე: რა დოკუმენტი ასახავს თქვენს უწყებაში „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებით“ გათვალისწინებულ აქტივობებს? სოციალური მუშაკებისგან მივიღეთ შემდეგი პასუხები:

არსებობს? ანუ სააგენტომ შეიმუშავა? (სოციალური მუშაკი)

რეფერირების კანონი 2016 წლიდან არის. (სოციალური მუშაკი)

რეფერირების პროცედურების შესაბამისად ვმოქმედებთ. (სოციალური მუშაკი)

გაწერილი ინსტრუქცია, როგორც ასეთი, არ გვაქვს. ძირითადად, ბრძანების მიხედვით ვხელმძღვანელობთ. (სოციალური მუშაკი)

შიდა ბრძანებით ვხელმძღვანელობთ, სადაც გამოკვეთილია სოციალური მუშაკის როლი. (სოციალური მუშაკი)

ამ კანონის საფუძველზე შეიქმნა მულტიდისციპლინური ჯგუფი. (სოციალური მუშაკი)

აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: სააგენტოს, შინაგან საქმეთა და განათლების სამინისტროების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ რეფერირების პროცედურების შიდა სამოქმედო ინსტრუქციები შემუშავებულია სამინისტროების სამუშაო ჯგუფების მიერ, რომლებშიც სამინისტროს შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად ჩართული იყვნენ პრაქტიკოსებიც. აღნიშნული დოკუმენტების ელექტრონული ვერსიები გადაეგზავნა შესაბამის დაწესებულებებს. როგორც განათლების სამინისტროს წარმომადგენელი მიუთითებს, მიწოდებულ დოკუმენტში, საჭიროებებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციასთან შეთანხმებით შესაძლებელია გარკვეული ცვლილებების შეტანაც.

ჩვენ, სააგენტოს, გვაქვს შიდა ინსტრუქცია. შემუშავების პროცესში ჩართული ვიყავით თანამშრომლები, დეპარტამენტის უფროსი, სამმართველოს უფროსი და იურისტებიც, ყოფილი პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები. (სააგენტოს წარმომადგენელი)

განათლების სამინისტროში, როგორც ვიცი, სამუშაო ჯგუფი იყო შექმნილი. შეუძლია მანდატურს ან უფლებამოსილ პირს, მოირგოს თავის თავზე ის, რაც არის გაწერილი დოკუმენტში. ამის შესაძლებლობა არსებობს, რა თქმა უნდა, ადმინისტრაციასა და დირექციასთან შეთანხმებით. (განათლების სამინისტროს წარმომადგენელი)

ჩვენთან ძალიან დიდი ხნის წინ დამტკიცდა ეს დოკუმენტი. იურისტები შეიმუშავებენ, შემდეგ ეს იშლება ყველგან – განყოფილებებში და სამმართველოებში. ნებისმიერ თანამშრომელს შეუძლია, ამაზე გააკეთოს უკუკავშირი. (შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი)

4. უწყებათაშორისი თანამშრომლობა და არსებული გამოწვევები

კვლევის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის ანალიზის პროცესში გამოიკვეთა, რომ მონაწილე სუბიექტები იშვიათად ან თითქმის არასდროს საუბრობენ საკუთარი სამსახურის გამოწვევებზე ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში, თუმცა საკმაოდ მოცულობითია რეფერირების პროცედურებში ჩართული სხვა სუბიექტებისადმი კრიტიკული დამოკიდებულებები და შეფასებები.

4.1 საპატრულო პოლიცია, უბნის ინსპექტორები და მართლწესრიგის ოფიცრები

საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიმართ დანარჩენი რესპონდენტები საკმაოდ კრიტიკულად არიან განწყობილნი. პატრულის წარმომადგენლებთან ურთიერთთანამშრომლობის პრობლემებზე საუბრისას გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი საკითხი, რომლებსაც რესპონდენტები ასახელებენ:

1. **გულგრილი და არასერიოზული დამოკიდებულება ბავშვთა მიმართ ჩადენელი ძალადობის ფაქტების მიმართ** – რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ძალოვან სტრუქტურებთან თანამშრომლობის პროცესში მათი მხრიდან ხშირად უგრძნიათ და გამოუცდიათ გულგრილი და ზედაპირული დამოკიდებულება, მეტიც, მონაწილეები იხსენებენ კონკრეტულ შემთხვევებს. მაგალითისთვის, მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები ამბობენ, რომ საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები ვალდებული არიან, რეაგირება მოახდინონ ყველა შეტყობინებაზე, თუმცა ხშირად სკოლაში განხორციელებული ვიზიტის შემდეგ ისინი უსაყვედურებენ ხოლმე მანდატურის სამსახურის თანამშრომლებს, რომ მათ ტყუილად გამოიძახეს საპატრულო ეკიპაჟი ან უბნის ინსპექტორი, რადგან არსებული პრობლემის გადაჭრა სასკოლო გარემოში ძალოვანი სტრუქტურების ჩართვის გარეშეც შეიძლებოდა. მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები იმასაც ამბობენ, რომ პოლიციის თანმშრომლების მხრიდან არაერთხელ მოუსმენიათ შეურაცხმყოფელი მიმართვა. ეს ეხებოდა როგორც პიროვნებებს, ასევე, ზოგადად, მანდატურის სამსახურს.

   პოლიცია უფრო მსუბუქად უყურებს პრობლემას, ცდილობს პრობლემის მინიმალიზაციას. ჰგონიათ, რომ ჩვენ ვამეტებთ. (მანდატური)

სულ გვაქვს პოლიციასთან პრობლემა, უტაქტოები არიან, სანამ ტონს არ ავუწიე, იქამდე არ მომისმინეს. მომართვა არ აქვთ ნორმალური. [...] დაგვცინიან: „აუ, ეხლა თქვენც სამსახური გაქვთ, რაა!" – ასე მოგვმართავენ. არ მიაჩნიათ ბავშვების კონფლიქტები პრიორიტეტულად. (მანდატური)

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ, საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებს, გამომძიებლებს, მათი სამსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე, საკმაოდ მძიმე შემთხვევებზე უწევთ მუშაობა, სკოლაში მომხდარ ან გამოვლენილ ფაქტებს კი ხშირად საყურადღებოდ არ მიიჩნევენ და აღიქვამენ „მარტივ" შემთხვევად, რომლის მოგვარება პედაგოგს, მანდატურს ან დირექციასაც შეუძლია. რესპონდენტების თქმით, თანამშრომლობის პროცესში დაგროვილი გამოცდილებითა და დაკვირვებით მივიდნენ დასკვნამდე, რომ ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებისთვის კონფლიქტები, რომლებიც ბავშვს ეხება, მნიშვნელოვანი არაა.

პოლიიციის მხრიდან ძალიან აგდებულ დამოკიდებულებას ვიღებთ. (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

სკოლის კედლები მოხატეს ჩემთან და დავრეკე 112-ში. ძალიან ვინანე, ჯერ დაკითხვაზე წამიყვანეს, მერე ასე მითხრეს, რა მოხდა, ყველგან ხატავენო. მერე ლამის ბრალი დამდეს, შენ ჩაიფიქრე, რომ ფასადი გააკეთებინო სამინისტროსო. (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

2. **არაპროფესიონალიზმი** – რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებენ პოლიციის თანამშრომლების არაპროფესიონალიზმზეც. მომსახურების მიმწოდებლები, სოციალური მუშაკები და მანდატურები ამბობენ, რომ ხშირად პოლიციის წარმომადგენლები დაზარალებულის მიერ ჩვენების წერის პროცესში იმგვარად ცვლიან შინაარსს, რომ საქმეს მარტივი მსვლელობა მიეცეს. რესპონდენტების თქმით, მათ არაერთხელ ჰქონიათ შემთხვევა, როცა ოქმზე ხელის მოწერაზე უარი განუცხადებიათ სწორედ იმ მიზეზით, რომ ჩვენებაში არ იყო ასახული ზუსტი შინაარსი იმისა, რაც მოუთხრო მათ არასრულწლოვანმა. რესპონდენტთა აზრით, არაპროფესიონალიზმი გამოიხატება იმაშიც, რომ პოლიციის თანამშრომლები უგულებელყოფის ფაქტებს არ აღიქვამენ ძალადობად და მათ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. სოციალური მუშაკების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ პოლიციის წარმომადგენლები ზოგჯერ იზიარებენ თუნდაც ქალთა მიმართ არსებულ სტერეოტიპებს; ისინი ხან დამნაშავეთა მხარესაც კი იჭერენ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფაქტები სოციალური მუშაკების დაკვირვების შედეგია.

სოციალური სერვისების მიმწოდებლებისა და სოციალური მუშაკების აზრით, პოლიციის თანამშრომლებს არ აქვთ განვითარებული არასრულწლოვნებთან მუშაობის უნარ-ჩვევები. გარდა ამისა, რესპონდენტთა დაკვირვებით, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლების დიდ ნაწილს არც სურს, მეტი ინფორმაცია მიიღოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ. სოციალური მუშაკების თქმით, ხშირად პოლიციის წარმომადგენლები შეგნებულად ცდილობენ, დაბალი შეფასებები მიიღონ გამოცდებზე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით, იმიტომ რომ მათ უმეტესობას არ სურს ბავშვებთან მუშაობა, რადგან ეს დამატებით შრომასა და ვალდებულებებთან არის დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ მსგავსი მოსაზრება თავად პატრულის თანამშრომლებმაც გააჟღერეს და თქვეს, რომ ხშირად მათი კოლეგები სწორედ ზემოაღნიშნული მიზეზების გამო იკავებენ თავს, გაიარონ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კურსი.

ზოგჯერ რეაგირება არ ხდება სათანადო [პატრულის მხრიდან]. მითქვამს, ჩაასწორე ჩვენება, ბავშვს მასე არ უთქვამს-მეთქი. [პატრულის თანამშრომელი] ცდილობს, გაალამაზოს ისტორია, როგორც მას აწყობს. თითქოს იგივეს წერს, მაგრამ სხვა შინაარსით, რომ არ იდენტიფიცირდეს ფაქტი ძალადობად და დაიხუროს საქმე. რიგ შემთხვევებში ასე ცდილობენ, თუმცა გართულებული ურთიერთობები არ არის. (სოციალური სერვისის მიმწოდებელი)

ჩვენც შეგვხვედრია, უფრო ადრე ხდებოდა ეს – ჩვენებების შეცვლა დაწერის დროს. ეხლა ისწავლეს, რომ ყოველთვის ვკითხულობთ, ისე არ ვაწერთ ხელს. (სოციალური მუშაკი)

წამიყვანეს დაკითხვაზე, რაღაცეები არასწორად ჩაწერეს ჩვენებაში, როგორც არ თქმულა საერთოდ და შევასწორებინე მერე. (მანდატური)

პატრულებთან ერთხელ მქონდა შეხება და მათ გამოავლინეს, რომ არანაირი პროფესიული უნარები არ აქვთ ბავშვებთან მუშაობაში. (სოციალური სერვისების მიმწოდებელი)

უგულებელყოფა საერთოდ არ ითვლება პოლიციისთვის ძალადობად. ბავშვი ტიროდა, მამა არაფერს აკეთებდა. ვამბობ, რომ ეს ხომ უგულებელყოფაა. პოლიციელი მეუბნება, ახლა შენ რომ იტირო და მე რომ არ დაგამშვიდო, ესეც ძალადობაა? ხშირად თვითონ პოლიციასაც არ სჯერა, რასაც აკეთებს. ისეთი მენტალობა აქვთ მაინც პოლიციელებს, ზოგჯერ მოძალადის მხარეს იჭერენ კიდეც. შეიძლება ასე არ თქვან, მაგრამ იზიარებენ კაცის პოზიციას. ზოგჯერ პოლიცია აბულინგებს თვითონ მსხვერპლს. (მომსახურების მიმწოდებელი)

ოჯახურ ძალადობაზე მაქვს საუბარი. ქმარმა ცემა ცოლი, გამოვიძახე პატრული. პატრული დაზარალებულ ნაცემ ქალს ეუბნება, შენი ოჯახური საქმე რომ არ გაეგო ყველას, არ შეგეძლო, შენით მოგეგვარებინაო. ნაცვლად იმისა, რომ მოძალადე დაეკავებინათ, ასეთი პასუხი მივიღეთ. (მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი)

უნდა აღინიშნოს, რომ თანამშრომლობის პროცესზე საუბრისას ყურადღება გადატანილი იყო საპატრულო სამსახურისა და უბნის ინსპექტორებზე და არ დასახელებულა მართლწესრიგის ოფიცრები. რესპონდენტების უმეტესობა ვერ იხსენებს მართლწესრიგის ოფიცრებთან თანამშრომლობის ფაქტებს.

როგორც პოლიციის წარმომადგენლები ამბობენ, ხშირ შემთხვევაში, გამოძახების შინაარსი სცდება გონივრულ საზღვრებს. ისინი იხსენებენ კონკრეტულ მაგალითებს, როცა გამოძახება განხორციელდა გადაუმოწმებელ ფაქტებზე დაყრდნობით. როგორც უწყების წარმომადგენლები ამბობენ, შემტყობინებელი, ვინც არ უნდა იყოს ის, თავად უნდა ეცადოს არსებული ეჭვის დასაბუთებას. პოლიციის წარმომადგენლები აკონკრეტებდნენ, რომ ეს არ ეხება გადაუდებელ შემთხვევებს, როცა შემტყობინებელი უშუალოდ ხედავს ან დაინახა ძალადობის ფაქტი. აღინიშნა ისიც, რომ ხშირად, ადამიანები საპატრულო ეკიპაჟს იძახებენ სავარაუდო მოძალადის დასაშინებლად. რესპონდენტები იხსენებენ, რომ სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელს უთხოვია, ბავშვების დაშინების მიზნით მისულიყვნენ სკოლაში. ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები ამბობენ, რომ, ზოგადად, არასრულწლოვნებისთვისაც და მთლიანად საზოგადოებისთვისაც პოლიცია ასოციაციურად დაკავშირებულია სადამსჯელო ღონისძიებებთან. შესაბამისად, მათი აზრით, გარდაუვალ აუცილებლობას არ წარმოადგენს პოლიციის ხშირი ვიზიტი სკოლაში და სხვა დაწესებულებებში, სადაც არასრულწლოვნები არიან, რადგან ეს შეიძლება მეტად სტრესული იყოს ბავშვებისთვის.

აღინიშნა ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში თავად მსხვერპლიც არ თანამშრომლობს პოლიციასთან. ასეთი ადამიანები, უმეტესად, ცდილობენ, დამალონ დანაშაული. ეს მეტწილად ოჯახურ ძალადობას ეხება. გარდა ამისა, პატრულის თანამშრომლები მიუთითებენ, რომ საზოგადოების მხრიდან ისინი მხარდაჭერას ვერ გრძნობენ. პოლიციის თანამშრომლების განცხადებით, შეტყობინების შემდეგ შემტყობინებლები უარს აცხადებენ ჩვენების მიცემაზე. ასეთ შემთხვევაში უწყების წარმომადგენელს არანაირი ბერკეტი აღარ რჩება, განახორციელოს სადამსჯელო ღონისძიებები მოძალადის მიმართ. ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი, ძირითადად, ითხოვს კონფიდენციალურად დარჩენას, რაც ხშირად შეუძლებელია, რადგან მათი ჩვენების გარეშე არანაირი მტკიცებულება არ მოიძებნება.

მახსენდება ერთი ფაქტი. სკვერში იყო გამოძახება. სამი წლის ბავშვია დაკარგულიო. რომ მივედი, დამინახა ფორმიანი, და ისეთი ისტერიკები დაიწყო, გაგიჟდა. მერე მოვიდა ხელმძღვანელი. აი, შენ რომ დაგინახა, ასეთი დიდიო, მაგიტომ ატეხა ასეთი ამბავიო. ხომ ვერ დავპატარავდები ახლა. ეზიზღებათ პოლიციელები. ბავშვსაც [...] უნერგავენ, რომ პოლიციელი ცუდია. (პატრულის თანამშრომელი)

თუ ოჯახში ადგილი არ აქვს ცემა-ტყეპას, ანუ ძალადობრივ ქმედებებს, ამაში უნდა ჩაერიოს სოციალური მუშაკი, რასაც არ სჭირდება პოლიციის ჩართულობა, რადგან, ზოგადად, როგორც უკვე ვთქვით, პოლიციისადმი არ არის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება. (პატრულის თანამშრომელი)

სიტუაციიდან გამომდინარე, [ჩარევა] შეიძლება დამაზიანებელი იყოს. არის შემთხვევები, ვიღაც რეკავს ჩვენთან, მივდივართ რეაგირების მიზნით. ოჯახში სხვა სიტუაცია გვხვდება და ესენი (ვინც რეკავს) გვეუბნებიან, არ გვინდა თქვენთან თანამშრომლობაო. რა უნდა გავაკეთოთ? ოჯახის წევრები უარყოფენ ყველაფერს და ესენიც არ მოდიან თანამშრომლობაზე. გადავყავართ ჭკუიდან ასეთ შემთხვევებს. ვურეკავთ, ვეუბნებით, ხელმოსაჭიდი რომ გვქონდეს, გვითხარით უფრო დაზუსტებითო, მაგრამ არანაირად არ თანამშრომლობენ. (პატრულის თანამშრომელი)

მაგალითად, მეზობელმა გაიგო მეზობელი სახლიდან ყვირილი. მეზობლის ჩვენების გარდა, არაფერი არ მაქვს. ამ შემთხვევაში პატრული მიდის და სთხოვს, რომ ჩვენება ღიად დააფიქსიროს თვითმხილველმა. შენ გაქვს უფლება, რომ არ მომცე ჩვენება. [...] არ ვეთანხმებით პოლიციელები ამას, მაგრამ ესეა. (შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი)

4.2 სოციალური მომსახურების სააგენტო

რესპონდენტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სოციალურ მუშაკებთან თანამშრომლობის პროცესშიც ექმნებათ გარკვეული ბარიერები, რაც, საბოლოო ჯამში, უარყოფითად აისახება ძალადობის ფაქტის შემდგომი რეაგირების პროცესზე. რესპონდენტების აზრით, შეიძლება გამოიკვეთოს რამდენიმე ძირითადი საკითხი, რომლებიც აფერხებს სოციალური მუშაკების ჩართულობას თანამშრომლობის პროცესში:

1. **სოციალური მუშაკების კადრების ნაკლებობა** – რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სოციალური მუშაკების რაოდენობა არის მცირე, შემთხვევები კი – ბევრი, შესაბამისად, მუნიციპალიტეტში მხოლოდ ერთი ან ორი სოციალური მუშაკი ყველა შეტყობინებაზე რეაგირებას ვერ ახერხებს, ან თუ ახერხებს, ეს რეაგირება უკვე ძალიან დაგვიანებულია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, რესპონდენტთა აზრით, სოციალური მუშაკი უნდა მუშაობდეს პრევენციული კუთხითაც, თუმცა, სწორედ კადრების ნაკლებობის გამო,

სოციალური მუშაკი იძულებულია, რეაგირება მოახდინოს მხოლოდ უკვე განხორციელებულ ძალადობის ფაქტებზე, რადგან ეს შემთხვევები იმდენად ბევრია, რომ სოციალურ მუშაკს არ რჩება დრო, იმუშაოს პრევენციული მიმართულებით.

2. **სამუშაო გარემო პირობები და გრაფიკი** – სოციალურ მუშაკთა მძიმე სამუშაო პირობებზე რესპონდენტთა უმრავლესობა ამახვილებს ყურადღებას, თუმცა ამაზე გამოკვეთილ აქცენტებს აკეთებენ პატრულის წარმომადგენლები. ისინი აღნიშნავენ, რომ სოციალურ მუშაკებს არ ემსახურებათ ტრანსპორტი; შესაბამისად, გამოძახებაზე მოსვლა აგვიანდებათ. არის შემთხვევები, როცა საერთოდ არ მიდიან. როგორც პატრულის თანამშრომლები ამბობენ, ხშირია შემთხვევები, როცა ისინი თავად აკითხავენ სოციალურ მუშაკებს და მიჰყავთ დანაშაულის ადგილას ან შესაბამის დაწესებულებაში. როგორც უწყების წარმომადგენლები ამბობენ, არის შემთხვევები, როცა სოციალური მუშაკი თავად სთხოვს მათ მიკითხვას და წაყვანას. გარდა ამისა, პატრულის თანამშრომლები ყურადღებას ამახვილებენ სოციალური მუშაკების სამუშაო გრაფიკზეც. მათი თქმით, ძალადობის შესახებ შეტყობინებები უმეტესად შედის საღამოს, მას შემდეგ, რაც მოძალადე შინ ბრუნდება. ასეთ ვითარებაში, პატრულის თანამშრომლების თქმით, სოციალური მუშაკები ზოგჯერ არ პასუხობენ სატელეფონო ზარებს, არ ცხადდებიან შემთხვევის ადგილას და ამის მიზეზად ასახელებენ სამუშაო დღის დასრულებას. საპატრულო პოლიციის წარმომადგენლების თქმით, ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვნის დაკითხვის პროცესი ვერ წარიმართება, რადგან ადგილზე არ იმყოფება სოციალური მუშაკი. გარდა ამისა, ზოგჯერ არის შემთხვევები, როცა სოციალური მუშაკის გამოუცხადებლობის გამო არასრულწლოვნებს უწევთ პოლიციის შენობაში ღამის გატარება იქამდე, სანამ არ დაიწყება სამუშაო დღე სოციალური მუშაკისთვის.

სოციალური მუშაკები ქმნიან დაბრკოლებებს. ტელეფონზე პასუხის დიდი პრობლემა აქვთ, მისამართზეც არ მოდიან ხანდახან და ჩვენ მიგვყავს. სამუშაო საათები აქვთ გათვლილი 9-დან 6-მდე და მერე აღარ მოდიან. ღამე არ მოდიან. დღის განმავლობაში ჩვენი მოსაყვანია. ძალიან კარგია, თუ იქნება საშუალება, რაიონში ერთი მობილური ჯგუფი რომ არსებობდეს. სახლშიც რომ იყოს, არ არის პრობლემა, უბრალოდ, ყურადღებით რომ იყოს ტელეფონთან, გაკეთდეს საქმე და ბავშვმა დაძაბულ მომენტებს არ უყუროს. და თუ გადასაყვანია ბავშვი, ეს დროულად მოხდეს [...]. შაბათ-კვირა ან უქმეები თუ ემთხვევა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა ხდება. (პატრულის თანამშრომელი)

ჩვენც უნდა შეგვიწყონ სოციალურმა მუშაკებმა ხელი. [...] ბავშვს ხან საგამოძიებოში სკამზე სძინავს. სამუშაო დრო მათი არის 9-დან 6 საათამდე. ის მოძალადეც და ის მშობელიც 6 -მდე და 7-მდე მუშაობენ. მერე უნდება დალევა, მერე მიდის სახლში და ხდება ზუსტად ეს ფაქტი, რომ შვილი არ მოეწონა, იქ ცოლს ერევა, იქ მაგარი ბიჭია. და ამის შედეგად ფაქტის წინაშე ვდგებით მარტო პოლიცია და სასწრაფო. არადა, კანონში გვიწერია, რომ მესამე პირი 15 05-ის ხალხიდან უნდა იყოს. ამ დროს ერთ-ერთი მეწყვილე გასულია და ტელეფონით ეხვეწება სოციალურ მუშაკს, რომ მოვიდეს ვინმე. (პატრულის თანამშრომელი)

3. **სოციალურ მუშაკთა დაბალი კვალიფიკაცია** – გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებისა, რესპონდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ზოგ შემთხვევაში სოციალურ მუშაკთა კვალიფიკაცია დაბალია. მათ უჭირთ გადაწყვეტილებების მიღება, სიტუაციის სწორად შეფასება და ეფექტურად რეაგირება. საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ზოგჯერ სოციალური მუშაკი ვერ ახერხებს არასრულწლოვანთან კომუნიკაციას და პატრულის ის თანამშრომელი, რომელიც არასრულწლოვანთა მარ-

თლმსაჯულების მიმართულებით მუშაობს, გაცილებით უკეთ ახერხებს ბავშვებთან ურთიერთობას. აღსანიშნავია ისიც, რომ რესპონდენტები მიუთითებენ სოციალურ მუშაკთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაზეც, როდესაც ისინი ოფიციალური წერილით ადასტურებდნენ ინფორმაციას ოჯახთან განხორციელებული ვიზიტის შესახებ, თუმცა ამ კონკრეტული ოჯახის წევრები ვერ იხსენებდნენ, როდის იყო მისული მათთან სოციალური მუშაკი.

სოციალური მუშაკი, წესით, უნდა მუშაობდეს მშობელთან გაძლიერების მიმართულებით, რათა მან დაძლიოს კრიზისი და შეძლოს ბავშვის გაყვანა. თუმცა არის გარკვეული შემთხვევები, როდესაც სოციალურ მუშაკს აკლია კვალიფიკაცია. იმ დღეს, მაგალითად, სოციალურმა მუშაკმა ატირა მშობელი, ამას ჩვენ შევესწარით. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ სოციალური მუშაკის დამოკიდებულებებიც შესაცვლელია და გადასახედი. (მომსახურების მიმწოდებელი)

თანამშრომლები ფაქტიურად ითავსებენ იმ საქმეს, რომელიც სოციალური მუშაკის გასაკეთებელია. მაგალითად, თუ ბავშვს აკითხავს დედა, დაინტერესებულია და გაძლიერება სჭირდება, ჩვენ ვართ ის ადამიანები, რომლებიც მას ესაუბრებიან, ნუგეშს აძლევენ. მე არ მინახავს სოციალური მუშაკი მის თანმხლებად. ასეა უკვე სამი წლის განმავლობაში. (მომსახურების მიმწოდებელი)

ძალიან ცუდი თანამშრომლობა გვაქვს, ძალიან ბევრი ფაქტი გაგვიგზავნია დანართი 2-ით და არანაირი რეაგირება. (მანდატური)

რომ გადაამისამართებ სააგენტოში, როდის იმას გაახსენდება და როდის მოახერხებს მერე რეაგირებას... უკვე ბავშვი გათხოვილი რომაა და შვილი რომ ჰყავს, მერე გაახსენდებათ სოციალურ მუშაკებს. (მანდატური)

ყოფილა შემთხვევა, [...] პოლიციასაც დაურეკავს, მაგრამ სოციალური მუშაკი არ მოსულა და თვითონ პატრულმა წაიყვანა განყოფილებაში ბავშვი დამრიგებელთან ერთად. (მანდატური)

უნდა აღინიშნოს ისიც, მიუხედავად ნეგატიური შეფასებებისა, რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ძალადობრივი ფაქტის გამოვლენის შემდეგ უმჯობესია, მიმართონ სააგენტოს, ვიდრე საპატრულო პოლიციას.

რაც შეეხება თავად სოციალურ მუშაკებს, ისინი მიიჩნევენ, რომ საკმაოდ ბევრი გამოწვევა აქვთ, გარდა იმ ფაქტორებისა, რომლებიც უკვე დასახელდა: მძიმე სამუშაო პირობები, კადრების სიმცირე. ისინი აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტებში მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკაში არ არის საკმარისი. მათი თქმით, ზოგჯერ აწყდებიან ისეთ შემთხვევებს, რომლებზედაც არ იციან, რეაგირების რა მექანიზმები უნდა გამოიყენონ. ამიტომ, მათი აზრით, პროფესიული ზედამხედველობის პრაქტიკის დანერგვა დაეხმარებოდათ დილემური შემთხვევების მართვის პროცესში.

იმდენად რთულ შემთხვევებს ვაწყდებით, რომ ხანდახან მგონია, არც პროფესიული, არც ცხოვრებისეული ცოდნა არ მაქვს, როგორ მოვუარო ამ შემთხვევას. (სოციალური მუშაკი)

ჩვენ ვართ სოციალური მუშაკების ახალი თაობა, რომელმაც ეს ყველაფერი ისწავლა უნივერსიტეტში თეორიის სახით. მაგრამ პრაქტიკას როდესაც იწყებ, ხვდები, რომ მხოლოდ თეორია არ არის საკმარისი. [...] პრაქტიკაში ბევრი მიზეზის გამო რაღაც მნიშვნელოვანი დეტალები გამოგვრჩება ხოლმე. (სოციალური მუშაკი)

შეიძლება ეს ჩემი მწირი გამოცდილებით არის განპირობებული, რომ რაღაც მომენტში ნამდვილად არ ვიცი, რა იქნება უკეთესი ბავშვისთვის – იმ გარემოდან გამორიდება? თუ შანსის მიცემა მშობლისთვის და ოჯახში დატოვება? იმიტომ რომ, ხშირ შემთხვევაში, მეშინია – ვაითუ, ვავნო გამოყვანით, ან დავტოვო და რისკის წინაშე იყოს. მე პირადად მიჭირს ამ გადაწყვეტილების მიღება. (სოციალური მუშაკი)

უწყებათაშორისი თანამშრომლობის პრობლემა, კომუნიკაციის პრობლემა, სოციალურ მუშაკებს შორის თანამშრომლობის პრობლემა, მიზნობრივი მომსახურებების (ოჯახის მხარდამჭერი, სარეაბილიტაციო, ქცევის სირთულის მქონე ბავშვთა) არარსებობის პრობლემა, ინსტრუქციის არარსებობის/არცოდნის გამო დილემური ქეისების მართვის პრობლემა და პროფესიული განვითარების პრაქტიკის არარსებობა... (სოციალური მუშაკი)

გარდა ამისა, სოციალურ მუშაკებს შორის შეიმჩნევა თანამშრომლური დამოკიდებულების ნაკლებობა. ისინი არ ცდილობენ ერთმანეთის დახმარებას და არ უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას სხვებს. ეს კი, ზოგიერთი მათგანის აზრით, ქმნის მტრულ განწყობას, რაც ხელის შემშლელი ფაქტორია.

ასევე, ბრძოლა გვიწევს იმ ადამიანებთან, ვისთანაც წესით ბრძოლა არ უნდა გვიწევდეს. შესაბამისად, გვაქვს თანამშრომლური დამოკიდებულების დეფიციტი, რაც კიდევ დამატებით პრობლემებს გვიქმნის. ანუ ისე გამოდის, რომ სხვადასხვა რაიონის სოციალური მუშაკები ერთმანეთს ვმტრობთ, ესეც იკვეთება საქმიდან გამომდინარე. (სოციალური მუშაკი)

სოციალური მუშაკები ასევე აღნიშნავენ, რომ საჭიროა მიზნობრივი მომსახურებების (ოჯახის მხარდამჭერი, ძალადობის მსხვერპლი ბავშვის სარეაბილიტაციო, ქცევის სირთულის მქონე ბავშვთა მომსახურებები) დანერგვა და შეთავაზება ბენეფიციართათვის, რადგან არსებულ რეალობაში მწირი და შეზღუდული რესურსები სოციალურ მუშაკს არ აძლევს საშუალებას, ეფექტურად წარმართოს პროცესი. მიუხედავად ამ სირთულეებისა, სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი უმეტესად სოციალურ მუშაკს ადანაშაულებს და ხშირად დაუმსახურებლადაც. მათი თქმით, სხვა უწყებები თუ დაწესებებულებები არაფერს აკეთებენ სააგენტოს დასახმარებლად. სოციალური მუშაკები იხსენებენ ფაქტებს, როცა სკოლებიდან შეტყობინებები ფაქტის დაფიქსირებიდან ორ ან სამ თვეში შემოვიდა. აღნიშნავენ იმასაც, რომ ხშირად პატრულის თანამშრომლები მოტივირებულნი არიან, ბავშვი გაიყვანონ ბიოლოგიური ოჯახიდან, რათა თავიდან აიცილონ შემდგომი გართულებები; თუმცა არის შემთხვევები, როცა, სოციალურ მუშაკთა აზრით, ოჯახიდან გაყვანა უფრო მეტად დააზიანებს ბავშვს და ეს ვერ იქნება მისი საუკეთესო ინტერესის დაცვა. ამგვარი სიტუაცია იწვევს დაპირისპირებასა და კონფლიქტებს, მაშინ, როცა ყველა სტრუქტურა თითოეულ შემთხვევაზე შეთანხმებულად და კომპლექსურად უნდა მუშაობდეს.

ის, რომ ჩვენ ცოდნის გაუმჯობესებას ვსაჭიროებთ, იმისთვის, რომ ეფექტურად ვიმუშაოთ, ეს არის უდავო, მაგრამ სოციალურ მუშაკს რეფერირების პროცესში უწევს არაერთ ადამიანთან და უწყებასთან მუშაობა. რატომ უნდა უწევდეს სოციალურ მუშაკს ბრძოლა ქალთა მიმართ ძალადობის [მსხვერპლთა მომსახურების] კრიზისული თავშესაფრის ადმინისტრაციასთან? ჩვენ ხომ ერთ საქმეს უნდა ვემსახურებოდეთ? ანუ ერთია, რომ ცოდნა მივიღეთ და პრაქტიკაში მას რიგი მიზეზების გამო ვერ ვახორციელებთ. ასევე, ბრძოლა გვიწევს იმ ადამიანებთან, ვისთანაც, წესით, ბრძოლა არ უნდა გვიწევდეს. (სოციალური მუშაკი)

ნებისმიერ რთულ შემთხვევაზე მუშაობის პროცესში სოციალური მუშაკი მუდმივად არ უნდა იყოს თავის მართლების რეჟიმში და იმაზე არ უნდა ფიქრობდეს, [...] თავი სამართლებელი რომ გაუხდება, რა კუთხით წავიდეს, რომ მერე იქ არგუმენტირებულად იმართლოს თავი. (სოციალური მუშაკი)

სოციალურმა მუშაკებმა უწყებათაშორისი თანამშრომლობის ასპექტში პრობლემად დაასახელეს ის, რომ მათი და ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრის თავშესაფრების თანამშრომელთა მიდგომები რადიკალურად განსხვავებულია, რაც, პირველ რიგში, აზიანებს ბენეფიციარების ინტერესებს.

ახლა ასეთი შემთხვევა მაქვს: ქალთა მიმართ ძალადობის კრიზისული ცენტრის ადმინისტრაცია გიმტკიცებს, რომ თქვენ გავლილ ტრენინგებში არ არის გათვალისწინებული რაღაც საკითხები, ამიტომ თქვენ ეს არ იცითო. პირდაპირ შეტევაზე გადმოდიან. (სოციალური მუშაკი)

4.3 საგანმანათლებლო დაწესებულებები

როგორც უკვე აღინიშნა, მიმართვიანობა სკოლამდელი განათლების დაწესებულებებიდან თუ არაფორმალური განათლების წრეებიდან ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე საკმაოდ იშვიათია. მაღალია მიმართვიანობა სკოლებიდან, თუმცა დაკონკრეტდა ისიც, რომ მიმართვიანობის შედარებით მაღალი რაოდენობრივი მაჩვენებელი სკოლებში, ძირითადად, მანდატურების მუშაობის შედეგია.

მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ, უმეტეს შემთხვევაში, მათ არ აქვთ კარგი ურთიერთობა სკოლის დირექციასა თუ პედაგოგებთან. ამის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ მასწავლებლებსა და დირექტორს არ სურთ ძალადობრივი ფაქტის გაცხადება, რაშიც მანდატური ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენს მათთვის. რესპონდენტები ფიქრობენ, რომ პედაგოგებმა ჯერ კიდევ ვერ დააღწიეს თავი არსებულ სტერეოტიპებს და მიიჩნევენ, რომ ფაქტის დამალვა გამოსავალია. მანდატურის სამსახურის წარმომადგენელი იხსენებს ფაქტს, როცა პედაგოგმა მოუთხრო მას ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედების შემთხვევის შესახებ, თუმცა სთხოვა, რომ არავისთვის ეთქვა, ვისგან მიიღო ეს ინფორმაცია. მანდატურის სამსახურის თანამშრომლები მიიჩნევენ, რომ ამგვარი ქმედებით პედაგოგები ცდილობენ, თავი აარიდონ შემდგომ პროცესებს, როგორიცაა დაკითხვაზე გამოცხადება, ჩვენების მიცემა, სასამართლოზე დასწრება და სხვ.

მომსახურების მიმწოდებლები აღნიშნავენ, რომ მათ სკოლების ადმინისტრაციებისგან ხშირად ექმნებათ პრობლემები, რადგან დირექტორები ეძებენ საბაბს, რათა უარი განაცხადონ იმ ბავშვების სკოლაში მიღებაზე, რომლებსაც ტრავმული გამოცდილება აქვთ და/ან სარგებლობენ სხვადასხვა სოციალური სერვისით (არიან მინდობით აღზრდაში, ცხოვრობენ მცირე საოჯახო სახლში, სარგებლობენ დღის ან სადღეღამისო ცენტრების მომსახურებით). ამის მიზეზად სოციალური მუშაკები თუ სერვისის მიმწოდებლები მასწავლებელთა და დირექტორთა დაბალ კვალიფიკაციას ასახელებენ. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ სკოლის წარმომადგენლებმა არ იციან, როგორ დაამყარონ კომუნიკაცია იმ ბავშვებთან, რომლებსაც წარსულში ძალადობრივი მოპყრობის გამოცდილება აქვთ; არ გააჩნიათ უნარი, დაეხმარონ ამ არასრულწლოვნებს, რომ ისინი სასკოლო ცხოვრებაში ჩაერთონ; მათთვის ეს ბავშვები დამატებით თავსატეხს წარმოადგენენ. სოციალური მუშაკები აღნიშნავენ იმასაც, რომ პედაგოგები ელემენტარულ ინფორმაციას არ ფლობენ საკუთარი კლასის მოსწავლეებზე, არ აქვთ ბაზები, არ იცნობენ მშობელთა საკონტაქტო ინფორმაციას, კრიტიკულ სიტუაციაში კი ცდილობენ, მთელი პასუხისმგებლობა სოციალურ მუშაკებზე გადაიტანონ.

პედაგოგებს თუნდაც ეჭვის დონეზე რომ აქვთ ადრეული ქორწინების ფაქტი, [ამ დროს] დამრიგებელი მეუბნება, გადავიდა ჩვენი სკოლიდანო, მაგრამ არ მეუბნება, სად გადავიდა. 11 წელი რომ ისწავლა იქ ბავშვმა და მე-12 წელს რომ გადავიდა, ელემენტარულად ის მაინც ხომ უნდა იცოდეს დამრიგებელმა, სად წავიდა. მერე იმდენად გვბეზრდება სამუშაო, ყველაფერი ჩვენ უნდა მოვიძიოთ. მარტო ჩვენ გვევალება? კლასის დამრიგებელსაც ხომ ევალება? (სოციალური მუშაკი)

თან სკოლები ხშირად დაგვიანებულ შეტყობინებას აკეთებენ, არაოპერატიულები არიან, რადგან აპრილში მომხდარ ფაქტს ამისამართებენ აგვისტოში. იმიტომ რომ, მაგალითად, მშობელმა გვიან გააკეთა მიმართვა მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიურ ცენტრში. თუმცა, ყოფილა ცემის ფაქტიც, რაზედაც შეტყობინება სკოლამ გააკეთა 2 ან ერთი თვის შემდეგ. (სოციალური მუშაკი)

პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მათ, უმეტეს შემთხვევაში, საკუთარი ძალებით შეუძლიათ პრობლემების გადაჭრა. იმ შემთხვევაში, თუ თავად რესურსს ამოწურავენ, მიმართავენ მანდატურის სამსახურს ან სხვა შესაბამის სტრუქტურებს, თუმცა, პედაგოგების თქმით, ყველაზე უფრო უჭირთ თანამშრომლობა მოსწავლეთა მშობლებთან. როგორც სკოლამდელი განათლების აღმზრდელები და სკოლის პედაგოგები ამბობენ, მშობლები იშვიათად ინტერესდებიან საკუთარი შვილების მიღწევებითა თუ საჭიროებებით. ამასთან, მშობელთა განათლების დონე, რესპონდენტების აზრით, ხშირ შემთხვევაში დაბალია და ეს არის მიზეზი იმისა, რომ ხშირად ისინი ვერ იაზრებენ, რა საჭიროებები აქვთ მათ შვილებს და რამდენად მნიშვნელოვანია მშობლის ჩართულობა სკოლამდელი დაწესებულების/სასკოლო ცხოვრებაში.

დასკვნა

კვლევის მიგნებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ, „ბავშვთა დაცვის (რეფერირების) პროცედურების“ შესაბამისად, შიდა სამოქმედო ინსტრუქციები გასაწერი აქვთ ადგილობრივი თვითმმართველობის რგოლს (მუნიციპალიტეტის გამგეობა/მერია) და მის სტრუქტურულ ერთეულებს (ბაგა-ბაღების გაერთიანება), ასევე, საგანგებო სიტუაციების ცენტრს.

კვლევის შედეგებით, იკვეთება, რომ „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებზე“ ინფორმაციას არ ფლობენ ზოგადსაგანმანათლებლო/სკოლამდელი დაწესებულებების ადმინისტრაციები და თანამშრომლები, სოფლის ექიმები. ინფორმაციის ნაკლებობა/არასრულად ფლობა ვლინდება სააგენტოს უფლებამოსილი პირების – სოციალური მუშაკების – მხრიდანაც.

კვლევის მიგნებების გათვალისწინებით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სექტორებს შორის თანამშრომლობის საკითხი, კერძოდ, გარკვეულ შემთხვევებში, ამგვარი თანამშრომლობის არარსებობა (სკოლამდელი განათლების დაწესებულება და სააგენტო/პოლიცია) ან დაბალი ხარისხი (სამედიცინო დაწესებულებები და სააგენტო), ზოგჯერ კი არასწორი კომუნიკაციისა და სტერეოტიპული მიდგომების გამო ერთ სექტორში დასაქმებულ პირებს შორის (მაგალითად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები: მანდატური – პედაგოგები) არათანამშრომლური დამოკიდებულება, რაც, თავის მხრივ, აისახება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ განხორციელების ხარისხზე.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტთა დიდი ნაწილი ფლობს ინფორმაციას ძალადობისა და მისი ფორმების შესახებ, თუმცა, მათი

ცოდნა, უმეტესად, არ ემყარება ფაქტებსა და მტკიცებულებებს. ის ეყრდნობა მხოლოდ წარსულ გამოცდილებას. შესაბამისად, ისეთი ქმედებები, როგორიცაა ცემა და თავში წამორტყმა, განხილულია აღზრდის მეთოდებად და არ აღიქმება დევიაციურ ქცევად. ძალადობრივი ფაქტების ამ კონტექსტში განხილვა უშუალოდ ებმის ბავშვის უფლებების აღქმას, როგორც ინსტრუმენტისა, რომლის საშუალებითაც წახალისებულია ბავშვებისთვის შეუზღუდავი თავისუფლების მიცემა და საზღვრების მორღვევა უფროსსა და უმცროსს შორის. მსგავს შეხედულებებს იზიარებენ ის ჯგუფები, რომლებიც „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ აღსრულების პროცესში მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენენ.

კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა უმრავლესობა ძალადობრივი ფაქტების მაპროვოცირებელ რამდენიმე ფაქტორს გამოყოფს. ესაა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და განათლების დაბალი დონე. აქვე რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ძალადობის ფაქტი ნებისმიერ გარემოში შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი ბავშვის მიმართ, თუმცა უფრო მეტად მოწყვლადნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები.

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა უმეტეს ნაწილს სხვადასხვა ტრენინგსა თუ შეხვედრაზე დასწრების მეშვეობით მიღებული აქვს ინფორმაცია ძალადობის ნიშნებისა და ძალადობის შესახებ ეჭვის დასაბუთებაზე, პრაქტიკაში აღნიშნული თეორიული ცოდნის გამოყენება საკმაოდ რთულდება და ზოგჯერ ვერც ხორციელდება. ჭირს ფსიქოლოგიური ძალადობის ნიშნების ამოცნობა და, ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, შესაბამისი ქმედებების განხორციელება მისი დასაბუთების მიზნით. ამგვარად, ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტები ხშირად რეაგირების გარეშე რჩება. თუმცა, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა ფაქტები, რომლებიც ააშკარავებს პირთა მხრიდან ბავშვის მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტების დაფარვას. შედეგები აჩვენებს, რომ სააღმზრდელო დაწესებულებებიდან, სკოლებიდან, არაფორმალური განათლების ცენტრებიდან მიწოდებული შეტყობინებების დაბალი მაჩვენებლები გამოწვეულია არა შემთხვევათა მცირერიცხოვნებით, არამედ ზემოაღნიშნული დაწესებულებების თანამშრომელთა მცდელობით, არ გაახმაურონ ძალადობის ფაქტები. ამგვარი ქცევის რამდენიმე მიზეზი გამოიკვეთა: რესპონდენტებს არ სურთ, იმიჯი შეულახონ დაწესებულებას, რომელშიც მუშაობენ; გარდა ამისა, ვერ ხედავენ შესაბამისი სტრუქტურების ეფექტურ ძალისხმევას, რაც, შესაძლოა, დაეხმაროს მსხვერპლ ბავშვს; ასევე არ აქვთ დაცულობის შეგრძნება და ეშინიათ მოძალადის, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მათ. აღნიშნული სურათის გათვალისწინებით, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ძალადობის ფაქტის შესახებ ძირითად შემტყობინებლად სახელდება სოციალური მუშაკი, თავად მსხვერპლი ბავშვი ან მისი ოჯახის წევრი.

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ აღსრულების პროცესში ჩართული სუბიექტები (ძალოვანი სტრუქტურების გარდა), კვლევის მიხედვით, ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესახებ, რომელიც არეგულირებს ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებს. შესაბამისად, საკმაოდ მცირეა იმ დაწესებულებების რიცხვი, რომლებსაც აქვთ და, ამასთან, სარგებლობენ შიდა სამოქმედო ინსტრუქციით.

კვლევამ გამოავლინა ზოგიერთი საკითხი, რომლებიც „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ აღსრულებაში ჩართული სუბიექტების უწყებათაშორისი თანამშრომლობის პროცესში გამოწვევად რჩება. გარდა იმისა, რომ სტრუქტურებს გარკვეული შენიშვნები და რეკომენდაციები აქვთ სხვა დაწესებულებების მიმართ, იკვეთება შიდა არაკოლეგიალური დამოკიდებულებაც ერთი სამსახურის თანამშრომლებს შორის. ზემოაღნიშნული გამოწვევები ერთგვარ დაუსრულებელ ჯაჭვს ქმნის, რადგან პატრულის თანამშრომლები მეტ-ნაკლებად არაეფექტურად

მიიჩნევენ სოციალური მუშაკების საქმიანობას. თავის მხრივ, სოციალური სააგენტოს წარმომადგენლები ყურადღებას ამახვილებენ პატრულის თანამშრომლებისა და უბნის ინსპექტორების არაპროფესიონალიზმზე. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებენ საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც მიუთითებენ პროცესის არაეფექტურობასა და ჩართული სუბიექტების დაბალ კვალიფიკაციაზე. ამასთან, ვლინდება გარკვეული უთანხმოების ფაქტები სკოლის წარმომადგენლებსა და მანდატურის სამსახურის თანამშრომლებს შორის. ჰომოგენური ჯგუფის წევრები უმეტესად მიუთითებენ არა საკუთარი ინსტიტუტების გამოწვევებზე, არამედ იმ პრობლემებზე, რომლებსაც ხედავენ სხვა დაწესებულებებში. ამგვარი დამოკიდებულება კი, საბოლოო ჯამში, ჯანსაღ თანამშრომლურ გარემოს ვერ ქმნის.

რეკომენდაციები

1. ბავშვთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციების შესრულების მიმართულებით:

1.1. აუცილებელია, სამედიცინო სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებებისთვის (მათ შორის, სოფლის ექიმებისთვის), ისევე, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობების/მათი უფლებამოსილი დაწესებულებებისთვის (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისთვის), გაიწეროს და დამტკიცდეს ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები. მათი მეშვეობით მითითებულ დაწესებულებებს განსაზღვრული ექნებათ პროცედურები, რომელთა შესაბამისადაც იმოქმედებენ ბავშვზე ძალადობის ეჭვის/ფაქტის გამოვლენის შემთხვევებში.

1.2. მნიშვნელოვანია, ბავშვის მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები გაიწეროს და დამტკიცდეს ყველა ტიპის საგანმანათლებლო/სკოლისგარეშე, სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვისაც, რათა მათ წარმომადგენლებს ჰქონდეთ სამართლებრივად განსაზღვრული პროცედურები, თუ როგორ უნდა იმოქმედონ ბავშვზე ძალადობის ეჭვის/ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში.

1.3. აუცილებელია, ყველა ჩართულმა სუბიექტმა პერიოდულად გადახედოს ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებულ შიდა ინსტრუქციებს მათში ცვლილების/დამატების შეტანის მიზნით. მნიშვნელოვანია, მოცემულ პროცესში ჩართულნი იყვნენ არა მარტო ადმინისტრაციული რგოლის წარმომადგენლები, არამედ პრაქტიკოსებიც.

1.4. უმნიშვნელოვანესია, ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციებით გათვალისწინებული პროცედურები დეტალურად გაეცნოს ჩართული სუბიექტების წარმომადგენლებს დადგენილი რეგულაციების პერსონალურ დონეზე ინტერპრეტირებისა და თანამშრომლებს შორის მცდარი პრაქტიკის გაზიარების პრევენციის მიზნით.

2. პროფესიონალთა დამოკიდებულების დახვეწისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით:

2.1. აუცილებელია, ყველა ჩართული სუბიექტის მიერ გადაიხედოს მათ სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული პირების მოსამზადებელი/ გადასამზადებელი/კვალიფიკაციის ასამაღლებელი საგანმანათლებლო კურიკულუმები, რათა მათში გათვალისწინებული იყოს იმგვარი მოდულები, რომლებიც ხელს შეუწყობს დასაქმებული/პოტენციური თანამშრომლების ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებისადმი არსებული არასწორი/დისკრიმინაციული/სტერეოტიპული დამოკიდებულებების შეცვლას. მოცემული საგანმანათლებლო მოდულები პროფესიონალებს ასევე დაეხმარება პრაქტიკაზე დაყრდნობით ჩამოყალიბებული მყარი შეხედულებებისა და ე.წ. „განზოგადებული მიდგომების“ ტრანსფორმაციაში.

2.2. სასურველია, საგანმანათლებლო მოდულები იყოს ინტერაქტიური, რაც მოიცავს როლურ თამაშებსა და „გრძნობების გაცვლის“ სავარჯიშოებს, რათა მონაწილეებს საშუალება ჰქონდეთ, სწორად შეაფასონ და უარყონ საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებული მოსაზრებები, მაგალითად: ბავშვის დასჯის პროცესში მის მიმართ იმგვარი მეთოდების გამოყენება, როგორიცაა ცემა და თავში წამორტყმა, რაც აღქმულია, როგორც აღზრდის მეთოდი და დისციპლინის დაცვის ერთ-ერთი ეფექტური ფორმა.

2.3. უმნიშვნელოვანესია, ჩართული სუბიექტის მიერ შემუშავდეს სავალდებულო გადამზადების კურიკულუმები ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, რომელთა ფარგლებშიც ეტაპობრივად აიმაღლებენ კვალიფიკაციას თითოეული დაწესებულების თანამშრომლები. აღნიშნული მოითხოვს დიდ ძალისხმევას, თუმცა, როგორც გამოვლინდა, ე.წ. „გადაცემული ცოდნა“ (როცა გადამზადდება დაწესებულების ერთი თანამშრომელი, რომელსაც დაევალება სხვა თანამშრომელთა გადამზადება) არ არის ეფექტური ინფორმაციის ადრესატამდე მიტანისა და სწორად გაგების თვალსაზრისით, რაც, თავის მხრივ, აისახება ჩართული სუბიექტების თანამშრომელთა, განსაკუთრებით სკოლამდელი/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელთა ცოდნის ხარისხზე.

2.4. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პროფესიონალებს გაუფართოვდეთ ცოდნის ჰორიზონტი და ჩამოუყალიბდეთ სწორი დამოკიდებულება ბავშვთა მიმართ ძალადობის ისეთი ფორმების მიმართ, როგორიცაა ადრეული ქორწინება და ბავშვთა შრომითი ექსპლუატაცია.

2.5. აუცილებელია, სამედიცინო სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებებისთვის (მათ შორის, სოფლის ექიმებისთვის) და ადგილობრივი თვითმმართველობების/ მათი უფლებამოსილი დაწესებულებების (ა(ა)იპ) თანამშრომლებისთვის დროულად შეიქმნას ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხების შესახებ სპეციალური გადამზადების მოდულები, რომლებიც მიეწოდებათ მოცემულ სფეროში დასაქმებულ პროფესიონალებს (მაგალითად, ექიმებს, სკოლამდელი განათლების დაწესებულებათა თანამშრომლებს, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს), რათა მათ შეძლონ ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტების გამოვლენა და რეფერირება.

2.6. მნიშვნელოვანია, ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხების შესწავლისას სწორად და მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი ძალადობის თითოეული ფორმის გამოვლენის მახასიათებლები (ვიზუალური/ქცევითი/ემოციური), რათა ცალკეულ შემთხვევებში პროფესიონალმა არასწორად არ შეაფასოს ბავშვის მდგომარეობა. აღნიშნული დაეხმარება პროფესიონალებს, მოახდინონ ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის იდენტიფიცირება, ხოლო მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენლებს – მიიღონ დასაბუთებული გარემოებებით რეფერირებული შემთხვევები და მოახდინონ მათზე სათანადო რეაგირება.

2.7. მნიშვნელოვანია, სასწავლო-საგანმანათლებლო მოდულები ითვალისწინებდეს ისეთ ინფორმაციას, რომელიც ჩართული სუბიექტების წარმომადგენლებს გააცნობიერებინებს, თუ რა შედეგი შეიძლება დადგეს მათი მხრიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172[6] მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებისთვის („ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტის (დაწესებულების ან/და მისი უფლებამოსილი თანამშრომლის) მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა“) თავის არიდების შემთხვევაში.

2.8. აუცილებელია, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ (სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო), როგორც ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევათა გამოვლენა-რეაგირებაზე პასუხისმგებელმა უწყებამ, თავისი თანამშრომლებისთვის (უფროსი სოციალური მუშაკი, სოციალური მუშაკი, იურისტი, ფსიქოლოგი) შეიმუშაოს გადამზადების პროგრამები, რომლებიც ეხება ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებს, რადგან ხშირია უწყებიდან უფლებამოსილი პირების – უფროსი სოციალური მუშაკი/სოციალური მუშაკი – გადინების პრაქტიკა. ამასთანავე, აღმოჩნდა, რომ სამაგისტრო/საბაკალავრო/სასერტიფიკატო პროგრამები არ არის საკმარისი – ისინი სრულად არ მოიცავს ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების საკითხებს.

2.9. მნიშვნელოვანია, ბავშვთა მიმართ ძალადობის მარეგულირებელი პროცედურების მცდარ პრაქტიკაზე დაყრდნობით განხორციელების თავიდან აცილების მიზნით ორგანიზება გაეწიოს ერთობლივი საგანმანათლებლო ტრენინგების ჩატარებას სხვადასხვა და/ან ერთ სექტორში დასაქმებული პროფესიონალებისთვის, როგორებიცაა, მაგალითად: სკოლის პედაგოგი, საბავშვო ბაღის აღმზრდელი, პოლიციელი, პატრული, სოციალური მუშაკი ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში დასაქმებული სოციალური მუშაკი, იურისტი, ფსიქოლოგი. ეს ხელს შეუწყობს ასევე პროფესიონალებს შორის თანამშრომლობასა და პატივისცემაზე დაფუძნებული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

2.10. მნიშვნელოვანია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ სხვადასხვა მიზნობრივი აქტივობით წაახალისოს მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებისა და სკოლის პედაგოგების/დირექციის თანამშრომლობითი ურთიერთობები ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტების დროულად გამოვლენის მიზნით. ამასთან, სკოლის დირექცია და პედაგოგები საჭიროებენ დამატებით კონსულტაციებს, რათა სათანადოდ შეაფასონ თავიანთი როლი ძალადობის ფაქტების გამოვლენის/შეფასების/რეფერირების პროცესებში.

2.11. მნიშვნელოვანია, სასწავლო მოდულებში ძალადობის ფორმების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას მკაფიოდ იმიჯნებოდეს ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ბავშვთა (თანატოლთა) შორის ძალადობის (ბულინგის) საკითხები.

3. ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მხარდამჭერი სისტემების განვითარება

3.1. აუცილებელია, სახელმწიფომ შეიმუშაოს ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ფსიქოსარეაბილიტაციო მომსახურების კონცეფცია, რაც შექმნის მოცემული საპილოტე მომსახურების ამოქმედებისთვის ფინანსური რესურსების მობილიზების წინაპირობას. მნიშვნელოვანია, მომსახურების პილოტირების ეტაპმა განსაზღვროს ქვეყნის მასშტაბით მოცემული მომსახურების განვითარების პერსპექტივები, ასევე ამ პროცესისთვის საჭირო რესურსების სახეები და მოცულობა.

3.2. მნიშვნელოვანია, პასუხისმგებელი სუბიექტების წარმომადგენლები იცნობდნენ და ენდობოდნენ მათ მიერ ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირებული და რეფერირებული შემთხვევების სათანადოდ რეაგირებულ პროცესებს, რათა შეიცვალოს სხვადასხვა სექტორში დასაქმებული სპეციალისტების (სოციალური მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები, სკოლამდელი განათლების/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები) ნიჰილისტური დამოკიდებულება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ან შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირების მიერ განხორციელებული ქმედებების მიმართ. ამისათვის მნიშვნელოვანია, რომ პასუხისმგებელი სუბიექტები, რომლებსაც ევალებათ ბავშვთა მიმართ ძალადობაზე რეაგირება, საკუთარი პროფესიული მანდატის ფარგლებში ახორციელებდნენ მიზნობრივ ღონისძიებებს, რომლებიც ცნობილი და დასაბუთებული იქნება შემტყობინებელი ადრესატებისთვის (სოციალური სერვისის მიმწოდებელი, სკოლა, საბავშვო ბაღი, არაფორმალური განათლების წრე და სხვ.).

3.3. აუცილებელია, ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტების სათანადოდ და ეფექტურად მართვის უზრუნველსაყოფად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში გაიზარდოს უფლებამოსილი პირების – სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების – რაოდენობა.

ბიბლიოგრაფია:

https://www.unicef.org/georgia/media/2066/file
http://ombudsman.ge/geo/190307051819angarishebi/zogadsaganmanatleblo-dawesebulebebshi-moswavleta-mimart-dzaladobis-kutxit-arsebuli-mdgomareoba